# საერთო გაზეთი

№37 (400) • 5 ოქტომბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი







## მიმართვა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს!

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას“ უჭერთ მხარს**, თქვენ, ვინც ჯალათების, მკვლელების, ყაჩაღების მხარეზე დგებით, სულში აფურთხებთ ყველას, ვისაც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურმა რეჟიმმა ცხოვრება დაუნგრია, დაუხოცა შვილები, ძმები, დედები, მამები, წაართვა ქონება, გააქცია ქვეყნიდან.

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას“ უჭერთ მხარს**, იმის ღირსი ხართ, რომ დანარჩენმა ქართველებმა მოგიკვეთონ — არ მოგესალმონ, ხელი არ ჩამოგართვან, გწყუროდეთ და წყალი არ მოგაწოდონ, გშიოდეთ და პური არ მოგიტეხონ, არც თქვენს ლხინში მოვიდნენ და არც თქვენი ჭირი გაიზიარონ.

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას“ უჭერთ მხარს**, მხარს უჭერთ სამოქალაქო დაპირისპირებას, მხარს უჭერთ თქვენი ლიდერის შიზოიდურ გეგმებს, რომლებმაც შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა შეიწიროს.

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას“** უჭერთ მხარს, პოტენციური მოღალატეები ხართ, XXI საუკუნის ახალი შადიმანები, საუკუნო წყევლის და შეჩვენებისთვის განწირულნი.

**გამოფხიზლდით! გამოერკვიეთ! გამოიღვიძეთ** და თავი დააღწიეთ „ნაცმოძრაობის“ ჰიპნოზს, რომელმაც ზომბებად გაქციათ და განსჯის უნარი დაგიკარგათ!

**გამოფხიზლდით! გამოერკვიეთ! გამოიღვიძეთ** და თქვენი ხალხის, თქვენი ქვეყნის გვერდით დადექით!







## გამოვაცხადოთ 2016 წლის 8 ოქტომბერი 2012 წლის 1 ოქტომბერს გარდაცვლილი „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დასაფლავების დღედ!




2016 წლის 8 ოქტომბერი 2012 წლის 1 ოქტომბერს გარდაცვლილი „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დასაფლავების დღედ უნდა იქცეს!

გაიხრწნა და აყროლდა ოთხი წლის დაუმარხავი გვამი და ეს გვამი ახლა მაინც თუ არ მივაბარეთ მიწას, მათ მიერ ისედაც მოწამლულ ქვეყანას კიდევ უფრო დაწამლავს.

8 ოქტომბერს გამოჩნდება, ვართ თუ არა ჩვენ ღირსეული, თავმოყვარე ერი, რომელსაც შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს მის შეურაცხმყოფელ, მის აბუჩად ამგდებ სატანისტურ ძალას.

არ დაიზაროთ, 8 ოქტომბერს ყველამ მივაყაროთ ერთი მუჭა მიწა „ნაცმოძრაობას“ და ამით აღვასრულოთ ჩვენი ქრისტიანული ვალი ღვთისა და ერის წინაშე.

# 8 ოქტომბერი – „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრულის დასაწყისი



**ბიძინა ივანიშვილი:** მე, ჩემს სატელევიზიო გამოსვლებში არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: 2012 წლიდან დაწყებული, „ნაციონალები“ ერთმანეთს იმით ამაგრებდნენ, რომ, აი, გაზაფხულზე გეგმავდნენ რევოლუციას, გაზაფხულზე არ გამოდიოდა, მერე შემოდგომაზე და ასე გადადიოდა, გაზაფხული, შემოდგომა. ერთმანეთს ამით ამხნევენდბებ ერთმანეთს. მსგავსი ხდება ახლაც. ჩანაწერის ავთენტურობას რაც შეეხება, პროკურატურამ რომ დაასკვნას, რომ არაა ნამდვილი, ესენი მაინც იტყვიან, არა, ჩვენ ვლაპარაკობთ ნამდვილადო. ამათ სხვა არაფერი დარჩათ, ხელწერა ვერ შეიცვალეს. არ აქვთ ნიჭი და რესურსი... ქვების სროლით მოვიდნენ, ხომ გახსოვთ. ძალადობით იყვნენ ცნობილნი. ნახეთ მათი განცხადებები მათ მართულ ტელევიზიებში. სიცრუის ტირაჟირება, როგორ ძალით ახვევენ თავს ხალხს იმას, რაც არ არის, რომ შავი თეთრად წარმოაჩინონ. შესაბამისად, რამდენად ავთენტურია, ამას აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა, რამეთუ, ღია განცხადებებში, სადაც ისინი არ მალავენ თავიანთ პოზიციას, ვერ მალავენ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ამით ამხნევებენ ერთმანეთს, რომ, როგორმე, ეს ნარჩენი გუნდი მოვიდეს არჩევნებამდე და იქნებ რაღაც საოცრება მაინც მოხდეს, მათი მშიშარა ლიდერი უეცრად გახდება გმირი. გახსოვთ, ხომ, გორში რაც მოხდა?! მთელი მსოფლიო მოიარა იმ ფოტომ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამაყად იდგა და ეს ადამიანი შიშის სიმბოლო გახდა. იქნებ, მართლაც დაძლიოს ეს შიში. სხვათა შორის, მშიშრების კომპლექტაციაა „ნაცმოძრაობა“. ამ ფონზე არიან ესენი ერთად შეყრილი და რასაც ისინი ჩადიოდნენ ძალადობას, შიშზეა დაფუძნებული. ვინც ფსიქოლოგია იცის, ეცოდინება, რომ ყველა მოძალადე ძალიან დიდი მშიშარაა“.

ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა 2012 წელს. ახლა ომი უნდა მოვიგოთ.

* * *

ვარწმუნებ საზოგადოებას: ომი ახლა სრულდება. ომი ბრჭყალებში, რა თქმა უნდა. ჩვენ ერთი საზოგადოება ვართ და ნუ დავიყოფით...

8 ოქტომბერს დასრულდება ყვარყვარიზმი. ისევ არიან ყვარყვარეები, ჩვენს საზოგადოებაში და ცდილობენ უკან შემობრუნებას...

შემიძლია დავიფიცო — ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ხალხს ჰქონდა სხვა მოლოდინი. გადაჭარბებულმა მოლოდინებმა გამოიწვია ბევრის იმედგაცრუება არა მარტო ამ ნაწილში, არამედ ეკონომიკის ნაწილშიც...

ვიცოდი მათი სახე, როგორი მშიშრებიც იყვნენ.

ვუთხარი სააკაშვილს: გამოდი, ბოდიში მოიხადე და გაპატიებს ქართველი ხალხი. სად ჰქონდა მაგის კაცობა მაგას. მშიშარაა. იმ წუთშივე მუხლები მოეკვეთა. თავს ვერ წევდა ზევით, პრეზიდენტის სასახლეში რომ შევხვდი.

დიახ, პროცესი ახლა სრულდება, ამ არჩევნებით და გარწმუნებთ, ამის შემდეგ მაგათ ბობოქრობას ველარ ნახავთ.



**გიორგი კვირიკაშვილი,** საქართველოს პრემიერ-მინისტრი: “ჩემო მეგობრებო, საქართველოში დადგა არჩევნების დრო, მნიშვნელოვანი მოვლენა ყველა დემოკრატიული ქვეყნის ცხოვრებაში. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მივიღოთ საკუთარი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებათა ერთობლიობაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მიმართულებით განვითარდება საქართველო უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ 8 ოქტომბერს აუცილებლად მივიდეთ არჩევნებზე, ხმა მივცეთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას და კეთილდღეობას, ყველამ ერთად ვიტვირთოთ პასუხისმგებლობა მომავალზე.



**კახა კალაძე,** „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი: „ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ ქვეყანაში დავაბრუნოთ მოძალადეები. ადამიანები, რომლებიც კადაფიზაციას ჰპირდებიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. ადამიანები, რომლებიც ისევ ძალადობაზე საუბრობენ. ჩვენ კარგად გვესმის მათი მიზნები, მათი ბნელი ზრახვების, მაგრამ მინდა დავარწმუნო სრულიად საქართველო, რომ ასეთ ადამიანებს არაფერი არ გამოუვათ. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში და შესაბამისად, ვინც გაბედავს ქვეყანაში გადატრიალების მოწყობას, სისხლისღვრის მოწყობას, ძმათა დაპირისპირებას, მათი ადგილი იქნება ციხეში.



**ირაკლი კობახიძე,** ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი: „ნაციონალური მოძრაობა“ გუშინ და დღეს აბსოლუტურად არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. ისინი არიან მძიმე მდგომარეობაში, აგებენ არჩევნებს, ვერ აწყობენ რევოლუციას და არ იციან რა გააკეთონ. ჩვენ ზუსტად ვიცით, როგორი შედეგებით დასრულდება ეს არჩევნები, გამომდინარე იქიდან, რომ ვატარებთ ჩვენს კვლევებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი ანალიზი და ეს ანალიზი მეტყველებს ზუსტად იმაზე, რომ ჩვენ არა მარტო გავიმარჯვებთ ამ არჩევნებში, არამედ მოვიპოვებთ დამაჯერებელ გამარჯვებას“.



**ზვიად კვაჭანტირაძე,** საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი: საქართველოს ხელისუფლება, მთლიანად ფლობს სიტუაციას და არავითარი არეულობა დაშვებული არ იქნება. სააკაშვილის და მათი სხვა თანამზრახველების დრო დამთავრებულია. ამას წერტილი საბოლოოდ დაესმევა რამდენიმე დღეში. 8 ოქტომბრიდან „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ უნდა იყოს ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში.

არცერთი ხმა „ნაცებს“ და მათ მონამორჩილებს!“



**გიორგი მღებრიშვილი,** შს მინისტრი: **„არსებობს სასამართლოს განჩინება სააკაშვილის დაპატიმრების თაობაზე, რის საფუძველზეც იგი შს სამინისტროს ძებნილთა ბაზაში იმყოფება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იგი დაკავებული იქნება საზღვრის გადმოკვეთისთანავე, რასაც ითვალისწინებს პოლიციის მიერ ძებნილი პირების დაკავების სტანდარტული პროცედურა“.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აღლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# დანაშაული, როგორც ბედისწერა

„ნაციონალები“, მიუხედავად იმისა, რომ გულზე მჯიღს იცემენ და ლამის თვალზე ცრემლმომდგარი იფიცებიან, რომ ძველ „შეცდომებს“ არ გაიმეორებენ, დარწმუნებული ვარ, რომ გაიმეორებენ და იგივე დანაშაულებს ჩაიდენენ, რასაც ცხრა წლის განმავლობაში ჩადიოდნენ.

იძულებული გახდებიან, ასე მოიქცნენ, უნდათ თუ არ უნდათ, სხვა გზა არ ექნებათ, გარდა სისხლისღვრის, ანგარიშსწორების, განადგურების და, იცით, რატომ?

**„ნაციონალები“ ძველი დანაშაულები რომ გადაფარონ, ძველი დანაშაულების კვალი რომ გააქრონ, ის ცხრა შემაძრწუნებელი წელიწადი ისტორიის წიგნიდან როგორმე ამოხიონ, იძულებული გახდებიან, ისევ მოკლან, ისევ ციხეებში შეაბრუნონ თავიანთი ავკაცობის მოწმე უამრავი ადამიანი, გააქრონ დოკუმენტები, გაანადგურონ არქივები, კვლავ დააშინონ და დაიმონონ მოქალაქეები, რომ მათ წინააღმდეგ ხმის ამოღება ვერავინ გაბედოს.**

„ნაციონალებო“, თქვენ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულების მძევლები ხართ, სამუდამო მძევლები და მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრება ეს დანაშაულები კვლავ დანაშაულის გზით გატარებთ და ახალ-ახალ ბოროტებას ჩაგადენინებთ.

გუშინ ადამიანებს ხოცავდით და დღეს ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება მოგინდათ? გუშინ თქვენს სამშობლოს ისე ექცეოდით, როგორც ოკუპანტები, როგორც დამპყრობლები და დღეს ქვეყნის მსახურების და პატრიოტების როლი გინდათ მოირგოთ?

თქვენ თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულების (თქვენ რომ მოფერებით „შეცდომებს“ ეძახით...) ტყვეები ხართ და ამ ტყვეობიდან თავს ვერასოდეს დაიხსნით, რამდენიც არ უნდა იფარისევლოთ და რამდენიც არ უნდა გვეპირფეროთ.

როგორც ცნობილია, დამნაშავე აუცილებლად ბრუნდება ხოლმე დანაშაულის ჩადენის ადგილას.

„ნაცმოძრაობის“ გაშმაგებული სურვილი, დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სწორედ რომ დამნაშავის ფსიქოლოგიური კომპლექსის გამოვლინებაა — დამნაშავე „ნაცმოძრაობას“ სურს დაბრუნდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას ანუ ხელისუფლებაში, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, დანაშაულის კვალი წაშალოს.

„საერთო გაზეთი“

(ფრაგმენტი წერილიდან)



# ნარკოტიკი – სახელწოდებით „ნაცმოძრაობა“




ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** ზუსტ შეფასებას აძლევს და ზუსტად შიფრავს „ნაცმოძრაობის“ ქმედებებს, როცა ამბობს: როგორ ექცეოდნენ საზოგადოებას — ძალადობა იყო კულტი! დღესაც თუ ნახავთ მათ ხელწერას, მხოლოდ ძალადობას ვერ ანებებენ თავს და ეს არის მთელი პრობლემა დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობისაც“. დასაწყისიდან, როდესაც ვაკრიტიკებდი, განადგურებას მაბრალებდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება უნდა, და ა.შ არა, როგორ გეკადრებათ, არავის განადგურება არ მინდა, მინდა ყველას კარგად ეცხოვრებოდეს ამ ქვეყანაში, მაგრამ მათ უარი უნდა თქვან ძალადობაზე. გავიმეორო, რა ხდებოდა ქვეყანაში? — კარგად იცით, ხომ? არც მალავენ სხვათაშორის. აბა, ნახეთ, გაიხსენეთ ერთ-ერთი მათი ლიდერის, ჭიაბერაშვილის (თურმე ფილოსოფოსი ყოფილა) მაშინდელი ნაწერები, რეალურად ამ იდეოლოგიით ცხოვრობდნენ — ქაოსურ და გაუგებარ დემოკრატიას სტაბილური ავტოკრატია სჯობსო. ამიტომ, ჯობია ერთმა კაცმა, ერთმა გუნდმა სტაბილურად მართოს ქვეყანა და ეს უნდა დასავლეთსაც, — დაახლოებით ამ იდეოლოგიას ატარებდა. ახლა, თუ ამას დავამატებთ სააკაშვილის მეუღლის გამონათქვამს, რომ თურმე ხალხს უნდა ეშინოდეს მიშასი; რომ მიშა ასეთია და დღეს გვეუბნებიან რომ თვალებში ჩახედა და იმას აღარ იკადრებს რასაც კადრულებდა — რას აღარ იკადრებს, გაუპატიურებები აღარ იქნება? მკვლელობები აღარ იქნება? წამებები აღარ იქნება? რის გარანტიას გვაძლევენ, რას გვპირდებიან?

ის, რომ იდეოლოგია, რითიც ისინი მოვიდნენ, პრაქტიკულად, გახსნილად იყო ძალადობრივი და ამით აშენებდნენ დემოკრატიას და გააძლიერებდნენ ეკონომიკას. რაც მივიღეთ, ძალიან კარგად ვნახეთ, ერთი ჯგუფის მართული ქვეყანა როგორი იყო, „ელიტარული კორუფცია“, როგორ ინაწილებდნენ მთელ ბიზნესს, მონოპოლიზებული მედია, როგორ აწამებდნენ ციხეებში და აწამებდნენ არა ისე, რომ ეს დამალული ყოფილიყო...

მახსოვს, ერთ-ერთი ჩემი თანაგუნდელი იხსენებს, თუ არა ის კადრები, რომელიც ციხიდან გამოვიდა, ჩვენ არჩევნებს ვერ მოვიგებდითო. დაემთხვა, რომ ჩვენ ჩავატარეთ კვლევა სწორედ მანამდე და მის შემდეგ, არც ერთი პროცენტი „ქართულ ოცნებას“ არ მომატებია. ისინი ამ ძალადობას არ მალავდნენ და ეს მათი ხელწერა კი არ იყო, მათი კოზირი იყო. ხალხს აშინებდნენ, თუ ასე არ მოიქცევი, შეხვალ ციხეში და სიკვდილი გელოდებაო. საზოგადოებაში ეს ხმები და ეს კადრები გამაოგნებელი არ იყო, გამაოგნებელი იყო უცხოელებისთვის, მათზე ამან კარგად იმუშავა, მაგრამ ესენი ამას რეკლამას უკეთებდნენ პირდაპირი მნიშვნელობით. აბსოლუტურად უდანაშაულოს იჭერდნენ ხშირად, რომ მეზობელს დაენახა — აი, შენც თუ არ გაჩერდები და არ გაჩუმდები, სწორედ რომ ეს მოგელისო!

ციხეებშიც, რაც ხდებოდა, ამას თვითონვე ავრცელებდნენ, რომ ის ციხე ვერ იქნებოდა კომფორტული ვერავისთვის, იქ თუ მოხვდებოდი სიკვდილთან ახლოს იქნებოდი — აფორმებდნენ ძალადობას და ძალით იჭერდნენ ხალხს.

...აბა, ნახეთ დღევანდელობა, დღეს ნახეთ მათი ხელწერა, „ნაციონალური მოძრაობის“, თუ არ არის ისევ ძალადობრივი, რითიც შეუძლიათ, იმით ძალადობენ.

რომელ შეცდომებს აღიარებენ, რომ კლავდნენ, რომ აწამებდნენ, რომ ძარცვავდნენ, რომ მთელ ბიზნესს ინაწილებდნენ? — ეს უნდა განმარტონ ვინც ამბობს. თვალებში რომ ჩახედა, გამობრძანდეს და განმარტოს, რას გვპირდებიან, რომ აღარ გააუპატიურებენ? აღარ მოგვიკლავენ შვილებს? აღარ წაგვართმევენ ბიზნესს? — ამას გვპირდებიან? რა შეცდომებზეა საუბარი? ეს „შეცდომა“ შემოიტანეს ისე ლამაზად, ისე ლაღად, რომ თითქოს რაღაც შეეშალათ, მარჯვნივ კი არ წავიდნენ მთლად, ცოტა, ოდნავ, მარცხნივ შეუგანეს“...

„სირცხვილია, 250 000 კაცი ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ ელოდება. რა უნდათ, ისევ ძალადობა უნდათ? ისევ ცოცხებს ელოდებიან?“ — გულწრფელად გაკვირვებულია ბიძინა ივანიშვილი.

დიახ, დიახ, ისევ ცოცხებს ელოდებიან, ისევ ძალადობა უნდათ, ოღონდ ძალადობა და ცოცხები უნდათ არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვის.

ადამიანთა ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველა ადამიანში არა, მაგრამ ადამიანთა ერთ ნაწილში, რაღაც დოზით ზის არარეალიზებული მოძალადე და დესპოტი, არარეალიზებული მკვლელი და მანიაკი.

ამ ადამიანების აუხდენელი ვნებები და სურვილები ხშირად მმართველი დესპოტების, ტირანების და ჯალათების ქმედებებში განსხეულდება და განხორციელდება ხოლმე.

მათ მოსწონთ და უყვართ თავიანთი კუმირი ჯალათები, რადგან სწორედ მათი ხელით უსწორდებიან დანარჩენებს და, აქედან გამომდინარე, მათი ძალაუფლების მოწილეებად მიიჩნევენ თავს.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ისევე არიან ფსიქოდამოკიდებული „ნაცმოძრაობაზე“, როგორც ნარკომანები ნარკოტიკზე

„ნაცმოძრაობა“ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ლაბორატორიაში შექმნილი კუსტარული ნარკოტკია, რომელიც ისევე ანგრევს ადამიანების ფსიქიკას, როგორც „კრაკადილი“, „ვინტი“ თუ „ბიო“.

სააკაშვილის მხარდამჭერები იგივე სააკაშვილები არიან, შეუმდგარი, არარეალიზებული სააკაშვილები, რომლებსაც ძალაუფლება რომ მისცე, იგივეს გააკეთებენ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა.

8 ოქტომბრის არჩევნები ნათლად გამოაჩენს, იმ ერთი სააკაშვილის გარდა კიდევ რამდენი „სააკაშვილი“ ჰყავს ქართველ ერს და კიდევ რამდენი ადამიანია სამკურნალო?

„საერთო გაზეთი“

(ფრაგმენტი წერილიდან)

# თამარ ხულორდავა: არჩევნები „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდება და ქვეყნის განვითარების კურსს პოლიტიკური ავანტურისტების მზაკვრული გეგმები საფრთხეს ვერ შეუქმნის

**მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: პროფესიით იურისტმა განათლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. დოქტურანტურის დამთავრების შემდეგ, სწავლა შვედეთსა და გერმანიაში გააგრძელა. (ჰერტის მმართველობის სკოლა, „სამართლებრივი დიალოგი სამართლებრივი გარდაქმნისთვის“ (ბერლინი, გერმანია) ლუნდის უნივერსიტეტი(შვედეთი) სამუშაო გამოცდილება: ევროკავშირის წარმომადგენლობაში კანონის უზენაესობის პროგრამების მენეჯერი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე მოწვეული ლექტორი, 2015 წლიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე. ჰყავს მეუღლე, ლევან ვახტანგაძე და შვილები დაჩი და კახი ვახტანგაძეები.**



**რას ფიქრობს მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნებსა და ნაციონალური მოძრაობის მხრიდან შესაძლო დესტაბილიზაციაზე, რომელი საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება ვერ მოასწრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობის პერიოდში და როგორ ესახება ქვეყნის სამომავლო განვითარება? საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე, ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალ სახეს თამარ ხულორდავას ვესტუმრეთ, რომელიც პოლიტიკაში თავს ახალბედად მიიჩნევს, თუმცა პოლიტიკურ თანამდებობაზე და ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ ქვეყნებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება გააჩნია.**

— განათლებით იურისტი გახლავართ. ათი წლის განმავლობაში ვსაქმიანობდი ევროკავშირის წარმომადგენლობაში, კანონის უზენაესობისა და იუსტიციის სისტემის რეფორმის პროგრამებზე. ვიყავი პროგრამების ხელმძღვანელი. ვმუშაობდი ამერიკის იურისტთა ასოციაციაში. ერთი წლის წინ, პოლიტიკური თანამდებობის პირი — სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე გახლდით, თუმცა მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში ახალი ვარ.

პარლამენტში ვისურვებდი, რომ ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ ქვეყნებთან ურთიერთობის თემატიკაზე გავაგრძელო მუშაობა. ვფიქრობ, აქ უფრო პროდუქტიული ვიქნები და შევძლებ მეტი სარგებელი მოვუტანო ჩემს ქვეყანას. თუმცა, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია სხვა მიმართულებებზე მუშაობაც, თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

— **2015 წელს მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნეთ სისტემაში, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლებისგან უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. პრობლემებთან გამკლავება გაგიჭირდათ?**

— დიახ, მემკვიდრეობა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში დახვდა, მართლაც უმძიმესი იყო და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მე მძიმე სიტუაცია დამხვდა, იმიტომ, რომ ჩემამდე, ჩემმა კოლეგებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს. ბოლო წლების განმავლობაში, კონცეფცია მთლიანად შეიცვალა და სასჯელაღსრულების სისტემა მხოლოდ ადამიანის დასჯაზე და იზოლირებაზე კი არა, რეაბილიტაციაზე და შემდეგ, რესოციალიზაციაზე გახდა ორიენტირებული. ჩვენი ორიენტირი არ იყო, რომ ადამიანები იზოლაციაში მოგვექცია და მათი საპყრობილეში ყოფნა გაუსაძლისი გაგვეხადა. ჩვენი მიზანი იყო, რომ სასჯელის მოხდის პირობებში, ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, რომ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში შეენარჩუნებინათ ოჯახთან კონტაქტი, ჩართულიყვნენ სარეაბილიტაციო საქმიანობაში, სამედიცინო დახმარებით ესარგებლათ და საკუთარი შრომის შედეგად, შემოსავალი მიეღოთ. პატიმართა დასაქმების საკითხი განსაკუთრებით 2015 წელს გააქტიურდა, როცა კახი კახიშვილის პირველ მოადგილედ დავინიშნე. მე სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ვიყავი და მიხარია, რომ ეს ინიციატივა ჩემი სამინისტროში ყოფნის პერიოდში განხორციელდა.

— **როგორც ვიცი, სხვა, განუხორციელებელი ინიციატივებიც გქონდათ..**

— სამწუხაროდ, პარლამენტამდე ვერ მივიტანეთ, მაგრამ მოვამზადეთ ძალიან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც გარკვეული დანაშაულების შემთხვევაში, ახალი სახის სასჯელის — ელექტრომონიტორინგის საშუალებით, შინაპატიმრობის დანერგვას ითვალისწინებს. ეს გაცილებით ლიბერალური და ხარჯთეფექტური ფორმაა, ვიდრე სასჯელაღსრულების ადგილებში თავისუფლების აღკვეთა, თუმცა ყველაზე ვერ გავრცელდება და გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოს მისაღებია. ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიზმის კუთხით, ეს მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია. მოუთმენლად ველი იმ დროს, როცა ახა; პარლამენტში შესაძლებლობა გვექნება, ეს ინიციატივა კანონად ვაქციოთ.

— **თქვენი აზრით, ხომ არ გაზრდის ლიბერალური მიდგომები დანაშაულის სტატისტიკას და არის თუ არა სისასტიკე წესრიგის დამყარების გარანტი?**

— წესრიგის დამყარებისთვის სისასტიკე კი არა, კანონის დაცვა და დისციპლინაა საჭირო. ის, რომ ქვეყანაში სასჯელაღსრულების სისტემის კონცეფცია და საერთოდ, სისხლის სამართლის პოლიტიკა შევცვალეთ, არამც და არამც არ ნიშნავს დანაშაულის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას. სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა, რომ ადამიანმა ჩადენილი დანაშაულისთვის აუცილებლად აგოს პასუხი, მაგრამ მთავარია, რომ ეს პასუხი ანუ სახელმწიფოს რეაგირება დანაშაულის ადექვატური და თანაზომიერი იყოს. ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია, რომ არასრულწლოვანი, რომელიც მეზობლის ფარდულიდან მურაბების ქურდობისთვის იხდის სასჯელს, ოთხი და ხუთი წლით ციხეში გამოვკეტოთ. კი ბატონო, შეიძლება, მეზობლისთვის იმ მომენტში ეს მურაბები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამის გამო, არაპროპორციული სასჯელის მოხდა დამაზიანებელია არა მარტო არასრულწლოვანისთვის, არამედ, მთლიანად საზოგადოებისთვის. როდესაც ადამიანი მსუბუქი დანაშაულისთვის არაზომიერ, არაადექვატურ სასჯელს იხდის და ციხეში ათასი სისასტიკის მსხვერპლი ხდება, ის შეიძლება გაბოროტდეს. ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ის გამოსწორდება და დანაშაულს აღარ ჩაიდენს? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, გაცილებით მეტად ხდება განმეორებითი დანაშაულის წახალისება. ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში, მით უმეტს, არასრულწლოვანთან მიმართებაში, საზოგადოებისგან იზოლირების ნაცვლად, შესაძლებელია, სხვანაირად მიეთითოს და სხვა სოციალური აქტივობებით დაიტვირთოს. მთელი ეს სარეაბილიტაციო აქტივებები და პროფესიული სწავლების წახალისება, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარეობს, ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ადამიანები გარეთ რომ გამოვლენ, დასაქმდნენ და შემოსავალი ჰქონდეთ. ზოგჯერ ლეგიტიმურია კითხვა, რატომ ვახმართ სახელმწიფო რესურსს დამნაშავე ადამიანისთვის პროფესიის სწავლებას, როცა პროფესიის გარეშე სასჯელაღსრულების სისტემა გამოუვლელი ბევრი ადამიანი გვყავს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს საზოგადოების სიმშვიდისა და დაცვის მიზნით კეთდება. სასჯელაღსრულების მიზანი უნდა იყოს საზოგადოების დაცვა განმეორებითი დანაშაუ-





ლისგან ანუ ადამიანებმა, რომლებმაც სისტემა გამოიარეს, აღარ უნდა ჩაიდინონ დანაშაული. ყველას გვინდა ვიცხოვროთ სახელმწიფოში, სადაც დაცულად ვიგრძნობთ თავს და დანაშაულის ფაქტები მაქსიმალურად შემცირებული იქნება, ამიტომ პატიმრების პროფესიული განათლების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

— **„ქართულ ოცნებას“ ხშირად აკრიტიკებენ, რომ რეჟიმის სისასტიკის წყალობით, მოშლილი და დანგრეული ფსიქიკის მქონე ადამიანები ციხეებიდან ამნისტიით მასობრივად გამოუშვა, რამაც დანაშაულის სტატისტიკა გაზარდა.**

— შესაძლოა, წინა ხელისუფლების დროს, რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკის გამო, საქართველოში დანაშაულის რიცხვი შემცირებული იყო, მაგრამ ეს შედეგი სახელმწიფოს მხრიდან სასტიკმა და არათანაზომიერმა პოლიტიკამ მოიტანა, რომელიც მხოლოდ მოკლე ვადიან შედეგს იძლევა, რადგან ყველა პატიმარი ოდესღაც მაინც გათავისუფლდება. სისასტიკეს არანაირი გამართლება არა აქვს და მით უფრო გაუმართლებელია, როცა ეს სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი პირების მხრიდან ხდება. ვფიქრობ, ამნისტიის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ. ეს იყო პოლიტიკური ფასი, რომელიც იმის გამო უნდა გადაგვეხადა, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა. სრულიად დადასტურებულია, რომ სასჯელები ჩადენილ დანაშაულთან აბსოლუტურად არაადექვატური იყო. ამას გამოსწორება თითოეული საქმის გადახედვის შემდეგ, ფაქტობრივად, ვერ მოხდებოდა. სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი კანონი ამნისტიის შესახებ, რომელმაც საშუალება მოგვცა, ყველა ადამიანს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციული სასჯელი შეხებოდა. სასჯელებისთვის გარკვეული წლების ჩამოკლებამ კი ათასობით ადამიანის გათავისუფლება მოიტანა. გათავისუფლებასთან ერთად, აუცილებელი იყო ამ ადამიანების ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა და სწორედ ამას ემსახურებოდა ნაბიჯები, რომელიც მაშინ ხელისუფლებამ გადადგა. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შექმნილი დანაშაულის პრევენციის ცენტრი ყოფილ პატიმრებს, რომლებსაც სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩაბმის სურვილი ჰქონდათ, ასეთი პროგრამების გავლის შესაძლებლობას აძლევდა, თუმცა, ზიანი, რომელიც იმ წლებმა მოიტანა, იმდენად დიდი იყო, რომ სახელმწიფო ხელისუფლებაში შექმნილი ვერც ერთი დანაყოფი ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ საჭიროა.

— **ალბათ დამეთანხმებით, რომ ზემოთხსენებული საკითხების გარდა, ბევრი სამუშაოა სოციალური მიმართულებითაც. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით?**

— სოციალური თემატიკა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია არჩევნების დროს. ეს არჩევნები თვისობრივად განსხვავდება წინა არჩევნებისგან იმით, რომ დღეს ადამიანები მეტად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა წერია პარტიის საარჩევნო პროგრამაში, რომელი პოლიტიკური გუნდის გეგმები მიაჩნიათ უფრო სწორად და დამაჯერებლად და ა.შ. საქართველოს მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ ჩვენი პროგრამა დაპირებების სიუხვით არ გამოირჩევა. ეს არის პასუხისმგებლობის გრძნობით დაწერილი, რეალისტურ გათვლებსა და კონკრეტული რეფორმებზე დაფუძნებული პროგრამა. გასულმა ოთხმა წელმა საფუძველი ჩაუყარა, რომ ეს რეფორმები სწრაფ ტემპებში განვახორციელოთ და კეთილდღეობა, რომელიც ჩვენი სლოგანის ერთ ერთი ნაწილია, ყველა მოქალქემ იგრძნოს. სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ხვალვე პენსიები 100 ან 150 ლარით გაიზრდება. ჩვენ ამოვდივართ იმ რეალობიდან, რომელიც გვაქვს და ვიძლევით იმ დაპირებებს, რომლის შესრულების შესაძლებლობა არსებობს. აუცილებელია, რომ ბოლომდე მივიდეს ქვეყნის განვითარების ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც ეკონომიკის სწრაფად განვითარებას ემსახურება.

— **როგორც კანონის უზენაესობის პროგრამების ყოფილი მენეჯერი და იურისტი, როგორ შეაფასებთ „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებს, რომლებშიც სახელმწიფო გადატრიალებაზეა საუბარი.**

— სანამ ჩანაწერების ავთენტურობა არ დადასტურდება და საგამოძიებო ორგანოები რაღაც კონკრეტულ შედეგამდე არ მივლენ, არ მინდა, რომ ამაზე მოვახდინო აქცენტირება. თუმცა, გეტყვით, რომ ჩანაწერში გაჟღერებული ინფორმაცია იმ ინფორმაციებს ემთხვევა, რომელიც მანამდე გვქონდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დესტაბილიზაციის გარკვეული გეგმები არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ ყველანაირი კვლევის შედეგად, ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ უპირობო გამარჯვებულია, ჩვენს ინტერესებში არავითარი დესტაბილიზაცია არ შედის, მაგრამ შესაძლოა ასეთი გეგმები ჰქონდეს ძალას, რომელიც მშვენივრად ხედავს და აფასებს თავის შანსებს. ამ პოლიტიკურ ძალაში გარკვეული სასოწარკვეთა არსებობს და შესაძლოა, ამან რაღაცეებისკენ უბიძგოს, მაგრამ საქართველოს ყველა მოქალაქე აცნობიერებს, რომ დესტაბილიზაცია ქვეყანას 10 წლით და მეტით უკან გადააგდებს. ჩვენ მოვისმინეთ მიხეილ სააკაშვილის მიმართვა, რომელიც პირდაპირ ამბობდა, რომ ეგზიტპოლის შედეგი უფრო სანდო და მისაღებია, ვიდრე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებული შედეგები. ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის და პიროვნებისთვის, ასეთი დამოკიდებულება სრულიად მიუღებელია, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევძლოთ, რომ პროვოკაციას არ წამოვეგოთ და ბოლომდე შევინარჩუნოთ სიმშვიდე. მე დარწმუნებული ვარ და მჯერა ჩვენი სამართალდამცველი ორგანოების, რომლებიც დესტრუქციულ ძალებს საშუალებას არ მისცემენ, რომ ქვეყნის მონაპოვარს რამე საფრთხე შეექმნას. მთავარია, რომ მშვიდობიანად მივიდეთ არჩევნებამდე და ყველამ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია თავისუფალი არჩევანის სახით. ვფიქრობ, რომ ეს არის ერთადერთი უალტერნატივო გზა



მომავალში საქართველოს ნორმალური განვითარებისთვის. ქვეყანას სწრაფი განვითარებისთვის ჭირდება სტაბილური გარემო, რომ განხორციელდეს ყველა დაგეგმილი რეფორმა და მივიდეთ იმ ეტაპამდე, როცა ქვეყნის თითოეული მოქალაქე თავის თავზე იგრძნობს რეფორმის შედეგებს. ეს არის ჩვენი საარჩევნო დაპირება და ამას ემსახურება ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ ამის განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ კონსტიტუციურ ჩარჩოებში დავრჩებით. ვხედავ რა მოსახლეობის განწყობას, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი არჩევნების მიმართ და მჯერა, რომ არჩევნები „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდება და ქვეყნის ნორმალური განვითარების კურსს ვიღაცის მზაკვრული გეგმები საფრთხეს ვერ შეუქმნის.



ნელი თორდია
571 35 36 88

®

# სტოკჰოლმის სინდრომი, ანუ რატომ უყვართ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს მოძალადე „ნაცმოძრაობა?

ფსიქოლოგიაში არსებობს სტოქჰოლმის სინდრომის სახელით ცნობილი საინტერესო მოვლენა, რომელიც მოძალადის მიმართ მსხვერპლის პარადოქსალურ მიჯაჭვულობას და სიმპათიას გულისხმობს. ამ მოვლენას სახელი 1993 წლის 23 აგვისტოს სტოკჰოლმში მომხდარი გახმაურებული შემთხვევის შემდეგ უწოდეს, როცა ციხიდან გაქცეულმა ორმა პატიმარმა ოთხი ადამიანი მძევლად აიყვანა და ბანკის ბრონირებულ საცავში მათთან ერთად ექვსი დღე დაჰყო. მოთხოვნები ბანალური გახლდათ: ფული, მანქანა და იარაღი. უცნაური და დაუჯერებელი მძევლებსა და ბოროტმოქმედებს შორის გაჩენილი სიახლოვის განცდა იყო, რომელიც სიმპათიებში გადაიზარდა. ორმა სასამართლო პროცესზე ორმა მძევალმა აღიარა, რომ ბოროტმოქმედებთან ნებაყოფლობითი ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ. რომ ბანდიტები კეთილი ადამიანები არიან, ბოროტი განძრახვა არ ჰქონიათ და ამნისტიას იმსახურებენ.



როდის და როგორ ჩნდება მასებში „ძლიერი ხელის“ მოთხოვნა, რა იწვევს მსხვერპლში მოძალადის სიმპათიას და როგორ ყალიბდება ინფანტილიზმი? ამ და სხვა თემებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიის პროფესორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ ვახანია** გვესაუბრა:

— ძლიერის შიშმა შეიძლება ნამდვილად შეიძლება გააჩინოს სიყვარული. ხალხური ანდაზა „დათვი რომ მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახო“ და რუსთაველის აფორიზმი „შიში შეიქმს სიყვარულსა“ სწორედ ამაზე მეტყველებს, მაგრამ ეს სიყვარული აუცილებლად ამბივალენტური ანუ გაორებულია და მეორე მხარეს სიძულვილი ახლავს. სიტუაციურად, სანამ მოძალადე საშიშია, სიყვარულის მხარეა გააქტიურებული, მაგრამ როგორც კი მოძალადე დასუსტდება, შეიძლება ეს გრძნობა ძალიან აგრესიულ სიძულვილში გადაიზარდოს. არც ისაა გამორიცხული, რომ სიყვარული დარჩეს. ზოგადად, ბევრი შესაძლებლობაა, რადგან ფსიქოლოგიაში სწორხაზოვანი დასკვნები არ არსებობს.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში სანდრა რულოვსმა განაცხადა, რომ საქართველოს მსგავს ქვეყანას „ძლიერი ხელი“ და ისეთი მმართველი ჭირდება, რომლისაც ხალხს ეშინია. ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდეს. თქვენი აზრით, ნამდვილად საჭიროებს თუ არა საქართველო „ძლიერ ხელს“ და როდის ჩნდება ამის მოთხოვნა?**

— ისტორიულად ცნობილია, რომ სტალინის მიერ რეპრესირებული ზოგიერთი ადამიანის ოჯახი და თავადაც გაციმბირებული ადამიანები ბელადს აღმერთებდნენ. ამის ფსიქოლოგიური საფუძველი შეიძლება რამდენიმე იყოს. რამდენიმეს რომ ვამბობ, ეს არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს გამორიცხავენ.



ერთ-ერთი ფაქტორი აქაც შიშია, რომელმაც მოწიწება და სიყვარული გააჩინა, მაგრამ პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებაში, ეს ნაკლებად მუშაობს. მეორე ფაქტორია „ძლიერი ხელის“ სურვილი, რომელიც შეიძლება ქვეცნობიერიც იყოს, მაგრამ სწორედ ამ ფაქტორის გამო აღმერთებდნენ სტალინს და ჰიტლერს. კიდევ ერთი ვარიანტია, რომ გულწრფელად მოწონდეთ ლიდერის ერთი მხარე და დანარჩენებს არ იმჩნევდნენ ან პატიობდნენ, როგორც სააკაშვილის შემთხვევაშია. რაც შეეხება „ძლიერი ხელის“ საჭიროებას, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ადამიანებში გაჩნდა ერთგვარი სიცარიელე და უპატრონოდ დარჩენილობის განცდა. მოსახლეობის ნაწილმა ეკლესიას მიაშურა და კომუნიზმის რწმენა რელიგიური რწმენით შეცვალა. მოსახლეობის ამ ნაწილისთვის ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი მიუღებელია. მეორე ნაწილისთვის ერთი ბატონი ანუ რუსეთი სხვა ბატონმა ანუ დასავლეთმა ჩაანაცვლა და მის მიმართ მონური, ბრმა თაყვანისცემა გაუჩნდა. ეს არის სრულიად არარაციონალური, გაუზარებელი გრძნობა, რომლის საფუძველზე მხარს უჭერენ ნებისმიერ ძალას და ამ შემთხვევაში, ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ამ ხაზის გამტარებლად მიაჩნიათ. ადამიანების ამ კატეგორიას უპატრონოდ, იზოლაციაში დარჩენა აშინებს და დასავლეთს, როგორც მაშველ რგოლს, ებღაუჭება. სხვათა შორის, საქართველოს მტრები ზვიად გამსახურდიას დროს, სწორედ ასეთ აზრებს ავრცელებდნენ, რომ მსოფლიო გაგვრიყავდა, იზოლაციაში დავრჩებოდით და ა.შ. ამან იმუშავა და საზოგადოების ნაწილმა ეროვნულ ხელისუფლებას ზურგი აქცია. სინამდვილეში, ეს ეროვნულ დონეზეც და პიროვნულ დონეზეც თავისუფლების შიშია და „ძლიერი ხელის“ მოთხოვნაც ამ შიშს უკავშირდება. მეოცე საუკუნის უდიდესი მოაზროვნე ერიხ ფრომი ამ მოვლენაზე გენიალურად წერდა თავის წიგნში“გაქცევა თავისუფლებიდან“. მასის ფსიქოლოგიაში, მით უმეტეს ჩვენთან, როდესაც ხალხი არ არის მიჩვეული დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას, თავისუფლება, საკმაოდ დიდი ტვირთია, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობას ურჩევნია, რომ ეს ტვირთი მოიშოროს და სხვას გადააბაროს. ამას ემატება ინფანტილიზმი ანუ პიროვნული უმწიფარობა, როცა 40 წლის კაცი ფსიქოლოგიურად 17 წლის არის და გამუდმებით ეძებს ადამიანს, ვისაც პასუხისმგებლობას გადააბარებს.

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველი დედებისთვის 40 წლის შვილიც ბავშვია, ინფანტილიზმი საკმაოდ გავრცელებული პრობლემა უნდა იყოს.**

— დიახ, ასეა. ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება რუსეთი ან ამერიკა კი არა და ინფანტილიზმია. ამის ბრალია, რომ სახელმწიფო არ გვაქვს და ასეთ პირობებში, არც გვექნება, რადგან ბავშვები სახელმწიფოს ვერააშენებენ. რაც შეეხება ინფანტილიზმის გამომწვევ მიზეზებს, თქვენ სწორად ახსენეთ ქართველი



დედის ფაქტორი. დიახ, აღზრდა ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია. ამას ემატება სასკოლო განათლება, რომელიც პიროვნულ განვითარებას ურტყამს და ძირშივე სპობს.. ყოველ დღე, ბავშვი სკოლაში რწმუნდება, რომ უვიცია, უვარგისია და არაფერი შეუძლია. ბუნებრივია, ამის შემდეგ, ის პიროვნულად ვერ განვითარდება და ამაში ოჯახთან ერთად, სკოლა და მთელი საზოგადოება ხელს უწყობს.

**— როგორ ახსნით, რომ ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მეტი მხარდამჭერი იმ კუთხეში ჰყავს, სადაც მიწაში ჩამარხული კასრებიდან დაწყებული, საწამებელი ოთახებით დამთავრებული, ყველაზე მეტი უბედურება ხდებოდა.**

— იმას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, სამეგრელოში სხვა ფაქტორებიც ემატება. შევარდნაძის დროს, როცა ქვეყანაში „მხედრიონი“ დათარეშობდა, ზუგდიდში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხაშია გაუგონარი და საზარელი ფაქტები მოხდა. ამიტომ ამ კუთხეში იმდენად დიდია შევარდნაძის სიძულვილი, რომ სააკაშვილი მხსნელად აღიქვეს. მასის ზერელე აზროვნების დამსახურებით, სამეგრელოში ნაციონალების პატივისცემა და ერთგულება მთლიანად შევარდნაძის სიძულვილზეა დაფუძნებული. შესაძლოა, შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, სააკაშვილის დროს, სამეგრელოში რაღაცეები გაუმჯობესდა, მაგრამ საკითხავია, რის ხარჯზე და როგორ.

**— მოგეხსენებათ, რომ თავის დროზე, ციხის კადრებმა ადამიანებზე და გარკვეულწილად, არჩევნების შედეგებზეც ძალიან იმოქმედა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, ეს თითქოს დავიწყებას მიეცა. რას ივიწყებენ ადამიანები და რატომ და რა ახსოვთ სიცოცხლის ბოლომდე?**

— ამას მასების ფსიქოლოგიაში, განდევნა ქვია. ადამიანი განდევნის იმ ინფორმაციას, რომელიც მის წარმოდგენებთან შეუთავსებელია. თუ ის წარმოდგენები რაღაცის გამო, მორყეულია, მაშინ შესაძლოა, ახლად მოსული ინფორმაცია არ განიდევნოს და პირიქით, გაძლიერდეს, მაგრამ თუკი წარმოდგენები უფრო მყარი და ხანგრძლივია და ახალ მოსული ინფორმაცია ეწინააღმდეგება, ეს უკანასკნელი განიდევნება. ეს მასების ფსიქოლოგიაა და არა მოაზროვნე ადამიანის, რომელიც ჩვენი სასკოლო განათლებისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ძალიან ცოტაა.

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოახლოვებულ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის შანსებზე რა აზრის ხართ?**

— დიახ, უცხოეთში მომზადებული სპეციალისტების წყალობით, ნაციონალებს მასებზე ზემოქმედება კარგად შეუძლიათ. ამ ფაქტორისა და ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნაციონალები არჩევნებში ხმებს აუცილებლად მიიღებენ, თუმცა გამარჯვების შანსი არა აქვთ, რადგან ძალიან ბევრია ადამიანი, ვისთვისაც მათი დაბრუნება კატასტროფასთან ასოცირდება. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ეს პოლიტიკური ძალა საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გავა, რაც სამართლიან პროტესტს და კითხვას აჩენს- რატომ? ზუსტად იმიტომ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის იანვარში სანდრა რულოვსმა დანიურ გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში **“Georgia on His Mind – George Soros’s Potemkin Revolution by Amb. Richard Carlos”** განაცხადა, რომ საქართველომ სტალინის, ბერიას, გამსახურდიასა და შევარდნაძის სახით, ძლიერი ლიდერები შექმნა და და მიხეილ სააკაშვილიც მათ მათ რიცხვს მიაკუთვნა: „ამ ლიდერთა თვალთახედვა სცდებოდა საქართველოს ფარგლებს. ჩემი ქმარიც მათ კატეგორიას განეკუთვნება. ის აგრძელებს ამ ტრადიციას“.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ყოფილი პირველი ლედის შეხედულებები რადიკალურად შეიცვალა. „ძლიერი ხელისა“ და შიშის აუცილებლობის ნაცვლად, ის ქმრის თვალებში დანახულ კაცთმოყვარეობასა და ჰუმანურობაზე აკეთებს აქცენტს. როდის იყო ქალბატონი სანდრა გულწრფელი და დაიჯერებს თუ არა ამომრჩეველი მის მეტამორფოზას, ამას დრო გვაჩვენებს..

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# რა „დააშავა“ ივანიშვილმა ანუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველოში ღირსეული მამულიშვილი, რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან?

**კობა არაბული:**

მოდით, დავსვათ კითხვა: რა უნდა აკეთოს და როგორ უნდა მოიქცეს ღირსეული მამულიშვილი საკუთარ სამშობლოში, საქართველოში რომ არ მოკლან, არ მოწამლონ, ცილი არ დასწამონ, ან არ გააძევონ საკუთარი ქვეყნიდან, რომ არ დაუწყონ დევნა და განდევნა საკუთარი სამშობლოდან...

ყველა ადამიანის სულს ვერ ამოავსებ ვერც სიკეთით, ვერც სიყვარულით...

ვისაც მეტს მისცემ და მიაწოდებ: იტყვის, უფრო მეტი მეკუთვნოდაო და მტრად გექცევა.

ვისაც არ მისცემ, ისიც მტრად მოგეკიდება...

ვისაც ბევრს წაართმევ და ცოტას დაუბრუნებ, ის უფრო მადლობელი დაგრჩება: იფიქრებს, იქნება, დარჩენილიც დამიბრუნოსო... ეს არის ქართველთა ფსიქოლოგია.

* * *

„შიში შეიქმს სიყვარულსა“, ბრძანებს გენიალური შოთა რუსთაველი. ანუ „მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო“, ამასაც ამბობს ძველი ქართული სიბრძნე. „პარადიგმები“ დიდი ჭეშმარიტების შემცველი აღმოჩნდა.

ბიძინა ივანიშვილს არც არავინ შეუშინებია, არც არავინ დაუხრჩვია... არც არავისთვის წაურთმევია, მხოლოდ გასცემდა და ეტყობა, ამიტომაც მიუბრუნდა ეს დაუსჯელი და დაუჯერებელი (თავზე ხელგადასმული) „გიენების ხროვა“ და ადამიანს, რომელიც განგებამ მოგვივლინა, შეჭმა დაუწყეს...

* * *

საერთოდ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში: ისევ „რატომ კარგი აგიგიას“ სინდრომი ამუშავდა?!

ისევე, როგორც „დიდოსტატის მარჯვენაში“, „სვეტიცხოვლის“ ამშენებელს მარჯვენა მოსჭრეს, „სამების“ (საუკუნის ტაძრის) აღმშენებლისთვისაც მარჯვენის მოჭრა უნდათ?!

და არა ოდენ სამების აღმშენებლის, ყოველი ტაძრის (ხუთასამდე!), ყოველი თეატრის, კულტურის ცენტრის, არაერთი სამკურნალო დაწესებულების, ყოველი დიდი ეროვნული საქმის, თუ რომელიმე და რაიმე ამ საუკუნის დამდეგს და წინა საუკუნის დასასარულს კეთდებოდა და კეთდება, ბიძინა ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, მსგავსი საქველო საქმეები, არც ერთ ქველმოქმედს, არც ერთ ბიზნესმენს (გნებავთ, ოლიგარქს) საქართველოსთვის არ გაუკეთებია.

დიდი სარაჯიშვილი ჩიოდა: ქართველებს თუ შეძლებული კაცი გამოუჩნდა, ყველანი მიესევიან, გაწეწავენ დ მერე სალანძღავად გაიხდიანო... ეტყობა, მანაც გამოსცადა ქართველთა უმადურობა საკუთარ თავზე.

სად, რომელ ქვეყანაში ექცევიან თავის გამოჩინებულ მამულიშვილს ისე უდიერად და უსინდისოდ, როგორც აქ, ამ ბედკრულ საქართველოში.

მაინც, რა დააშავა ივანიშვილმა ისეთი (რა შეცდომა დაუშვა), რომ: კვესიტაძის ტიპის ლაქია ჟურნალისტიც კი თავისი „ლაქარდიანი ენით“ ტარტალს უბედავს?

რა ცილისწამების და დაუსჯელობის ჯოჯოხეთი დუღს ამ ქვეყანაში?

სწორედ: „რატომ კარგი აგიგიას!“ ეგოიზმში „დევს“ ეს ძაღლის თავი და დაუსჯელობის სინდრომში — რაც გინდა თქვი და დააბრალე, როცა შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვს... მით უფრო, „მოენე დიაცს“ ვინ რას ეტყვის...

ერთ საპასუხო ლექსში ვაჟა ამბობს, როდესაც სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდნენ და განაქიქებდნენ:

„იქნებ მეც, ჩემმა ენამა, სამშობლო დავალონეთა,

ფრთები შევჰკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა,

* * *

უვარგისობის მიზეზი „ფშავლობა“ არის სწორედა...“

ნახეთ, რა ბრალდება წაუყენა ვაჟამ მეშჩან, მედროვე, ეგოისტ ელიტას... მასა აღიარებდა ვაჟას, მაგრამ გარკვეულ „ელიტარულ კლანს“ არ სურდა მისი გენიით შეშფოთებულთ, მისი აღიარება.

ალუდას ფენომენიც სწორედ იმიტომ წამოსწია ვაჟამ, რომ „კაი ყმის“ დევნისა და განდევნის „სინდრომი“ უკვე გაჩენილი იყო ქართულ საზოგადოებაში.

* * *

მაშ, რატომ ვებრძვით და ვუპირისპირდებით კაცს, რომლის მოსვლასა და გამოცხადებას სიზმარში თუ ვხედავდით, თორემ იმდენად დაუჯერებელი იყო, სატანური „მკვლელი რეჟიმის“ პირობებში.

მაშინ მე ვწერდი ჩემს ერთ წერილში: გმირი იბადება უჟამო ჟამის პერიოდში, თითქოს არსაიდან და იგი სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, როგორც კვირია... „შეუძლებლობის“ ჩაკეტილ სივრცეში „პროკრუსტეს სარეცელზე“ მწოლიარე ერს ჰქონდა ასეთი პიროვნების მოლოდინი... და მოვიდა იგი და მოიყვანა უფალმა, და მან შეძლო იმ ურჩხულის დაძლევა, რომელიც 10 წელიწადი ჭამდა და ღრღნიდა ქართველი ერის სულსა და სხეულს, და ეს 10 წელი იყო, ვითარცა 1000 —ათასი)! იმდენად მძიმე იყო ეს 10



წელი ქართველთათვის, როგორც ასწლეული მონღოლოიდურ-ხაზარული ეპოქებისა...

ამ ათმა წელიწადმა გადაავარა საზოგადოება, სატანის რეჟიმმა შეძლო სულიერი, მატერიალური, კულტურული ინსტიტუტების ნგრევა, სრულიად შეცვალა მოზარდთა ფსიქოლოგია მაზომბირებელი მასმედიის (და, კერძოდ, „რუსთავი-2“ის) მეოხებით...

და როგორც ერთმა ნიჭიერმა მწერალმა ბრძანა, „სააკაშვილი შეეცადა ახალი ქართველი ადამიანის გამოყვანას და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილიო...“

შესანიშნავი, თუმცა სამწუხარო სატირაა: მართლაც ჩერგოლეიშვილებით, ხერხეულიძეებით, ორჯონიკიძეებით, გაბუნიებით, კოჟორიძეებით და მისთანებით აივსო ეს ქვეყანა... და უფრო უარესებითაც!..

მართლაც მან 10 წელიწადში 1000-წლეული ზიანი და ზარალი მიაყენა ქვეყანას და სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დააკარგინა ტერიტორიების კიდევ 1/3.

* * *

მაინც, რა „დააშავა“ ივანიშვილმა, ან დააშავა თუ არა, საერთოდ?

დიახ, „დააშავა“, მან ჩამოაშორა ეს ურჩხული და მისი რეჟიმი ქვეყანას, მან შეცვალა სატანის დრო! — ეს მოვლენა საეტაპო მოვლენად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში...

ეს იყო მისი დანაშაული სატანისტთა სამყაროსთვის, მან დაამხო სატანის ტირანია, მაგრამ გაუშვა (შეიწყალა) ამ მონსტრის გვამიდან ამოსული „ჭიები“... ახლა ისინი შხამიან გიენებად იქცნენ და ქვეყანას (და ივანიშვილს) სახიფათო ზღვარზე აყენებენ.

რა შეიძლება იყოს პიროვნების, კერძოდ, ივანიშვილის წინააღმდეგ გამოხდომის მიზეზი? არაფერი და ყველაფერი! „დანაშაულია“ მისი ღირსება და ქველობა, მისი მამაცობა, მისი ღვაწლი მთელი ერის და ყოველი ქართველის მიმართ? როდესაც ქველობანი და მაღალზნეობანი განკითხვისა და ლანძღვის ღირსად იქცევა ერში, ის ერი (და ქვეყანა) დიდხანს იქნება ნირვანაში და დარჩება დამარცხებული საკუთარ თავთან და მტერთან...

* * *

ბოლო ხანს ხელისუფლებაში მოსულმა ვანდალობებმა ეს უზნეო ზნენი და თვისებანი უმაღლეს რანგში აიყვანეს, მოკლეს, „ჩარეცხეს“, გაანადგურეს, დაარბიეს არა ოდენ პიროვნებანი და ღირსეული ქართველი ოჯახები, არამედ საზოგადოებები, კავშირები, ინსტიტუტები, აკადემიები, რომელნიც პოზიტიური, ეროვნული ენერგეტიკის მატარებელნი იყვნენ.

მათ საკუთარ ქვეყანაში ვიღაცის მიერ მოვლენილმა „ჰიქსოსებმა“ გამოაცხადეს პიროვნების და პიროვნული ღირსების, თემის და სოფლის „კითხულ კაცთა“ (თავ-კაცთა) დევნის კამპანია. ბევრ მათგანს „ქურდის“ იარლიყი მიაწებეს და მართლაც ქურდებთან გაათანაბრეს ამ (ნამდვილმა) ჰიქსოსმა ყაჩაღებმა. სოფელი, თემი, ქალაქი, რომელიც გონიერი ხევისბერი და მახვში კაცების ენერგეტიკაზე იდგა, დაშალეს...

ჭკვიანი კაცისთვის ჭკუის კითხვა და ჭკუაკითხული კაცისგან დარიგების მიცემა დანაშაულად გამოაცხადეს! და შექმნეს განურჩეველი, ჭაობის ტიპის საზოგადოება რამდენიმე „ბაყაყის“ საყვირით...

საზოგადოება უკუღმა შემობრუნებული ფარის სინდრომით, რომელსაც გონიერი ლიდერი არ ჰყავს და სადაც მიდგება უფსკრულის პირას, იქ ჩარჩება, ან ჩაიჩეხება.

ასეთ ფარას წაღმა შემობრუნება არ შეუძლია და თუ შემობრუნდა, წინ მაჩანჩალა და კოჭლი აღმოჩნდება...

მათ იცოდნენ და იციან, რომ მათი ფარა და ყოველი მათგანი ჭირიანია, მათ არ ჰყავთ და არც უნდათ ღირსეული წინამძღოლის არსებობა, ამიტომ ასეთი ფარის ყოლა ურჩევნიათ... და კიდევაც დარჩნენ ასე „იხვის ჭუჭულის“ ანაბარა, რომელიც აცხადებს, რომ ისინი მომავალ არჩევნებში დაამარცხებენ ივანიშვილს და განდევნიან „ქართულ ოცნებას“...

„მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდა“, — ამათ, ამ „ნაცების„ ნარჩენებს, ყველგან ივანიშვილი ესიზმრებათ და ელანდებათ... იმდენად შეარყია და შეაძრწუნა მან ამ ჭილყვავების ბუდე, მაგრამ ბოლომდე ვერგაფრენილი და ყველაზე „დიდი ყვავი“ ახლა ბებერი მაკკეინის ბუდეში ზის და იქიდან დაგვჩხავის... ეტყობა, „ყრუ“ მაკკეინს არ ესმის მისი ჩხავილი!..

**(ნაწყვეტი წერილიდან „სგ“ 2015 წ. N39 )**

# ამ არჩევნებზე გამოჩნდება მოსახლეობის რა ნაწილი ვერ ანსხვავებს ერთმანეთისგან სიკეთეს და ბოროტებას, სიმართლესა და ტყუილს...



## „საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია:

**— ბატონო ნიკუშა, ჩემთან საუბრისას არაერთხელ გითქვამთ, რომ თავმოყვარე კაცმა „რუსთავი2-ს“ საერთოდ არ უნდა უყუროს, თუმცა, მოსახლეობის ნაწილი მათ სატყუარას მაინც ეგება.**

— დარწმუნებული ვარ ეს სატყუარა 9 ოქტომბერს დასრულდება. ყველა სოციალურ ფენასთან შეხება მაქვს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო მოვიარე და კარგად ვიცი მოსახლეობაში რა განწყობებიცაა. „რუსთავი2“ იმდენად აბსურდულ მდგომარეობაშია, იმდენ ტყუილებს აფრქვევს, რომ მგონი, ცოტა ხანში, ეს ტელევიზია, თუ საერთოდ დარჩა ტელე-სივრცეში, ცირკად გადაკეთდება. „ნაციონალებს“ ხალხის მხარდაჭერა ნულის ტოლი აქვთ. მათ მხარს ძირითადად ის ადამიანები უჭერენ რომელთაც პირადი ინტერესი ამოძრავებთ, ანუ თანამდებობის, მდგომარეობის დაბრუნება უნდათ, მათი პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ძალიან დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს. ხალხს მივმართე კიდეც: პირველი, რაზეც უნდა ვიფიქროთ ჩვენი ქვეყანაა. მესმის, ადამიანს ვისაც სარჩო არ გააჩნია, ძნელია ყველაფრის გაანალიზება მოსთხოვო. თუ ჭიქას ვწევთ და საქართველოს ვადღეგრძელებთ, ჩვენი მოვალეობაა იმაზეც ვიფიქროთ რა სჭირდება რეალურად დღეს ჩვენს ქვეყანას. პირველი რაც მას დღეს სჭირდება ესაა სტაბილურობა, მშვიდობა და აქედან გამომდინარე, მივიღებთ სწრაფ განვითარებასაც. ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და კიდევ ბევრის გაკეთებას აპირებს. შეიძლება რაღაც პრობლემები არის, მაგრამ იგი ყველაზე მთავარს აზერხებს — ქვეყანაში მშვიდობასა და სტაბილურობას ინარჩუნებს. აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ და სხვა პარტიებს თავი არ მოვატყუებინოთ.

**— ხშირად გვესმის, რომ „ნაციონალებს“ 200 ათასი მხარდამჭერი ჰყავთ. ნუთუ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მართლა მოენატრა ის 9-წლიანი რეჟიმი, რაშიც „ნაციონალებმა“ გამოგვატარეს?**

— ჩემთვის ძალიან სამწუხაროა იმის გააზრება, რომ 200 ათასი ქართველი მხარს „ნაციონალებს“ უჭერს, მაგრამ მხარდამჭერების უმეტესობა ის ადამიანები არიან, რომელთა უკან ნათესაობა, ოჯახები, თანამდებობადაკარგული პირები დგანან, დანარჩენებს იმედია, თვალი აეხილებათ, ისინიც ხომ ჩვენი თანამოქალაქეები არიან. მათ უნდა ავუხსნათ, დავანახოთ პრობლემის არსი და თუ მაინც ვერ გაიგებენ, მაპატიონ, მაგრამ მაშინ პრობლემები საკუთარ თავში ეძებონ. მათ ისეთი მხარდამჭერებიც ჰყავთ, რომლებიც „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებულები ჯინაზე აძლევენ მათ ხმას. ასეთი ადამიანები საკუთარი ქვეყნის განვითარებაზე, ადამიანის უფლებებზე არ ფიქრობენ. ასეთი ხალხი ძალიან მეცოდება იმიტომ, რომ მათ მეზობლისაც შურთ, ნათესავისაც, მეგობრისაც, მათი ცხოვრება უბედურია, იღვიძებენ გაბოროტებულნი და იძინებენ გაბოროტებულნი. ღმერთმა უშველოთ, სხვა რა ვუსურვო.

**— როგორ ფიქრობთ, რეალურად, პარლამენტში მოხვედრის რა შანსები აქვთ „ნაციონალებს“?**

— ვერ გეტყვი. პირადად, ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელია, რომ „ნაციონალები“ პარლამენტში შევიდნენ. მაგრამ სამწუხაროდ, ადამიანების გარკვეული ნაწილი რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, ისე აზროვნებენ და ფიქრობენ, რომ საკუთარ ცხოვრებაზე და ვიღაცაზე გაბრაზებულები ჯიბრზე „ნაციონალებს“ აძლევენ ხმას. ვნახოთ, რამდენ პროცენტს მიიღებენ. საინტერესოა, მოსახლეობის რა ნაწილი ვერ ხედავს, ვერ ანსხვავებს სიკეთეს და ბოროტებას, წესიერებას და უწესობას, სიმართლესა და ტყუილს. აი, ეს ნაწილი მისცემს ალბათ, „ნაციონალებს“ ხმას, რაც ჩემთვის, სამარცხვინო იქნება.

**— ბატონო ნიკუშა, „ქართული ოცნების“ პირველმა პირებმა არაერთხელ გააკეთეს განცხადება „ნაციონალების“ მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციებზე. თქვენ თუ ხედავთ საფრთხეს?**

— რა თქმა უნდა, მათ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობის სურვილი აქვთ, მაგრამ არაფერი გამოუვათ იმიტომ, რომ პროვოკაცია, დანაშაული კანონით ისჯება, თანაც ეს არ მუშაობს თუ მოსახლეობა ზურგს არ გიმაგრებს. ვერ წარმომიდგენია მოძალადე „ ნაციონალების“ მხარდასაჭერად ხალხი მასობრივად გამოვიდეს ქუჩაში. თუ მსგავსი რამ მოხდა, შესაბამისი კანონმდებლობით სამართალდამცავები ამ ყველაფერს აღკვეთავენ. ურჩევნიათ, ხალხის დიდ ნაწილს მათი ქმედებები ყელში არ ამოუვიდეს, თორემ მაშინ დაინახავენ, რა არის უბედურება.

სიკეთის დამნახავმა ადამიანმა, თუ უმადური არ არის როგორ შეიძლება უარყოფით კონტექსტში ახსენოს ბიძინა ივანიშვილი. მან დიდი პროექტები განახორციელა, უამრავ სიკეთეს აკეთებს, ჩამოთვლაც კი ჭირს. ვინც ამას ვერ ხედავს, ელემენტარულად, შური, ბოროტება ამოძრავებს. დედას გეფიცები ასეთი ადამიანი თუ არ მეცოდებოდეს. რატომ მეცოდება, იცი? — იმიტომ, რომ მისი ცხოვრება უბედურია. არ ვიცი ასეთი ადამიანები იღიმებიან, უხარიათ რამე თუ საერთოდ რას აკეთებენ. ასე, რომ ვერ ვხვდები როგორ უნდა მოეწყოს არეულობები. ხალხის დიდი ნაწილი „ნაციონალების“ პროვოკაციას არ აჰყვება. პირიქით, აქეთ, მეორე მხარეს დგას მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ამ ყველაფერს მოთმინებით უყურებს და იმედი აქვს, რომ ყველაფერი კონსტიტუციურ ფარგლებში მოგვარდება და მოწესრიგდება.

**— თუმცა, დაპირისპირებები უკვე გამოიკვეთა, განსაკუთრებით, რეგიონებში. სამეგრელოსა და აჭარა „ნაციონალების“ შემოსევაა. ორი დღის წინ საააკაშვილმა განაცხადა, თუ ერთ რეგიონს წააგებს „ქართული ოცნება“, ე.ი. მთლიანად წააგებს არჩევნებსო.**

— „რუსთავი2“ ისე წარმოაჩენს თითქოს, რაღაც ხდება. სინამდვილეში, სოფლებსა და ქალაქებში ხალხის ასჯერ მეტი რაოდენობა, რასაც ისინი აჩვენებენ, წყნარად მუშაობს, „ქართულ ოცნებას“ უჭერენ მხარს და შვილებსა და ქვეყანაზე ფიქრობს. სამეგრელოს ძალიან დიდი ნაწილი ყველაფერს კარგად ხედავს. ნუ განვსაზღვრავთ იმ რაოდენობის ხალხით, რომელიც დგას და სანდრა რულოვსის სიმღერებს უსმენს. სამეგრელოს მოსახლეობა ძალიან საღად, ჯანმრთელად ფიქრობს, ყველაფერს ხედავს და სიმართლეს სიცრუისგან ანსხვავებს. იმედი მაქვს, რომ არჩევნებზეც ასე იქნება, მეგრელი ხალხი ჩემი სისხლი და ხორციაა. ზუგდიდში, წალენჯიხაში, სხვა სოფლებში ისეთ ადამიანებს ვიცნობ, რომლებიც ამ პროპაგანდით ასე მარტივად არ მოტყუვდებიან და თავს იმ დღეში არ ჩაიგდებენ, რაშიც აქამდე იყვნენ. იცი, რას მეუბნებოდა მეგრელი ხალხი შეხვედრებზე რომ დავდიოდით? — ბატონო ნიკუშა, „ნაციონალებმა“ შვილები დაგვიპირისპირეს — თანამდებობებს, ფულს სთავაზობენო.

**— ბატონო ნიკუშა, სამეგრელოში მაჟორიტარმა სანდრა რულოვსმა ხალხთან შეხვედრისას აღნიშნა: „მე ვარ იმის გარანტი, რომ ძალადობა აღარ განმეორდება“-ო. ეს რას ნიშნავს?**

— მან, ფაქტობრივად, აღიარა ის ძალადობა, რაც რეჟიმის დროს იყო. ვინ იყო მაშინ პრეზიდენტი, მისი ქმარი ხომ არა?! ერთხელ ძალადობა ჩაიდინე და ახლა, მარწმუნებ, რომ აღარ ჩაიდენ?! მაშინ რატომ ჩაიდინეს, ვინ აძალებდათ. ამას ხალხი მეორედ აღარ ჭამს.

**— კოაბიტაციის შედეგად, ფაქტობრივად, სოროებში შემძვრალი „ნაციონალები“ დღის სინათლეზე გამოვიდნენ. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ უნდა დადგეს თუ უნდამათი პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ყველა დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს — არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის იგი — პოლიტიკური სუბიექტი, დიდი თანამდებობის ყოფილი პირი თუ სხვა, ეს სტანდარტი უნდა დამკვიდრდეს. ასეა ყველა ევროპულ ქვეყანაში და ეს ჩვენთანაც უნდა დამკვიდრდეს. დასავლეთი საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო არ უნდა ითხოვდეს დამნაშავეების დაფარვას. მათთან





მეტი ახსნა, მუშაობა, დარწმუნება საჭირო, მეტი ფაქტები უნდა მივაწოდოთ. მე სულ ვთხოვდი ჩამობრძანდით და ხალხს, საზოგადოებას დაელაპარაკეთ, მარტო არასამთავრობოებს, მთავრობას და ოპოზიციას ნუ ხვდებით-მეთქი. ჭეშმარიტება და სიმართლე ყოველთვის ხალხშია.

**— თქვენ ახსენეთ, რომ „ქართული ოცნება" უმრავლესობით მოვა პარლამენტში. როგორ ფიქრობთ, რა არის მისი მთავარი იარაღი?**

— ბიძინა ივანიშვილის მხარესაა ხალხი, საზოგადოება, რომლებიც აზროვნებენ, აქვთ შეფასების კომპეტენცია, ანალიზის უნარი. ჩემს გარშემო უმეტესობა — მწერლები, მეცნიერები, ხელოვანები ყველაფერს სწორად აღიქვამენ. განსაკუთრებით, ბიზნესი უნდა იყოს მადლიერი. დღეს, ყველას აქვს საშუალება რაღაც აკეთოს, ყველას ხელი გაემართა. ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" აპირებენ ინფრასტრუქტურულ პროგრამებსაც მიხედონ, რათა ხალხი დასაქმდეს და მხოლოდ დახმარებების შემყურე არ იყოს. თაკო, ამას დრო სჭირდება, ასეთი საკითხები არც ოთხ და არც რვა წელიწადში არ გვარდება. ჩვენ, „ნაციონალებივით" ხომ არ დავიწყებთ ხალხის მოტყუებას — ხვალ, შვეიცარიას დავემსგავსებითო, ვიმეორებ, ამას დრო უნდა. სიმართლის გაგებას, ანალიზის უნარს უნდა მივეჩვიოთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ — ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის, შვილების ბედი. არ შეიძლება თამაში, ემოციებს აყოლა, გაბრაზება და ასე გადაწყვეტილების მიღება. შეხედეთ, რა ხდება ჩვენს გარშემო, რა რთული ვითარებაა, ნებისმიერმა არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება უდიდესი ტრაგედია მოუტანოს ქვეყანას.

ზოგადად, კავკასია დიდი ინტერესის სფეროა, ყველაფერი გასათვალისწინებელია. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ დაუფიქრებელი გადაწყვეტილებები მივიღოთ. პოპულისტურმა ნაბიჯებმა შეიძლება იქ მიგვიყვანოს, სადაც მაშინ „ნაცებმა" მიგვიყვანეს.

**— ახალ პარლამენტში რა შემადგენლობას ელით?**

— არ ვიცი, ეს ხალხის გადასაწყვეტია. რეალურ ოპოზიციას, სიმართლე გითხრათ, პარლამენტში ვერავის ვხედავ. ვფიქრობ, „ქართული ოცნება" უმრავლესობას აიღებს. ზოგადად, ოპოზიციური სპექტრი სუსტია, აკლიათ სიბრძნე, რეალობის შეგრძნება, ხალხთან იმ ენაზე საუბარი რა ენაზეც უნდა ესაუბრონ. ხალხს რას აღარ ჰპირდებიან, მაგრამ როგორ აპირებენ მის შესრულებას, არავინ ამბობს. ერთი პარტია გვპირდება 200 წლის რომ გახდებით პენსია ოთხი ათასი ლარი გექნებათო. განა რამდენი მოქალაქეა საქართველოში 200 წლის? ხომ არ შეიძლება სულ ასეთი „ლაბავოი" ტყუილებით გვკვებონ. ხალხო, დაფიქრდით, ვინ გესაუბრებათ, აქამდე როგორ მოვიდა, ვინ ვისგან იღებდა ფულს. ხომ არ შეიძლება კაცი მოვიდეს და გითხრას: ქალბატონო, 200 წლის რომ გახდები პენსია 5 ათასი ლარი გექნებაო. ხომ უნდა დაფიქრდე გახდები 200 წლის? ეს ფუჭი დაპირებებია, ვერავინ ვერაფერს შეასრულებს. ხალხო, გეუბნებით, ეს დაპირებები ფუჭია, არ მოატყუებინოთ ვინმეს თავი და მერე არ ინანოთ. აბსოლუტური ბოდვა მიდის.

**— ბატონო ნიკუშა, ახლახან, ნიკა გვარამიამ განაცხადა: თუ არჩევნების შედეგები ჩვენს კვლევებს არ დაემთხვევა, ე.ი. გაყალბებულიაო. გამოდის, უკვე ემზადებიან იმისთვის, რომ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ?**

— რა თქმა უნდა, ამისთვის ემზადებიან. მაპატიეთ, მაგრამ გვარამიას სურვილებზე ხალხი ვერ ივლის. საერთოდ არ ვუსმენ „რუსთავი2-ს". ხალხმა მათი რწმენა დაკარგა — მგელი, მგელიო და მათი აღარავის სჯერა. მათი ყველა მცდელობა უსუსური იქნება.

**— ბევრს საუბრობენ იმაზეც რომ სააკაშვილი უბრუნდება სამშობლოს. მას არჩევნების წინა დღეს საზღვართან შეკრებაც აქვს დანიშნული თავის გუნდთან.**

— არ ვიცი, რაზე იკრიბებიან, შეიძლება საყიდლებზე მიდიან თურქეთში. სააკაშვილი რას გააკეთებს, ჭკუათმყოფელს ამის ამოცნობა არ ხელეწიფება. შეიძლება გვირაბს თხრის ოდესიდან გორამდე. „კასკა" კი დაიხურა და მგონი დაიწყო უკვე გვირაბის თხრა. მოვიდეს ბატონო, საქართველოში და პასუხი გასცეს სამართალდამცავების ხალხის ბრალდებებს. თუ მართალი კაცია ჩვეულებრივი გზით რატომ არ ჩამოდის ქვეყანაში, რად უნდა გვირაბი?!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მიმართვა „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერებს!

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** ისეთივე დამნაშავეები ხართ, როგორც „ნაცმოძრაობა".

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** მხარს უჭერთ თქვენი თანამემამულეების, თქვენი სამშობლოს შეურაცხყოფას, გაუბედურებას, გაუპატიურებას, უდანაშაულო ადამიანების წამებას და დახოცვას.

ჯალათების მხარდამჭერიც ჯალათია!
მკვლელების მხარდამჭერიც მკვლელია!
ყაჩაღების მხარდამჭერიც ყაჩაღია!

ამიტომ თქვენ, **ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** თქვენ, ვინც ჯალათების, მკვლელების, ყაჩაღების მხარეზე დგებით, ფაქტობრივად, მზადყოფნას გამოთქვამთ აწამოთ, მოკლათ, დააყაჩაღოთ, ააოხროთ, გაანადგუროთ.

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** სულში აფურთხებთ ყველას, ვისაც „ნაცმოძრაობის" ფაშისტურ-კრიმინალურმა რეჟიმმა ცხოვრება დაუნგრია, დაუხოცა შვილები, ძმები, დედები, მამები, წაართვა ქონება, გააქცია ქვეყნიდან.

„ნაცმოძრაობისთვის" მხარდაჭერით თქვენ დამნაშავეების თანამზრახველები, დანაშაულის თანამონაწილეები ხდებით და სამუდამო ცოდვით ამძიმებთ როგორც საკუთარ თავს, ასევე თქვენს შთამომავლობას.

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** იმის ღირსი ხართ, რომ დანარჩენმა ქართველებმა მოგიკვეთონ — არ მოგესალმონ, ხელი არ ჩამოგართვან, გწყუროდეთ და წყალი არ მოგაწოდონ, გშიოდეთ და პური არ მოგიტეხონ, არც თქვენს ლხინში მოვიდნენ და არც თქვენი ჭირი გაიზიარონ.

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** გაცილებით უარესები ხართ, ვიდრე „ნაცმოძრაობაა" — „ნაცმოძრაობა" თავისი პოლიტიკური ინტერესებისთვის იბრძვის, მაგრამ რისთვის იბრძვით თქვენ, ნუთუ იმისთვის, რომ თქვენი წყალობით გამარჯვებული „ნაცმოძრაობა" უკან მოგიტრიალდეთ და პირველებს სწორედ თქვენ გაგისწორდეთ?

**თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს,** მხარს უჭერთ სამოქალაქო დაპირისპირებას, მხარს უჭერთ ძმათამკვლელ ომს, მხარს უჭერთ თქვენი შიზოიდი ლიდერის შიზოიდურ გეგმებს, რომლებსაც შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა შეეწიროს.

რასაც „ნაცმოძრაობა" აკეთებს და რისკენაც „ნაცმოძრობა" მოგიწოდებთ, ეს ქვეყნის ღალატია.

შეიძლება ბოლომდე არ გაქვთ გაცნობიერებული, მაგრამ თქვენ, ვინც „ნაცმოძრაობას" უჭერთ მხარს, პოტენციური მოღალატეები ხართ, XXI საუკუნის ახალი შადიმანები, საუკუნო წყევლის და შეჩვენებისთვის განწირულნი.

**გამოფხიზლდით! გამოერკვიეთ! გამოიღვიძეთ** და თავი დააღწიეთ „ნაცმოძრაობის" ჰიპნოზს, რომელმაც ზომბებად გაქციათ და განსჯის უნარი დაგიკარგათ!

**გამოფხიზლდით! გამოერკვიეთ! გამოიღვიძეთ** და თქვენი ხალხის, თქვენი ქვეყნის გვერდით დადექით!

**„საერთო გაზეთი"**











# გურამ ლაკია:
# საქართველოს ძირძველი მიწა და ათასობით გულანთებული ქართველის სიცოცხლე შევარდნაძის ძალაუფლების შენარჩუნებას შეეწირა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N36)

გურამ ლაკიას მონაყოლიდან ირკვევა, რომ მოლაპარაკების შედეგად მიღებულ იქნა სამპუნქტიანი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს რესუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო აღიარებდნენ ერთმანეთს, როგორც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის კოორდინირებულად ბრძოლისთვის გამოთქვამდნენ მზადყოფნას. ამავე მოლაპარაკებაზე გადაწყდა, რომ საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისა და ხელმძღვანელო-



ბისთვის შექმნილიყო ერთიანი ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბიდან სამი ოფიცერი შევიდოდა. მხარეები მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან განახორციელებდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალების სრულ მობილიზაციას და რაც მთავარია, გადაწყდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო დაუპირისპირდებოდა ყოველ მესამე, შეიარაღებულ ძალას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული დაპირისპირების გაჩაღებას შეეცდებოდა. სამპუნქტიან შეთანხმებას, რომელსაც ასრულება არ ეწერა, დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ხელი მოაწერეს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გენერალმა პაატა დათუაშვილმა და პოლკოვნიკმა მამალაძემ. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მხრიდან გურამ ლაკიამ და მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა და მთავარი სამმართველოს კადრების უფროსმა მაიორმა პაპასკირმა. გურამ ლაკია სამპუნქტიანი შეთანხმების შესრულების მიზნით თავდაცვის იმდროინდელ მინისტრთან გია ყარყარაშვილთან შეხვედრას და შეხვედრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს იხსენებს.

სამპუნქტიანი ხელშეკრულების განსახილველად, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს დელეგაცია 24-ე ბრიგადის მეთაურს გენერალ გენო ადამიას შეხვდა. ბრიგადის მეთაურისთვის ხელშეკრულება მისაღები აღმოჩნდა. შეხვედრაზე განხილული იქნა ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობის საკითხები. გენო ადამიამ მთხოვა, რომ თუ აფხაზეთში მდგომარეობა გამწვავდებოდა, მის დაქვემდებარებაში გაგვეგზავნა ეროვნული გვარდიის სოხუმის ბატალიონი მაიორი სოსო ჯომიდავას მეთაურობით, რაზეც ჩემგან თანხმობა მიიღო. მოგვიანებით, ჯომიდავას ბატალიონმა გმირულად იბრძოლა გუმისთაზე, 24-ე ბრიგადის შემადგენლობაში. 1993 წლის 20 აგვისტოს 24-ე ბრიგადის მეთაური, გენერალი გენო ადამია რამდენიმე ოფიცერთან ერთად, ჩამოვიდა ზუგდიდში განლაგებული ეროვნული გვარდიის მთავარ შტაბში. ის ვარაუდობდა, რომ სეპარატისტთა დაჯგუფება აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების განახლებისთვის ემზადებოდა. ჩვენ ერთიანი მოქმედებების გეგმაზე შევთანხმდით და სამპუნქტიანი შეთანხმების შესრულების დასაჩქარებლად, დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრთან გია ყარყარაშვილთან შეხვედრა დავგეგმეთ. 1993 წლის 25 აგვისტოს სენაკში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი ვახტანგ ქობალია და მე გია ყარყარაშვილს შევხვდით. ყარყარაშვილმა სამპუნქტიანი შეთანხმება მოიწონა და ბრძანა, რომ ამის შესახებ ედუარდ შევარდნაძეს მოახსენებდა და ორ დღეში პასუხს გაგვცემდა. რა თქმა უნდა, შევარდნაძეს ჩვენი ერთობა არ აწყობდა, ამიტომ არც ორი დღის შემდეგ და არც მერე პასუხი არ მიგვიღია. 1993 წლის 16 სექტემბერს სეპარატისტულმა დაჯგუფებამ და მისმა მხარდამჭერებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები განაახლეს. მათ ორგანიზებული შეტევა განახორციელეს უკიდურესად დასუსტებულ სოხუმის დამცველებზე. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდლობა, დარჩა რა 24-ე ბრიგადის მეთაურის გენო ადამიასთვის მიცემული სიტყვის ერთგული, 17 სექტემბერს სენაკის აეროპორტიდან თვითმფრინავით გადააფრინა სოხუმში ეროვნული გვარდიის სოხუმის ბატალიონი სოსო ჯომიდავას მეთაურობით. 18 სექტემბერს პოზიციებიდან მოიხსნა ბანდფორმირებებისგან დასაცავად განლაგებლი ეროვნული გვარდიის ბატალიონები. დღის მეორე ნახევარში 650 კაციანი დაჯგუფება, ჩემი ხელმძღვანელობით საბრძოლო მზადყოფნაში განლაგდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერას ტერიტორიაზე. დავიწყე შეტევისთვის მზადება, რომ მეორე დილას მდინარე კოდორზე გავსულიყავი. ამისთვის ვეწვიე დე-ფაქტო ხელისუფლების შტაბს და შევხვდი დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს დაჯგუფების მეთაურს, გენერალ გუჯარ ყურაშვილს. მასთან ერთად შევათანხმე შეტევის გეგმა, დრო, გამყოფი ხაზი და რადიო სადგურის სიხშირე. მეორე დილას ანუ 19 სექტემბერს შეტევაზე გადავედით. ჩემს დაჯგუფებას მოწინააღმდეგემ ტამიშთან, მაიმუნების საშენის შენობიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნა. მე რადიოსადგურით დავუკავშირდი გენერალი ყურაშვილის შტაბს, კოორდინატები გადავეცი და არტილერიის დახმარება ვთხოვე. ყურაშვილმა თხოვნა ბრწყინვალედ შეასრულა და მორიგი შეტევისთვის გამიხსნა გზა. 19 ოქტომბერს 17 საათსა და 45 წუთზე ჩვენი დაჯგუფება დაბა ახალ კინდღში შევიდა და დასასვენებელი ბანაკის ეზოში განთავსდა. გენერალი ყურაშვილის შტაბი კი მეფრინველეობის ფერმის ტერიტორიაზე განთავსდა.



გურამ ლაკია აღნიშნავს, რომ საქმეში თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის ჩარევის შემდეგ, დე ფაქტო ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი ეროვნული გვარდიის კოორდინირებული მოქმედება შეიცვალა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დამარწმუნა, რომ შევარდნაძემ ყურაშვილის დაჯგუფების დასუსტების გზით, კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერი დაჯგუფების განადგურება გადაწყვიტა. შევარდნაძის მზაკვრულ გეგმას ასრულება არ ეწერა, თუმცა ამას სამხედროების სიკვდილი და ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვააცხადებს გურამ ლაკია.

20-23 სექტემბერს ჩვენ გავაფართოვეთ პოზიციები და მდინარე კოდორის მარცხენა სანაპიროზე 2,5 კმ-იანი მონაკვეთი დავიკავეთ. კოდორის შესართავთან, ზღვის აკვატორიაში რუსეთის სამხედრო ფლოტის დაჯგუფება ბარჟირებდა, ამიტომ გენერალ ყურაშვილთან ერთად, დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვითი პოზიცია შევქმენით. 25 სექტემბრისთვის სოხუმის დამცველებთან შეერთების მიზნით დავგეგმეთ ერთობლივი შეტევითი ოპერაცია. განვახორციელეთ მოწინააღმდეგის დაჯგუფების დაზვერვა და ცალკეული შეტევების იმიტაციით საცეცხლე წერტილების გამოვლინა. 24 ოქტომბერს, დაახლოებით 17 საათზე, გენერალი ყურაშვილი რადიოსადგურით დამიკავშირდა და მასთან, შტაბში ჩასვლა მთხოვა. ყურაშვილს თავისი შტაბი რადიოსადგურის მანქანის ძარაში ჰქონდა განთავსებული. შესვლისას არ შემიმჩნევია, რომ ძარის კუთხეში ბუშლატგადაფარებული ყარყარაშვილი თვლემდა. ჩემი შესვლისას, «ბუშლატი» გადაიძრო, მომესალმა და თქვა, რომ სოხუმის დამცველებს ძალიან უჭირთ და შევარდნაძის დავალებით, საჩქაროდ, 300 მებრძოლი და 5 ჯავშანმანქანა



უნდა მივაშველოთ. მე გავბრაზდი და ვუთხარი: ბატონო გია, თქვენ «პაჟარნიკივით» დარბიხართ, ჩვენ კი ხვალინდელი შეტევა ჩაგვეშლება თქო. ამაზე მიპასუხა, რომ ბრძანება უკვე გაცემული აქვს და გუჯარის დაჯგუფებას ოჩამჩირის ბრიგადიდან გამოგზავნილი მებრძოლები შეავსებენო. ყარყარაშვილმა300 კაციანი დაჯგუფება და 5 ჯავშანმანქანა წაიყვანა, მე კი ემოციები მოვთოკე და დაველოდე, ვინ მოვიდოდა ყურაშვილის დაჯგუფების შესავსებად. გენერალი მაგიდასთან იჯდა და რვეულში იწერდა მოსული მეთაურების ვინაობას და მებრძოლთა რაოდენობას. პირველი ვიღაც პოლკოვნიკი მოვიდა 11 კაცით. (მათ ხომ ნაკლები სამხედრო წოდება არ გააჩნდათ, ყველანი პოლკოვნიკები და გენერლები იყვნენ) მას სხვა პოლკოვნიკები მოჰყვნენ, თუმცა 150 მებრძოლის მიღების შემდეგ, მომსვლელთა ნაკადი შეწყდა. მე ყურაშვილთან დავაზუსტე მეორე დღის მოქმედების გეგმა და ჩემს შტაბში დავბრუნდი. 24-დან 25 სექტემბრის ღამეს ჩემი დაჯგუფება 460 კაცის შემადგენლობით, ორი ტანკითა და სამი ჯავშანმანქანით დაბა აძიუბჟის დასავლეთით, მჭიდროდ დასახლებულ პუნქტთან განვალაგე. არტილერია და მცირე რეზერვი მეორე ეშელონში, სოფელ წყურგილესთან დავტოვე. 25 სექტემბერს დილის 8 საათზე შეტევაზე გადავედით და 10 საათისთვის რკინიზის ხიდი დავიკავეთ. შეტევის უახლოესი ამოცანის შესრულების შემდეგ უნდა დავლოდებოდით გენერალი ყურაშვილის დაჯგუფებას, რომელიც საავტომობილო ხიდზე უნდა გასულიყო. ამ ეტაპზე ჩემი მიზანი იყო სადგურზე და დაბა აძიუბჟის გზისპირა დაჯგუფებაზე ფლაგიდან ზეწოლა, რომ გენერალი ყურაშვილის დაჯგუფებას შეტევის უახლოესი ამოცანის შესრულებაში დავხმარებოდი. ამის შემდეგ შეგვეძლო კოდორის გადალახვა და სოხუმისკენ შეტევის განვითარება. 12 საათისთვის მოწინააღმდეგის აძიუბჟის დაჯგუფებამ აღმოსავლეთისკენ იბრუნა პირი. მე რადიოსადგურით დავუკავშირდი გუჯარ ყურაშვილს და ვკითხე, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან მიპასუხა, რომ სადგურთან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და მოწინააღმდეგის პოზიციის გარღვევას ცდილობს. მე გავაძლიერე ზეწოლა სადგურის დაჯგუფებაზე. 15 საათისთვის მდგომარეობა შეიცვალა. ამ დროს, საბრძოლო კომპლექტის დიდი დანახარჯი გვქონდა და შეტევითი ოპერაციის შემდგომ განვითარებას საფრთხე ემუქრებოდა. მე ისევ დავუკავშირდი გენერალ ყურაშვილს. მან მითხრა, რომ სადგურ დაჩაზე შეტევისას ბატალიონი «გორდას» რამდენიმე მებრძოლი დაეჭრა და ზურგში გაიყვანეს. მათ დანარჩენები მიჰყვნენ და უკან დაიხიესო. ვკითხე ამჟამად, სად იმყოფებით თქო და მიპასუხა, რომ იქაა, საიდანაც შეტევა დაიწყეს, ანუ მეფრინველეობის ფერმასთან. ამის მოსმენა ძალიან მძიმე იყო. ჩემი დაჯგუფების მებრძოლები შიშმა მოიცვა. რამდენიმეს ნერვებმაც უმტყუნა, თუმცა პანიკის თავიდან აცილება შევძელით და დაბნელებამდე პოზიციები შევინარჩუნეთ. ჩვენ შევძელით უმნიშვნელოდ დაგვეხია უკან და შეგვენარჩუნებინა პოზიცია მდინარე კოდორის მარცხენა სანაპიროზე 2,5 კმ-ის ფრონტით. ამ ბრძოლაში დაგვეღუპა ორი გვარდიელი და ორი დაგვეჭრა. შევარდნაძის მზაკვრულ ჩანაფიქრი ითვალისწინებდა გენერალი ყურაშვილის დაჯგუფების სპეციალურად დასუსტებას და დეზორგანიზებას, რომ მას დასახული მიზანი ვერ შეესრულებინა. ამის შედეგად, მდინარე კოდორის მარჯვენა სანაპიროზე გადასული ჩემს დაჯგუფებას დაუცველი რჩებოდა მარჯვენა ფლანგი. მარცხენა ფლანგზე ზღვა იყო, ზურგში მდინარე კოდორი. მოწინააღმდეგე განახორციელებდა ჩემი დაჯგუფების მიმართ შეტევას მარჯვენა ფრთიდან და ფრონტიდან, რაც პანიკას და არეულობას გამოიწვევდა და მოწინააღმდეგე იოლად გაგვანადგურებდა. სწორედ ეს იყო შევარდნაძის ჩანაფიქრი და მისი შემსრულებელი გია ყარყარაშვილი და სხვანი იყვნენ. მიზანი ვერ განახორციელეს, მაგრამ ამ ავანტიურამ ქართულ ჯარს დიდი დანაკარგი მოუტანა. მე ამ ბრძოლაში დამეღუპა ორი გვარდიელი და ორი დამეჭრა. ჩვენ ორგანიზებულად დავიხიეთ უკან და მდინარე კოდორზე პოზიციები 2,5 კმ-ის ფრონტით, მდინარე კოდორის შესართავამდე დავიკავეთ. 26-29 სექტემბერს ვეხმარებოდით დევნილებს კოდორის გადმოლახვაში. სოხუმის დაცემის შემდეგ, ჩემი მიზანი იყო შემენარჩუნებინა პოზიციები მდინარე კოდორის მარცხენა სანაპიროზე და დავლოდებოდი სოხუმიდან წამოსულ ქართულ ჯარს. ჩვენ გავერთიანდებოდით, მდინარე კოდორის მარცხენა სანაპიროზე დავიკავებდით თავდაცვის პოზიციებს და არ დავუშვებდით მოწინააღმდეგე მხარის მიერ კოდორის გადმოლახვას. ამით საქართველოს იურისდიქციაში შევინარჩუნებდით ოჩამჩირის და გალის რაიონებს, მაგრამ შევარდნაძეს სხვა, მზაკვრული გეგმა ჰქონდა. 27-დან 28 სექტემბრის ღამის 2 საათზე კოდორზე, ჩვენს პოზიციებზე გადმოვიდნენ გენერლები ზაურ უჩაძე, გია გულუა და სხვები. ორი ავტომატით შეიარაღებული ჯარისკაცის შუაში მდგარ ზაურ უჩაძეს, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ჯარების დაჯგუფებას მეთაურობდა, ვკითხე სად იყო ჯარი და მან დაბნეულად მიპასუხა, რომ ჯარის მდებარეობის შესახებ არაფერი იცის. მივხვდი, რომ სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. დეზორგანიზებული ქართული ჯარი და ლტოლვილი მოსახლეობა შევარდნაძემ გოლგოთის გზას გაუყენა სვანეთისკენ. მან ფიზიკურად გაწირა ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია, გენო ადამია, მამია ალასანია და ყველა ის ადამიანი, რომელიც პასუხს მოთხოვდა. შევარდნაძეს ცოცხალი მხოლოდ წელში გატეხილი, სულიერად დათრგუნული და შეშინებული ხალხი ჭირდებოდა, რომელიც სამშვიდობის გასვლის შემთხვევაში მისი მადლიერი იქნებოდა და პასუხს არაფერზე მოთხოვდა.

თუ ეს ყველაფერი ასე არაა, როგორ ავხსნათ, რომ რომ 1993 წლის 16 სექტემბრიდან, როდესაც სოხუმის დამცველები გმირულად იბრძოდნენ, მეორე ეშელონში მყოფი შეიარაღებული ძალები და მათ შორის ოჩამჩირისა და ფოთის ბრიგადები, მინიმუმ 3000 კაცის შემადგენლობით უსაქმურად იდგნენ და ტრაგედიას შორიდან შეჰყურებდნენ? ამ უპასუხო კითხვით დავამთავრებ სოხუმის დაცემის და აფხაზეთის დაკარგვის მთავარი მიზეზების აღწერას და დავამატებ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ის ხალხი, ვინც ეს უბედურება გადაიტანა. დაუსჯელად დადიან ამ უბედურების მოთავეები და შემსრულებლები და ზოგი მათგანი «გმირული» საქმეებითაც იწონებს თავს და სახელმწიფოს მწირი ბიუჯეტიდან მაღალ საპენსიო ანაზღაურებებს იღებს. დანაშაული დღემდე დაუსჯელია, დაუსჯელი დანაშაული კი განმეორებადია, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებას.ამიტომ საქართველოს მოსახლეობა ტყუილად მოელის სამართლიანობის აღდგენას ხუნტის სამართალმემკვიდრეებისგან. ქართველი ერი მსოფლიო იმპერიული, გლობალისტური ძალების მიერ დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მცდელობისთვის დაისაჯა. ისტორიულად, ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების მოღალატეებს მტერი ყოველთვის ქვეყნის წიაღში პოულობდა,რასაც ქართველმა ერმა შადიმანიზმი შეარქვა. XX საუკუნის კლასიკური შადიმანები იყვნენ ფილიპე მახარაძე და ედუარდ შევარდნაძე. XXI საუკუნის კოლექტიური შადიმანები არიან ნაცებიონალები და რესპუბლიკელები. კოლექტიური შადიმანობისათვის იბრძვის პაატა ბურჭულაძე. ქვეყანაში მომრავლდნენ პოლიტიკური კახპები და ეს უბედურება იმით დაიწყო, რომ საქართველოს ძირძველი მიწა და ათასობით გულანთებული ქართველის სიცოცხლე შევარდნაძის ძალაუფლების შენარჩუნებას შეეწირა. ამაში მე, პოლკოვნიკი გურამ ლაკია სრულიად დარწმუნებული ვარ. დანარჩენი კი დრომ და თქვენმა მკითხველმა განსაჯოს..





ნელი თორდია
571 35 36 88

ბათუ დანელია

## უნდა გველოდო აფხაზეთო!

**უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო,
როგორც არ უნდა გაიწელოს უსაშველოდრო!
ო, უჩვენობით გულმოკლულო, მაინც დიდგულო,
სიზმარში, შენს წინ დაჩოქილი, ლოცვებს ვკითხულობ.
მე მინდა, ღვთისგან მონიჭებულ წმინდა უფლებით,
ანგელოზები დაირაზმონ ერთხელ უკლებლივ
და დაგვაბრუნონ შენს თბილ მკერდში ჩასახუტებლად,
რომ სხვამ ვერ შეძლოს შენი გულის დასაკუთრება...
ცა ზაფხულისა რაზე დარობს, ზამთრის — რაზეთოვს,
თუკი ჩვენ აღარ გველოდები, შენ, აფხაზეთო?!
არ დაუდვია ღმერთს ჩვენს შორის საზღვარ-მიჯნადა —
ქართველი — აფხაზს, აფხაზი კი ქართველს ნიშნავდა.
სად გაგონილა ცა უმზეო, ზღვა — უხმელეთო
და აფხაზეთი — უქართველო?! — უნდა გველოდო!
ჩვენ უსიკვდილოდ დავბრუნდებით სულის ფრთებისთვის,
მოვალთ, მოგივალთ და მწუხარე იერს შეგიცვლით,
ისე მოგივალთ, როგორც მწყურვალს წყალი კოკიდან
და შენთვის დაღვრილ სისხლის ვარდებს უხვად მოგიტანთ...
სხვებმა რაც უნდა მოგიტანონ ძვირფასეული —
და რაც არ უნდა დაამშვენონ შენი სხეული,
როგორც არ უნდა გაიწელოს უსაშველოდრო,
უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო!**

# ორი „რაზბოინიკის“ ორი ცოლი „ნანუკას შოუში“

## ანუ შოუა თუ ყორნების გასათეთრებელი „ცეხი“?

ამერიკის ელჩის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოში წინასაარჩევნო გარემო იმდენად კარგია, რომ ნეტავ შეერთებულ შტატებში იყოს ამჟამად ასეო, მოულოდნელი იყო „ნაცმოძრაობისთვის“, რომლის ადეპტები გიორგი კანდელაკი და თინათინ ბოკუჩავა, ასევე თემურ იაკობაშვილი, ძალღონეს არ იშურებენ ევროპასა და ამერიკაში იმ სურათის დასახატად, თითქოს საქართველოში ოპოზიციის წინააღმდეგ საშინელი წინასარჩევნო ტერორი მძვინვარებს. „ნაცმოძრაობა“ სიტუაციის გამოსასწორებლად აფუთფუთდა, პროპაგანდისტული მანქანა სხვა სიჩქარეში ჩააგდო და „ჯოკერის“ გათეთრება ნანუკას შოუს მიანდო. მართალია, მანამდე ჟორჟოლიანის არაერთი მცდელობა, მიხეილ სააკაშვილი თავისუფლებისთვის და თავის ქვეყნისთვის თავდადებულ, წამებულ რაინდად წარმოეჩინა, კრახით დამთავრდა. უკრაინაში ჩასული ჟურნალისტი და რესპონდენტი წყევლისა და გინების ერთ მოთუხთუხე ქვაბში მოიხარშა. თუმცა, ფაქტი მეტყველებს, რომ უკეთესი ვარიანტი არც ჰქონდათ. ამიტომაც მთავარი და უკანასკნელი „ჯოკერის“, სანდრა რულოვსის გათეთრების მისიაც მას დააკისრეს, თანაც, ორივე ქალბატონის წარსული რაღაცით ერთმანეთს ჰგავს, განსაკუთრებით სიყრმის წლები... ნანული ხაზგასმით აღნიშნავს რესპონდენტის ევროპულ წარმომავლობას და თავისუფლების ხარისხს. მოკლედ, შოუ „განსაკუთრებული სტუმრით“ ნანუკამ თბილისიდან დაიწყო, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ან „მთლად“ ფხიზელი ვერ იყო, ან ფსიქიატრს საჭიროებს... შეხვედრა „საპატიო სტუმართან“ დანგრეულ გზაზე ზუგდიდთან ახლოს პერიფერიაში შედგა, სანდრამ „გულისხმიერების და სათნოების“ დასაფიქსირებლად ნანუკასაგან ნებართვა აიღო, გზაში შემხვედრ ხალხს მისალმებოდა. ცუდ სოფლის გზაზეც შეაჩერეს ყურადღება, თითქოს ცხრაწელიწადი ცოტა დრო იყო სამეგრელოზე „უზომოდ“ შეყვარებულ და საქართველოზე დაქორწინებულ პირველლედყოფილს გზები და უამრავი სხვა პრობლემა გახსენებოდა. სანდრას გამარჯვების იმედიც ჰქონია, მაგრამ, თუ ვერ გაიმარჯვებს, მეგრელებს დახმარებას მაინც ჰპირდება. უამრავი ლტოლვილის ფიქრით, დუხჭირი ეკონომიკური მდგომარეობით, სანდრა თურმე დარდით დნება და გაჭირვებულ ადამიანებს, რომ დაეხმაროს, ამისათვის პოლიტიკაში მოსვლას აპირებს, რათა „მეორე კრუგზე“ უფრო საფუძვლიანად და აზრიანად გაანადგუროს ის, რაც ჯერ კიდევ სუნთქავს და გადარჩა. გადაწყვეტილების მისაღებად ერთი წელი დასჭირდა, სურდა, რაღაცების შეცვლა და ჰქონდა ძლიერი მოტივაციაც. მიშას დროს საქართველო „წინ წასულა“, თან ბევრის მამაც ყოფილა მიშა, მათ შორის, მისი შვილების და ამიტომაც „იღვწოდა“ უკეთესი მომავლისათვის. სამეგრელოს რეგიონთან სხვა „ფაქიზი“ დამოკიდებულება აქვს. სიმღერის და მეგრული ენის გარდა. კიდევ ბევრი სხვა რაღაცებიც შეუძლია. „ჯოკერმა“ სინანულით აღნიშნა: რუსულ პროვინციას, რომ არ დაემსგავსოს სამეგრელო, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებაა საჭირო, რადგან ქვეყანის წინსვლა შეჩერებულია. სანდრას სამეგრელოს მიმართ „საკრალურ“ დამოკიდებულებაზე სოციალურ ქსელში არაერთი სტატუსი გამოქვეყნდა, რამდენიმე ძალიან საინტერესოც: „მე, არნო ხიდირბეგიშვილი, მივცემ ხმას „ნაცმოძრაობას“ , თუ სანდრა საჯაროდ დამისახელებს: 1. ორი ზუგდიდელი ტაქსის მძღოლის გვარს, რომლებთანაც ახალგაზრდობაში სექსი ჰქონდა, მათ შორის – იმ მძღოლის გვარს, განსაკუთრებულად რომ შეუყვარდა და ჰოლანდიიდან ვისკების კოლექცია რომ ჩამოუტანა; 2. მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის, პარლამენტარის და ბიზნესმენის გვარებს, ვისთანაც სექსი ჰქონდა მიშას იუსტიციის მინისტრობისა და პრეზიდენტობის დროს, რის გამოც ისინი დაიჭირეს და მოკლეს“ ვფიქრობ, საყურადღებო ინფორმაციააა...გარკვეული პერიოდი სანდრას პოლიტიკაში გამობრწყინების წინააღმდეგი ყოფილა მისი უფროსი ვაჟი ედუარდი- „მე უმამოდ გავიზარდე და ნიკუშას გინდა დედა არ ყავდეს-ო?“ უთქვამს და ორი თვე ძალიან განიცდიდა თურმე ამ ამბავს სანდრა. თუმცა ორი თვის შემდგომ ეს



„ბარიერიც“ ედუარდს მოუხსნია და ქარიშხალივით შევარდნილა ქართულ პოლიტიკაში. შოუში ნანუკამ დაწვრილებით მოაყოლა როგორ მოხდა მისი და მიშას გაცნობა-შეუღლება. სანდრამ, რასაკვირველია, ჩვეული შელამაზებული არასწორი ისტორია „მიყიდა“ მაყურებელს. ნუ, რა თქმა უნდა, „ცერეუს“ როლზე არაფერი უთქვამს... ბედნიერ ოჯახის დიასახლისის როლს სიმღერ-სიმღერით ირგებდა, შვილის, ედუარდის აშშ-ში სასწავლებლად გამგზავრება მტკინვეულად განუცდია, უფროს შვილთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და თვლის, რომ იგი მას ჰგავს ხასიათით, ხოლო უმცროსი ვაჟი პატარა მიხეილია რა დამამშვიდებელი ინფორმაციაა. მიშას, იცოდა რომ ვერ შეცვლიდა და რაშიც იყო ძლიერი, არ უნდა შეეშალა მისთვის ხელი. მას თავის საქმე ჰქონდა. აკავშირებდათ სურვილი, საქართველო ევროპულ ქვეყნად ექციათ. რაც ნაწილობრივ მოახერხეს, მათი გუნდის წევრებზე ვიდეოჩანაწერები მოწმობს, რომ ვისი ვისაში იყო, გარკვევაც უჭირდათ.

შვილების დედას და საქართველოზე, განსაკუთრებით, სამეგრელოზე „შეყვარებულ“ დედას, ვფიქრობ, სინანული უნდა გამოეხატა, სულ მცირე, ბოდიში მოეხადა ია მეტრეველისთვის სენაკში, სადაც სანდრა რულოვსი და კობა ნაყოფია მოსახლეობასთან შეხვედრას მართავდნენ.

„პასუხი ჯერ ჩვენ გაგვეცით და ხალხს მერე დაელაპარაკეთ,“ – მიმართა ია მეტრეველმა სანდრა რულოვსსა და კობა ნაყოფიას.

„მინდოდა თვალებში ჩამეხედა სანდრასთვის, ისევე, როგორც განაცხადა, რომ მის ძვირფას მეუღლეს ჩახედა თვალებში, რომ საქართველოში აღარ იქნება გაუპატიურება, აღარ იქნება ბიჭების ხოცვა ქუჩაში, მინდოდა ჩაეხედა ჩემს თვალებში. რა პასუხს გაგვცემს“, — განაცხადა მეტრეველმა. სანდრა დაიბნა, მის გვერდით მდგარი ნაყოფიაც, მყისვე კუბოს ქურდს დაემსგავსა რულოვსი, პასუხის გაცემას საჯაროდ შეჰპირდა და მოგვიანებით კომენტარი „თავის“ ჟურნალისტებთან გააკეთა:

„არიან ადამიანები, რომლებმაც დიდი სიმწარე ნახეს იმ დროს, როცა მიშა იყო პასუხისმგებელი. ეს არის ურთულესი საკითხი, რომელიც მას შეეხო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დღევანდელ შეხვედრასთან და ჩემს პოლიტიკაში შესვლასთან არანაირ კავშირში არ არის. მე არ უნდა დამაბრალონ და მე არ უნდა მითხრან, რომ მე სისხლში ვდგავარ“. სანდრაზე, როგორც ჩანს, დიდად არ უმოქმედია შვილმკვდარი დედის მხილებას და შეხვედრები გააგრძელა. სამაგიეროდ, ოპერატიულად იმოქმედეს მისმა ტვინგამორეცხილმა მხარდამჭერებმა და ია მეტრეველს და მის თანმხლებ ქალბატონებს, შეურაცხადებმა შეურაცხოფა მიაყენეს და ავტომანქანაც დაუზიანეს. აღნიშნულ ფაქტს სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი გამოეხმაურა:

„...სად ხართ სინდისშერჩენილი, ნამუსიანი ქართველები, იმ კუთხეში სულ დაილიეთ?! დღეს ვნახე ია მეტრეველს როგორი შეაძახილებით აძევებენ სამეგრელოდან და გაცეცხლებული ვარ! კაცი მაისურზე კობა ნაყოფიას რომ დაიწერ და ქალი მკვლელი სააკაშვილის ცოლს მხარს რომ დაუჭერ, შენ რაღა ქართველი ხარ?! სანდრასთვის რომ სხვისი შვილები არაფერს წარმოადგენს ფაქტია, მას არც სანდრო ახსოვს, არც ბუტა, არც ერთი საჯიშე ბიჭი, რომლებიც ქუჩაში უმოწყალოდ ჩახოცეს. არც ციხეში ნაწამებ-დასახიჩრებული ბიჭები, რომლებიც ინვალიდის ეტლით გადაადგილდებიან, არც მისი გარეწარი ქმრის დავალებით დაყაჩაღებულ-განადგურებული ადამიანები. არც შვიდი ნოემბერი, არც ოცდაექვსი მაისი... დიახ, მთავარია სანდრა, მისი მცირერიცხოვანი ხროვა და მათი მონაგარი იყოს ფრთებგაშლილი, დანარჩენები, ქვეყანასთან ერთად, თუნდაც წყალს წაუღია“...

სიკეთის მეტი არაფერი გამიკეთებია პირველი ლედობის დროს და ედა ახლა რაღაცეებს მაბრალებენ, თან ჩემ სფეროში, ჯანდაცვის სფეროში, სანიტარი თავის სფეროდ რატომ თვლის ჯანდაცვას, დღემდე გაუგებარია, სიკეთეც უკეთებია, ჰმ, ეგ გაკეთებული სიკეთე დაუბრუნდეს მაგის ოჯახს მისხალ-მისხალ, ან ექვს თვეს რატომ დაკარგავს სასამართლოში, ადვოკატის ფული არა აქვს? მაგრამ იცის, უამრავი მტკიცებულება არსებობს მის წინააღმდეგ და წამგებიანი იქნება ამ ეტაპზე ჩივილი. თუმცადადგება ის დროც, პასუხს რომ აგებს არამარტო ორგანოებით ვაჭრობის გამო და არამარტო საქართველოში.

სანდრა: – იყო ერთი-ორი მომენტი, მაგრამ მერე მივხვდი, რო არ ღირს ზედმეტად რკვევა და დეტალების გარკვევა უფრო მეტად გაღიზიანება.

შესანიშნავი დუეტია, იმას, რასაც მათი გარეწარი მეორე ნახევრები აკეთებდნენ და არც თვითონ აკლებდნენ, ჭორი ყოფილა, ნანუკას ქმარყოფილი, ნარკობარონი, გვამების შემგროვებელი, ყაჩაღი და მკვლელი, რომ არის, ესეც ჭორია?

სანდრა: – ყოველთვის ამაზე ვფიქრობდი, რომ მართლა ძალიან დაძაბულ ცხოვრებაში ცხოვრობს და ძალიან დიდ რისკებზე მიდის



და არ შეიძლება, მე დავიწყო, აბა, ეხლა შენ სად რჩები და მითხარი, სად მიდიხარ და სად იძინებ და რა გავიგე, უბრალოდ, ვერ ვაძლევდი ჩემ თავს უფლებას სიცოცხლის და სიკვდილის ზღვარზე თამაშია პრეზიდენტობა, როცა ასეთი ხარ, როგორიც არის მიშა, დიდ რისკებზე მიდიხარ შენი ქვეყნის გადასარჩენად, ან შეგიტიონ, ვაპატიებ, აი, ასეთი განწყობა მქონდა ყოველთვის, ასე ვთქვათ, ეპატიება.

ძალიან სასაცილო პასუხია, ანუ აღიარებს, რომ ქმარი ქალებს თავზე იმასშვებოდა, უბრალოდ, ბრძანება ქონდა სპეცსამსახურებისგან შეერგო, რაც ჰქონდა და ეთამაშა ერთგული ცოლის როლი, თუმცა არც ეგ გამოსდიოდა და არც ერთი პრეზიდენტის მეუღლის ირგვლივ არ ტრიალებდა ისეთი ამაზრზენი მითქმა-მოთქმა, როგორც მის გარშემო.

სანდრა: — რა ვიცი, შეიძლება ოდესმე მიშამ ინანოს, რომ მე პოლიტიკაში შევედი იმიტომ, რომ მე ნამდვილად არ ვარ, ასე ვთქვათ, არ ვარ შემსრულებელი რაღაც-რაღაცეების. მე მაქ ჩემი გზა, ჩემი არჩევანი. მე ძალიან ვაფასებ მიშას, როგორც პრეზიდენტს აი, რაც გააკეთა ყველანაირად, ეს არის ჩემთვის საოცარი, რაც ამან გააკეთა 10 წლის განმვალობაში. მე რაღაც-რაღაცეებს სხვანაირად გავაკეთებდი, მაგრამ ასეთი შედეგი არ მექნებოდა, რაც დღეს არის. ასეთი პოლიტიკოსი

რა და მისი ოჯახია, სიმები დანარჩენი ნაცხროვის წევრები. მიშას სანდრას და მათ ელიტარულ გუნდს რომ სამარეც ვერ გაასწორებს, ფაქტია, სურვილი აქვთ, ხალხს დააჯერონ, გამოვსწორდითო თუმცა ჩვეულებას ვერ ღალატობენ. მოწინააღმდეგე ქალია, კაცი თუ ბავშვი მათთვის მნიშვნელობა არა აქვს. რამდენიმე დღის წინ სამ ახალგაზრდას, რომლებიც ფლაერებს არიგებდნენ, მათ შორის ერთი გოგონას, ნაცები სასტიკად გაუსწორდნენ და სამივე ახალგაზრდა სტაციონარში გადაიყვანეს...

მიხეილ სააკაშვილი კი თითქოს უკრაინიდან ვერ „იქადაგებდა“, ნიუ-იორკის ეკლესიის ამბიონიდან იქადაგა, თითქოს ქართული ეკლესიები, მინიმუმ საზღვარგარეთ – მიხეილ სააკაშვილს უჭერენ მხარს! მერე გამოირკვა, რომ ეს უკრაინული კათოლიკური ეკლესია იყო, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მომხრეებმა მასთან საარჩევნო შეხვედრისთვის იქირავეს და იქ არავინ სხვა არ შეუშვეს. შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონის მონუმენტის ფონზე! მოდელირებული მესიჯი – ამერიკა, მისი გარდაცვლილი, ცოცხალი თუ მომავალი ლიდერები და მისი დემოკრატიის სიმბოლოც მხარს უჭერს „დემოკრატიის შუქურას“! – სინამდვილეში ამერიკაში ნებისმიერი დიქტატორიც, თუ ვიზა ჩაურტყეს, მოახერხებს ვაშინგტონის მონუმენტის ფონზე ვიდეოს



მეორე არ დაიბადება საქართველოში. მისი დონის შეიძლება რაღაცა არ მოეწონოთ. მისი სტილი დომინანტური პოზიცია, მაგრამ მე ვაღიარებ. როგორც დიდ ლიდერს საქართველოსი 2012-ში, ხო გვითხრეს ხალხმა, რო რაღაცეები არ მოგვწონს და გიშვებთ ეხლა სახლში სხვები გააგრძელებენ, ხო გავიდა ეხლა ის დრო, ეხლა ხო ხედავენ, რომ ის მმართველები, ვინც არიან, ვერ მიხედეს ქვეყანას. მე როგორც მთაწმინდელი, ნიკა რურუას ვაძლევ ხმას. სხვებმა თითონ გადაწყვიტონ, შედარების მასალა ბლომად არის და მე მგონი, ხალხს აქვთ ის უნარი, რომ ტყული და მართალი განისაზღვროს“ — „ჯოკერის“ უტიფრობას არა აქვს საზღვარი. ნანუკა და სანდრა მთელი გადაცემის მიმდინარეობისას ისე ჟღურტულებდნენ, საერთოდ არ გახსენებიათ ან სინანული, დანაშაულის განცდა, სხვისი შვილები, მშობლები, ძმები... და სანდრას „ნდომები“, რომ მიშაც პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, რადგან საქართველო მიშა, სანდ-

გადაღებას. მიხეილ სააკაშვილი თურმე რაღაც კონფერენციაზე იყო და სიტყვითაც გამოვიდა, მაგრამ რა ისაუბრა და როგორი გამოხმაურება ჰქონდა, ამაზე დუმს. ჯონ მაკკეინთან შეხვედრის კადრებიც ყოველგვარი განცხადებების და კომენტარების გარეშე იყო „რუსთავი2“-ის რეპორტაჟში, რაც იმას მაფიქრებინებს, რომ მიშას მისთვის სასურველი მიღება ამერიკის ისტებლიშმენტში არ ჰქონდა. რვა ოქტომბერს ჩაესვენება მიშას და სანდრას მზე. ზუგდიდში სანდრა ვერ მოიგებს არჩევნებს. შესაძლოა პარლამენტში მოხვდეს თუმცა მალე მიხვდება, რომ აქ მისი ადგილი არ არის. სად გააგრძელებს მოღვაწეობას, უცნობია, მაგრამ დავალების შეუსრულებლობის გამო, რომ პენსიაზე გასვლა მოუწევს, ფაქტია. ისტორიაში კი აუცილებლად შევა მისი ოჯახი, როგორც საქართველოს ამაოხრებლის, ქვეყნის გამყიდველის და ერის გამხრწნელის სახელით.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## facebook რას ფიქრობს ხალხი?

„გამოდის, ამ სახელმწიფოში თურქული რესტორნის ბანერის გადატრიალება უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე მთლიანად სახელმწიფოს გადატრიალება? მოწიფული მამაკაცები გეგმავდნენ შეიარაღებულ გადატრიალებას და დაკითხვაზე დაბარებულებმა უბრალოდ თქვეს, არაო, არ მოვალთ პროკურატურაშიო და მორჩა. ასწორებს ტოოო...“

„მჯერა ისე სამარცხვინოდ დამარცხდება ჰოლანდიელი ქალბატონი, ისე სამარცხვინოდ, რომ აქეთ აღარასდროს გამოიხედავს“

„ქართული ოცნების“ წევრ გოგონას თავში ქვა ჩაარტყეს ზუგდიდში, უგონოდ ეგდო — რა ხდება, მე თქვენი დედა...“

„შეიძლება, ახლანდელი ხელისუფლება არ მოგწონდეს რაღაც მიზეზების გამო, მაგრამ „ნაცები“ რა პონტში უნდა გიყვარდეს, აი, ამას ვერ მივხვდი უკვე 12 წელია.“

„სამეგრელოს ახსოვს პალიასტომში ჩაყრილი მეგრელების გვამები! მამების თვალწინ გაუპატიურებული გოგოები!“

„მიშმადიდებლები კამიკაძეებზე უარესები არიან. არ გამიკვირდება ქამარი რომ შემოიკრან წელზე და აიფეთქონ თავი „ზა მიშა ზა როდინუს“ ყვირილით.“

„ნაციონალების“ მობრუნებაზე ვინც ოცნებობს ისინი უფრო მძულს, თორემ „ნაც-აქტივი“ გამოუსწორებელი მანიაკია, ვიცი.“

„როგორ შეიძლება ერთდროულად გიყვარდეთ სამშობლო და 35 ათას თურქისთვის მოქალაქეობის მიმნიჭებული ღორის შვილი? — ამერიკაში მყოფ სურენას ტრ...-ის მლოკავებს მივმართავ.“

„შენ დღეს საქართველომ დაგწყევლა, სანდრა! ეს კი, მერწმუნე, გამოცხადებულ ომზე უარესია!“

„ვერაფრით ჩამოვყალიბდი — ვინ უფრო საძაგელია, მიშა თუ სანდრა...“

„ამ ნაძირალებს როგორ უნდა მივცეთ ხმა, როგორ?! ჩემი ნება რომ იყოს, დასავლეთიდან დაფინანსებულ-წახალისებულ პარტიებს ოფისებში ბომბს შევუგდებდი...“

„რუსთავი-2-ს“ გადაეცით ვინმემ, სანდრას კვალს რომ მიჰყვებიან ტურებივით, სენაკის ბაზარშიც რომ გაედევნენ და იქიდან ვინ ვის ასწრებდა ქოშუკულმა ნაყარს სანდრას, ის რატომ არ აჩვენეს ფართო საზოგადოებას? სენაკის ბაზარში სენაკელები დახვდნენ მიშისტებს და „ლამაზად ჩამოელაპარაკნენ“ — ეს არ აწყობდა ენმ-ს ხომ? თორემ იდეურ-პოლიტიკური დონე „რუსთავი-2?“

„სანდრინიო რულოვსი და „ნაცები“ დაწანწალებენ სამეგრელოში და იძახიან, ვისწავლეთ ჩვენს შეცდომებზეო. კაცისკვლა შეცდომაა? ბიზნესების „ახევაც“ შეცდომაა? ქუჩაში ბიჭების დახოცვაც შეცდომაა? ჩიხეგამოვლილი 300 000 კაციც შეცდომაა? სულ რომ 2 გვამი გჭირდებოდათ, ისიც შეცდომაა? 26 მაისს რომ რუსთაველზე ხალხი დაკალით და მერე სისხლზე ისე იცეკვეთ, ფეხიც არ აგიცურდათ, ესეც შეცდომაა? და ციხე რომ აბუ-გრეიბს დაამსგავსეთ, ისიც შეცდომაა თუ დანაშაული? აი, მეც რომ „შევცდე“, შეცდომაში ჩამეთვლება თუ დანაშაულში?“

„იმის მერე, რაც ნაცზონდერებმა სამეგრელოში (სოფელ დიდინეძში) პატარა გოგონები უმოწყალოდ სცემეს, ნურავინ შემახსენებს კორცხელს (ძალიან საეჭვო) ინცინდენტს. მოვითხოვოთ ამ „პაპუნების“ სამაგალითო დასჯა!“

„მეგრელები რომ იძახიან, ერთი მუჭა ცუდი ხალხი ყველას ჰყავსო, მერედა ვეღა ჩააკმენდინებენ ხმას მაგ ნაძირალებს? მითუმეტეს, რომ სამეგრელომ ყველა კუთხეზე მეტი იწვნია ნაც-მანიაკების ხელში...“

„ზოგადად, ქართველი კაცი ოჯახს არ უნდა ეხებოდეს, მაგრამ სხვა გზას რომ არ გვიტოვებენ ეს ოჯახმო...ლები?“

„ტროას ცხენია სანდრა, რამდენი „ნაციონალი“ ჰყავს მუცელში და შეაპარებს პარლამენტში, ღმერთმაც არ იცის.“

„ნაცმოძრაობის“ განმარტებით, პატარა გოგონებმა პაპუნას ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, სულ თავებს ურტყამდნენ მის მუშტებს და ქვას ისე, რომ ამ მოძალადეებიდან სამი საავადმყოფოში აღმოჩნდა.“

„ვაიიი, რა გადავიტანეთ და ამათ უნდათ მობრუნება... ერთი, მათი მომხრეების მენტალობაში ჩამაძვრინა...“

„ვისაც „ნაცების“ სიყვარული აქვს შეყრილი, სერიოზულად ვამბობ, ძალიან საშიშები არიან. ყველა მათგანი იმავეს შემსრულებელია, რასაც ისინი აკეთებდნენ — ცემა, წამება, კვლა, გაუპატიურებები, ქონების წართმევები... სხვანაირად, უბრალოდ, წარმოუდგენელია. აბა, როგორ უნდა იყო მოხიბლული „ნაცებით“, რამ უნდა მოგხიბლოს?“

„ყველა, ვინც ამ შვილმოკლულ დედებს ენას უტლიკინებდა, ამათ მდგომარეობაში ამყოფა, მერე მიხვდებიან ვის უჭერენ მხარს!“

„სანდრა — გასაგებია, მაგრამ მისი მხარდამჭერების გამკვირვებია. რაც მაგის ქმარმა სამეგრელოში დაატრიალა, დაავიწყდათ? ალბათ, ეს ქალი ჰოლანდიაში უვიზოდ მგზავრობას, ვილებს და დიდ „მაყუთს“ შეპირდა თავის მომხრეებს. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, ასე როგორ გამოშტერდა ეს ხალხი?“

„ამათ მომპარეს წლები და ციხეში გამომკეტეს, ამათ ვაპატიებ? ამათ გამიშრეს სისხლი. არ მოვეშვები სანამ სამართლიანობა არ აღდგება, თუ არა და მე თვითონ აღვადგენ, ეგ მაინც შემიძლია... სამართლიანობა უნდა აღდგეს! პროკურორი პროკოფი ჭანკოტაძე იყო შვილით.

# 8 ოქტომბერს, არჩევნების გზით, ცივილიზებულად, „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ საერთოდ განდევნის პოლიტიკური ველიდან

## ინტერვიუ სამეგრელო-ზემო სვანეთის ვიცე-გუბერნატორთან, ბატონ კობა ქანთარიასთან



**— ბატონო კობა, სამეგრელო ყოველთვის იყო პოლიტიკურად აქტიური რეგიონი, რა განაპირობებს ამას, კუთხური ხასიათი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა თუ თავსდამტყდარი მრავალი არასახარბიელო პოლიტიკური კატაკლიზმები?**

— ბოლო წლებში ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ რომ აღმოვჩნდით, ამანაც ითამაშა გარკვეული როლი. შიდა პოლიტიკურ ჭრილში რომ გადმოვიტანოთ საუბარი — ვინც იყვნენ ძველი ხელისუფლების ოდიოზური ფიგურები, თითქოს ყველა სამეგრელოდან იყო, გვარებს არ ჩამოვთვლი, ისედაც ყველამ იცის — მამა-შვილები და სხვები, ციხის მთავარი შემოქმედები ამ ქალაქიდან იყვნენ. ამ ხალხს ნათესავები ჰყავთ, ახლობლები, კლასელები და, აქედან გამომდინარე, ცხელი წერტილი ბოლო წლების არჩევნების ყოველთვის იყო სამეგრელო, ამას დავუმატოთ მეგრელების ხასიათი და იქმნება თაიგული.

რა თქმა უნდა, აქ თითქმის ყველა ერთმანეთის ნათესავია, თანაქალაქელები, ერთი კუთხის შვილები და ეს აერთიანებს აქ ხალხს, მაგრამ ჩვენთვის, ხელისუფლებისთვის, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია თვით ადამიანი, მოქალაქე, ამიტომ არ ვარჩევთ, ვინ ვისი ნათესავია, ვისი მომხრე, ვისი მხარდამჭერი და ა.შ. ჩვენი ხალხი ყველა ჩვენია და კანონთან შესაბამისობაში, ყველას ერთნაირად ვექცევით. მით უფრო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ახლახან გააჟღერა მოსაზრება, რომ შერიგებისკენ, ურთიერთთანხმობისკენ უნდა წავიდეთ.

ჩვენ ვცდილობთ მშვიდი, კონკურენტული გარემო შევქმნათ არჩევნებისთვის.

ნაციონალები რას იმსახურებენ, კარგად ვიცით, მაგრამ ჩვენ რევანშისტები არ ვართ.

**— თქვენ არ ხართ რევანშისტები — გასაგებია, მაგრამ მოსახლეობა რამდენად ეგუება იმას, რომ მოძალადე და მწამებელი მასთან თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამ ნიადაგზე წინასაარჩევნოდ, ან არჩევნების დღეს კონფლიქტი ხომ არ შეიძლება მოხდეს?**

— ახლახან სოფელ ჯიხაშკარში ინციდენტი მოხდა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა ახალგაზრდებმა პროტესტი გამოხატეს ნაციონალების აქტივობის საწინააღმდეგოდ. დამერწმუნეთ, ისინი იქ არავის გაუგზავნია. მათ თავიანთი აზრი გამოთქვეს. ჩვენს ინტერესებში შედის, რაც შეიძლება მშვიდობიანად ჩატარდეს არჩევნები, რადგან ჩვენ ვიგებთ ამ არჩევნებს. „ქართული ოცნების“ ალტერნატიული ძალა დღეს ქართულ პოლიტიკაში არ არსებობს. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, პროგრესისკენ მიმართული პერსპექტივები მოუტანა ამ ხელისუფლებამ საქართველოს და სამეგრელოს.

**— როგორ ფიქრობთ, ხალხი კმაყოფილია?**

— მოსახლეობა ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ რაც ჩვენ 3 წელიწადში გავაკეთეთ, 30 წელიწადია, არ გაკეთებულა სამეგრელოში. გზები, ხიდები, ბოგირები, შენობების რეაბილიტაცია, შუქი, წყალგაყვანილობა.

**— ანუ „ნაცმოძრაობა“ არაფერს არ აკეთებდა?**

— ჩვენ 400 მლნ ლარის ინვესტიცია გვაქვს მობილიზებული. წელიწადში 1369 პროქეტია განხორციელებული მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში. ამდენი არასდროს არ გაკეთებულა. ამ პროგრამაში შედის ნენსკრა-ჰესის პროექტი, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, რუხი-მოლი,. 220-ადგილიანი საავადმყოფო რუხში, ეს სერიოზული მიღწევებია.

წეღან მოსახლეობის განწყობა ახსენეთ და ერთ ამბავს გავიხსენებ. გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობის რემონტი მიმდინარეობდა, დაცვაც არ იდგა კარებში, ყველას შეეძლო თავისუფლად შემოსვლა. ჩემი კაბინეტის კარი ისედაც ყოველთვის ღიაა, მაშინაც ასე იყო. შემოვიდა შავებში ჩაცმული ქალბატონი. მობრძანდით-მეთქი, ვუთხარი. — შვილო, ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ შევხვდე, თბილისში წამსვლელი მე არ ვარ, თქვენ ხართ აქ მმართველები და თქვენ გეტყვით უდიდეს მადლობას: ჩემს მეუღლეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა, ოპერაცია უფასოდ გაუკეთეს, თვითონ ჩემი ოპერაციის თანხა 18 000 ლარი სახელმწიფოდ გადაიხადა, შვილიშვილი დამწვრობის ცენტრში წევს, ისიც არაფერს იხდის, ჯამში 40 000 ხელისუფლებამ ჩემი ოჯახისთვის დახარჯა, მადლობა თქვენ და ხელისუფლებას, გადაეცით, რომ თქვენი მადლიერი ვართო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სანამ ცალკეული ადამიანი საკუთარ თავზე არ გამოცდის ხელისუფლებისგან მხარდაჭერას, ვერ აღიქვამს, რომ ყველაფერი უკეთესადაა და კიდევ უკეთესად იქნება.



დღეს ყველაზე მთავარი მონაპოვარი თავისუფლება არ არის? არავის არ უსმენენ,. არავის ატერორებენ, უგზოუკვლოდ არ იკარგებიან ადამიანები.

ადრე რეგიონის წყალმომარაგებაში ვმუშაობდი. 300 თანამშრომელი მყავდა. საარჩევნო შტაბში რომ მივდიოდი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, არავის არასდროს უთქვამს — 300 თანამშრომელი გყავს, კეთილი ინებე და 300 ხმა მომიტანეო. ყოფილი ხელისუფლების დროს 300 სამზე ამრავლებდნენ და 900 ხმა უნდა მიგეტანა. დღეს არავინ არავის არ ერჩის, არავინ არავის აძალებს, ვისაც უნდა, იმას მისცემს ხმას. ჩვენ არ ვაკონტროლებთ ამას. ხალხი ხედავს ჩვენს შრომას, ჩვენს მიღწევებს და დარწმუნებული ვართ, ყველაზე მეტ ხმებს ჩვენი გუნდი მიიღებს.

არც ისეა საქმე, სამეგრელოში ყველაფერი კარგად იყოს — უმუშევრობის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას, მაგრამ ვიმედოვნებთ, ანაკლია-პორტის მშენებლობის დაწყებისთანავე ძირითადად მოვხსნით ამ პრობლემას.

**— ბატონო კობა, კორცხელის მსგავსი ინციდენტის განმეორების საშიშროება არ არსებობს?**

— კორცხელში რაც მოხდა, ეს იყო ნაციონალების მხრიდან დაგეგმილი პროვოკაციის შედეგი.

თქვენ გახსოვთ ქვების სროლები მათი მხრიდან. ვერავის აუკრძალავ რაიმე თავყრილობაზე მოსვლას ვერც ნაციონალს, ვერც სხვა ვინმეს, მაგრამ კორცხელში შეცდომაც იქნა დაშვებული კანდიდატის შერჩევისას.

დღეს ისეთი კანდიდატებია შერჩეული, რომ, შეიძლება ითქვას, საუკეთესოდ მიიჩნევიან. მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, უკეთესიც შეიძლებოდა,. მაგრამ პარტიამ გადაწყვიტა მათი დასახელება და მშვენიერი კანდიდატებიც დასახელდნენ.

**— გარკვეული დროის წინ „საერთო გაზეთში“ დავბეჭდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ აფხაზეთიდან და აჭარის რეგიონიდან არეულობების განხორციელებას აპირებენ 8 ოქტომბრისთვის. რამდენად არის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნია მობილიზებული მოსალოდნელი დესტაბილიზაციისთვის?**

— „ნაციონალებისგან“ არაფერი გამიკვირდება, თუმცა ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები მობილიზებულნი არიან, შესანიშნავად მუშაობენ და ყველანაირ საფრთხეს აარიდებენ მოსახლეობას.

„ნაციონალებს“ ქვეყნის არევა უნდათ. მათ საქართველოში სიმშვიდე აღიზიანებთ. ჩვენი წარმატებები გულს უხეთქავთ. ხომ გახსოვთ, რა ამბავი ჰქონდათ, ჩვენმა ქვეყანამ ვიზალიბერალიზაცია რომ მოიპოვა, ხელს უშლიდნენ ჩვენს წარმომადგენლობას.

დარწმუნებულიო ვარ, ესენი არჩევნებს წააგებენ, რასაც არ შეეგუებიან და ათასგვარ სისაძაგლეს მოიფიქრებენ.

სამწუხაროდ და ჩემდა გასაკვირად, სამეგრელოში „ნაცმოძრაობას“ მხარდამჭერები ჰყავს, ჩვენთან, სადაც დარჩელის ტყეში, მიწისქვეშა ბუნკერში ბოძზე გაკრულს, აღიარებითი ჩვენების მისაღებად შიშვლებს აუპატიურებდნენ,. გასაკვირი ამბავია, მაგრამ, ვერაფერს ვიტყვი, მათი აზროვნებაა შესასწავლი.

დაავიწყდათ, თბილისში საპროტესტო აქციაზე რომ ვერ მიდიოდნენ, რადგან ნაციონალებს ყველა მათგანი აღრიცხული ჰყავდათ ოჯახებიანად, ნათესავ-მეგობრებიანად? მანქანებს ლურსმენს უყრიდნენ უღელტეხილზე საბურავები რომ გაფუჭებოდათ, საჯარო მოსამსახურის ნათესავი თუ გაბედავდა საპროტესტო აქციაზე წასვლას, იმ საჯარო მოხელეს აპატიმრებდნენ. დღეს ვისაც სად უნდა, იქ შეუძლია წავიდეს და იმას დაუჭიროს მხარი, ჩვენ არავის არაფერს ვაძალებთ, მაგრამ არჩევანი და შედარება ხალხმა უნდა გააკეთოს. „ნაცმოძრაობა“ და მისი წარმომადგენლები ხალხის წინაშე მუხლმოყრილი უნდა იდგნენ და პატიებას ითხოვდნენ, მაშინ, შეიძლება, ხალხს მიეტევებინა, მაგრამ ერთი ბოდიში მაგათგან არავის გაუგია. აწამო, მოკლა, გააუპატიურო, წაართვა გამზადებულ ხელშეკრულებებზე აწერინებდნენ ხელხს ხალხს შუაღამისას, ართმევდნენ მიწებს და დღეს ინვესტორი რომ მოდის, მიწას ვერ ვაძლევთ იჯარით, ისეთი რამეებია გაკეთებული. ამის ჩამდენი ხალხი კიდევ ხელისუფლებაში მობრუნებას ფიქრობს. წარმოუდგენელი ამბავია. ამიტომ, ეს წარმოუდგენელი ამბავი არ მოხდება. „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, რითაც ყოველგვარი ძალადობის გარეშე, ცივილიზებულად, საერთოდ განვდევნით „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკური ველიდან, რათა აღმოცენდეს პოლიტიკური განვითარებისთვის აუცილებელი ახალი ჯანსაღი პოლიტიკური ოპოზიცია.

რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის ამომრჩევლებს, მათი იმედი გვაქვს. იმისთვის, რომ კიდევ 4 წელიწადი ჩვენი იმედი ჰქონდეთ. ჩვენ მოვუვლით საქართველოს, სამეგრელოს, ჩვენს მებრძოლ და ერთგულ ხალხს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# რატომ არ ვაძლევ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“?

**თამარ კიკნაძე**, პოლიტოლოგი: „მიხეილ სააკაშვილი, ლევან ვარშალომიძე და მთელი მათი გუნდი არის ძალზე შავბნელი ძალა. მათ რაც არ უნდა გააკეთონ, საქართველოსთვის სასიკეთო არავითარ შემთხვევაში არ იქნება, რასაც ამ გუნდის განვლილი გზა აშკარად მოწმობს. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში რომ ყოფილიყო ასეთი პრეზიდენტი და პოლიტიკური ძალა, დიდი ხნის წინ იქნებოდა დაპატიმრებული და სამშობლოს ღალატისთვის გასამართლებული, მაგრამ ესენი გარკვეული ძალების ლობირების გამო, ხელშეუხებელნი არიან. სხვათა შორის, სენატორ მაკეინი, რომელიც რესპუბლიკელია, არ დაესწრო პარტიის ყრილობას, რაც ჩემი აზრით, ცუდი არ არის საქართველოსთვის, რადგან მაკეინი და ნაცმოძრაობა, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. აგვისტოს ომი და მთელი რიგი საქართველოსთვის დამღუპველი ქმედებებიც ამ ურთიერთობას უკავშირდება. მაკეინის სიტყვებს, მე ქართველი ვარო, თურმე უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, მას წარმატებული საარჩევნო კამპანია რომ ჰქონოდა, სააკაშვილმა საქართველო გაწირა. გეხსომებათ, ნაციონალებს ავტომანქანების სანომრე ნიშნებზე მაკეინი ეწერათ, ეს არის უკიდურესი პროვინციალიზმი და პოლიტიკური უმეცრება. მაგათ თუ ჰგონიათ, რომ ვინმე პიროვნულად, ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ საქართველოში ვინმეს მხარს დაუჭერს, ძალიან შემცდარან. ძალიან მძიმე, სახიფათო პერიოდია, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, მოზომილი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, დაწყებულია საარჩევნო პროცესი და მთავარია, ის მშვიდად ჩატარდეს, არ იყოს ექსცესები, რაც ქვეყანაში არეულობას გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ რეგიონში ძალზე დაძაბული სიტუაციაა“.

**ნიკოლოზ მჭავანაძე** „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე: „კუდის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო თოფურიძე, რომელმაც საზოგადოებას თავი ტელედაჭერებით დაამახსოვრა, ხშირად მიდიოდა სამებაში, ხატიც შესწირა, რამდენადაც ვიცი ეკლესიაც ააშენა, სააკაშვილსაც აქვს ეკლესიების ასაშენებლად ფული გადარიცხული, მაგრამ ვინმე იტყვის, რომ თოფურიძე და სააკაშვილი დიდად მორწმუნე ადამიანები არიან, როცა მათი მმართველობისას ეკლესიებში მოსასმენი აპარატურა ჰქონდათ დამონტაჟებული და უდიდესი ზეწოლა ხორციელდებოდა პატრიარქზე.

ნაცები აჯანყებისთვის რომ ემზადებიან, ეს ნიკა გვარამიამ ბრიფინგზეც თქვა, ოპოზიციურ ფრონტზე რეალურად გვარამიას მიყავს „პარადი“, ვინც ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს, მათთვის „რუსთავი-2“-ის კარი ღიაა. საქმე იმაშია, რამდენად ეყოფათ მათ ადამიანური რესურსი დაანონსებული „გრანდიოზული“ გამოსვლებისთვის. ყველა ცდილობს ხალხის ქუჩაში გამოყვანას, ეს მცდელობა ადრეც არაერთხელ ჰქონდათ, მაგრამ ჩაუვარდათ, ხალხი არ გამოვიდა. იმედს მაინც არ კარგავენ, პლიუს ამას, სააკაშვილს ჰყავს 400 კბილებამდე შეიარაღებული კაცი უკრაინაში. მე არ



ვიცი რამდენად მონაწილეობს ეს ხალხი სამხედრო ოპერაციებში, ზოგი შეიძლება მონაწილეობს კიდეც, მაგრამ გაუგებარია რატომ უნდა იბრძოდნენ ისინი სხვა ქვეყანებში, მონაწილეობდნენლებიც თურმე ამ ქვეყნის ინტერესების დასაცავად იბრძვიან, ეს იმ დროს, როცა საქართველოს აქვს ტერიტორიები დასაბრუნებელი. აქედანაც ჩანს სააკაშვილის უგუნურება, ის ვერ გაძღა ქართველების სისხლით, ახლა უკრაინაში უნდა დაღვაროს. პარალელურად ამ ადამიანების საქართველოში არეულობის მოსაწყობად გამოყენება უნდა.

სცენარი 1991 წლის 2 სექტემბრის მსგავსი იქნება, „პროტესტანტების“ აქციაზე მოხდება გასროლა, დაიღვრება სისხლი, რაც პოლიციას დაბრალდება. ამის შემდეგ აპირებს სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას, რომლის მიზანიც გადატრიალების მოწყობაა. თავის ქმედებას იმით „გაამართლებს“, რომ თურმე ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ წავიდა. წინ ძალიან რთული ოქტომბერი გველის. ეს ხალხი ყველაფერზე წამსვლელია.

ყველა ეს ოპოზიციონერი რომ გაერთიანდეს ხელისუფლების ჩამოსაგდებად, მაინც ვერაფერს მიიღებენ, რადგან ხალხის მხარდაჭერა არ ექნებათ, თუმცა პროვოკაციის მოწყობაზე აქვთ აქცენტი. ათასობით ადამიანია პოლიციასა და ჯარში, შეიძლება გამონახონ ვინმე მოღალატე და ასროლინონ, შეიძლება გადაცმულმა პოლიციელმაც გაისროლოს. ესენი ხომ პროვოკაციის დიდოსტატები არიან.

ისეთი აფორიაქებულები არიან, ისეთი სახეებით აკეთებენ ერთმანეთზე სულელურ განცხადებებს ოპოზიციური სპექტრის ეს ნაწილი, რომ ვფიქრობ, 8 ოქტომბრის მერე, ფსიქიატრებს პაციენტები მოემატებათ, ციხეებს პატიმრები, ხოლო პოლიტიკურ სანაგვეს ნაგავი პოლიტიკოსები“.

**დავით გაგნიძე**, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი: ე.წ. ვარდების რევოლუციამ გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას ვიდრე მონღოლმა დამპყრობლებმა. ამ რევოლუციის „შემოქმედნი“ „კაგებეს“ აგენტურის შთამომავლები და თავადაც ამ სამსახურის მიერ გადაბირებულნი იყვნენ, იმიტომაც გაყარეს ქართული უშიშროების სამსახურიდან და სხვა უწყებებიდან ეროვნულად მოაზროვნე პროფესიონალი კადრები.

რამდენი ჯალათი და მათი თანამზრახველი ჰყავდა საქართველოს, ამის დათვლა შეუძლებელია, ისინი ყველგან იყვნენ, იქნებოდა ეს თანამდებობრივ იერარქია თუ ბიზნესშიც. ამ სიონობოლშევიკური სისტემის შვილებს, საქრთველოს ღალატის იდეა აერთიანებდათ. ისინი უმთავრესად გაუნათლებელი, ყველაფრის მკადრებელი ე.წ. ადამიანები არიან, საკუთარი ერის მიმართ ასეთი ზიზღი, მართლაც უპრეცედენტოა.

ნაციონალები და მათი სატელიტები, აქ არასამთავრობო სექტორისა და მედიის ნაწილს ვგულისხმობ, ოკეანის გაღმა დაწერილი სცენარით მოქმედებენ, იქაური „დირიჟორის“ ხელის აქნევას ელოდებიან“.

**ზურაბ ქადაგიძე**, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი: „ნაცები და კომპანია“ ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დაძაბოს ვითარება, ყველაფერი გააფუჭოს, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ქართული სამოქალაქო საზოგადოება უკვე გაიზარდა, მასზე არ მოქმედებს წარმოდგენილი ვითომდა კომპრომატები, რომ არჩევნებზე თავიანთთვის სასურველი გადაწყვეტილება



მიაღებინონ. სიმართლე გითხრათ, არც იმას გამოვრიცხავ, „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეს.

ნაცმოძრაობა ყველანაირ შანსს გამოიყენებს, ოღონდ იმისთვის კი არა, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლებაში მოსვლის შანსი პრაქტიკულად არ გააჩნიათ, უბრალოდ, სიტუაციის არევა უნდათ. მათი პროგრამა-მინიმუმია ათზე მეტი დეპუტატი მაინც შეიყვანონ პარლამენტში, იყოს ბევრი საბოტაჟი, ლოკალური არეულობები, საერთაშორისო არენაზე ისე არ შეფასდეს მოახლოებული არჩევნები, როგორც ქვეყნის კეთილდღეობას წაადგება. მათი გეგმა-მაქსიმუმი 2020 წლის არჩევნებისთვის მზადებაა, რომ გააძლიერონ ეს უმსგავსო ქმედებები და ასეთი ზეწოლის გამოისობით, უფრო შთამბეჭდავ შედეგს მიაღწიონ. ეს რომ არ მოხდეს, ყველა უნდა წავიდეთ არჩევნებზე და საბოლოოდ დავუსვათ წერტილი ნაცმოძრაობას. როდესაც ამ პარტიას 5 ან 7 დეპუტატზე მეტი არ ეყოლებათ პარლამენტში, მერწმუნეთ, მათ მიერ მართული, უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული „ენჯეოები“ და ფონდები ვეღარაფერს უშველიან, რადგან ამ უკანასკნელთაც წყალი აქვთ შემდგარი იმ კუთხით, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი მათ უნდობლობას უცხადებს.

ამათ ტყუილად არ უწოდებენ ნაცებს, ისინი ფაშისტ-ნაცისტების პირდაპირი ანალოგები არიან, უბრალოდ მასშტაბები ჰქონდათ ნაკლები, თანაც 21-ე საუკუნეა, თორემ ხელეწიფებოდათ იმის გაკეთება, რასაც ჰიტლერი აკეთებდა. სააკაშვილსა და მის გუნდს არა პოლიტიკური და იდეოლოგიური, არამედ ვიწრო მენტალური ინტერესები ჰქონდათ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი საზოგადოებას ყოველთვის ორ ნაწილად ყოფდნენ, თავიანთ მხარდამჭერებად და დანარჩენები, ანუ ცუდები, ბოროტები და ბნელები.

მე არ ვამბობ, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო, მაგრამ, როცა ქვეყნის პირველი პირი არ ითვალისწინებს უამრავი ადამიანის რჩევას, იქნება ეს სენატორი თუ სხვა მაღალჩინოსანი, რომ არ აყვეს პროვოკაციას, არ ჩაერთოს ომში, რა დავარქვათ მის საქციელს? ჩემი აზრით, სააკაშვილმა მაშინაც ზუსტად თავისი ვიწრო მენტალური ინტერესებიდან გამომდინარე გადადგა ქვეყნისთვის დამღუპველი ნაბიჯი

მიხეილ სააკაშვილი არის კომიკური პერსონაჟი, ორი ბატონის მსახური, რომელიც ყოველთვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. გგონიათ უკრაინაში ევროპისა და ამერიკის საქმეს აკეთებს? სააკაშვილი რუსეთის საქმეს აკეთებს, მან სადაც კი დაიწყო მოღვაწეობა, იქ, მოგვიანებით, ყველგან პუტინმა შეაბიჯა“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77

## მამა ბასილი:

# სისხლისმსმელი სააკაშვილი და გვამების შემგროვებელი სანდრა მტრების დავალებებს ასრულებენ საქართველოში



***ინტერვიუ გლდანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან.***

**— მამა ბასილ, რას გვეტყვით მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით?**

— მართალია, სასულიერო პირი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, მაგრამ არც იმის უფლება მოუცია ღმერთს, გაჭირვების ჟამს პირში წყალი ჩაიგუბო და შორიდან უყურო ქვეყნის მოსპობა-განადგურებას.

ერთი რამ მაკვირვებს, ამდენი ცრუ დაპირება პარლამენტის წევრობის კანდიდატთაგან არასოდეს მსმენია. ეს იგივეა, რაც პატარა ბავშვს კანფეტს ჰპირდებოდე და არ ყიდულობდე. ისეთ დაპირებებს იძლევიან, შეგიძლია თავი სამოთხეში წარმოიდგინო, ფეხი ფეხზე გადაიდო და დატკბე ცხოვრებით. ესენი კი, გაინაღდებენ რა თბილ სავარძლებს, დიდი პატივით უთმობენ ეთერს და ისედაც გაუბედურებულ ხალხს უფრო აღიზიანებენ, გასაკვირი არ არის? გია ბარამიძე, რიმლის ხელმძღვანელობითაც ბარბაროსულად დაარბიეს ჩვენი ეკლესია, 10 კაცი დააპატიმრეს, მე 5 წლით ციხეში გამომკეტეს. ეს გია ბარამიძე გლდანში იყრის კენჭს მაჟორიტარ დეპუტატად, მივმართავ მას: ბარამიძე, სულ გაიწყვიტე შუბლის ძარღვი? გლდანელებს როგორ უნდა გაუსწორო თვალები? რამდენი ბოროტება გაქვს ჩადენილი ჩვენი ერის წინაშე? განა მიავიწყდა საზოგადოებას სვანეთში შენ მიერ ჩადენილი „გმირობა“, ვერტმფრენიდან რაკეტებს რომ უშენდი საცოდავ მოსახლეობას, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირე. შეგახსენებ შენს სიტყვებს, რომელსაც „რეზონანსის“ ფურცლებზე უტიფრად აცხადებ: „თუ ვინმე იყო ქვეყანაში სტაბილურობის მომხრე, ეს ჩვენ არ არის, ნუ აირჩევთ მამათმავლობის დამცველ ქვეყანაში — ჰოლანდიაში აღზრდილ სანდრას, რომელსაც ჩვენი ბედკრული ერი საერთოდ არ აინტერესებს.

**— ჰოლანდია რა შუაშია, არც საქართველოში დაბადებულ მიშას აინტერესებს ჩვენი ქვეყანა — სათარეშოდ უნდა აქაურობა.**

— მე სააკაშვილი ჯერ კიდევ 2004 წლის 11 მარტს ვამხილე. სწორედ იმიტომ დამიჭრა. სააკაშვილს იმდენი სისაძაგლე და უზნეობა აქვს ჩადენილი, თვლაც ძნელია. მისი შხამიანი გველის წიწილები, აქ რომ ჰყავს დატოვებული და დემაგოგიას ეწევიან, როგორც უწყინარი კრავები. ჯერ ის ცოდვები მოინანიონ, რაც ერის წინაშე აქვთ ჩადენილი და მერე იფიქრონ პარლამენტარობაზე. რაც შეეხება სააკაშვილს, როგორც მისი ე. წ. ცოლი, იგივე „სააკაშვილი 2“ აღნიშნავს, რომ გვირაბს თხრის სოლოლაკამდე, რეალურად გლდანის ციხეში



დაპირებები საპნის ბუშტივით ქრება და ასე ტრიალებს დაუსრულებლად სიცრუის კარუსელი ყოველი არჩევნების წინ. ისიც კი ავიწყდებათ, რომელი რაიონის დეპუტატები არიან, უფრო მეტიც, ერთხელაც კი არ ხვდებიან ხალხს, არ იზიარებენ მათ ტკივილს... მეტად გასაოცარია კი ის, რომ მართლმადიდებლობა არავის ახსოვს გამონაკლისთა გარდა: ალექსანდრე (ალეკო) მიქაბერიძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მჟავანაძე, სანდრო ბრეგაძე და არიან კიდევ სხვებიც.

მაგრამ ბრალს დავდებ ფაქტობრივ ხელისუფლებას მასში, რომ თავიდანვე ნაციონალებს თავისი საკადრისი ადგილი არ მიუჩინეს. ხედავთ, კოჰაბიტაციამ სადამდე მიგვიყვანა. დღეს აქეთ იმუქრებიან. ეს ტელეარხებიც ვიყავით. მთავრობაში ვიყავით თუ ოპოზიციაში, ჩვენი მხრიდან არასდროს არანაირი ძალადობის პროვოცირება არ მომხდარა!...

სირცხვილის გრძნობა სულ დაკარგე ამ სიტყვების მთქმელმა? პარაადოქსულია ასევე რულოვსის დეპუტატობა სამეგრელოში — ზუგდიდში. ზუგდიდელებო, ნუ ჩაიდენთ საშვილთაშვილო ცოდვას. დაგავიწყდათ, სწორედ სამეგრელო იყო მათი ბოროტების პოლიგონი? თქვენ ერთხელ სერიოზული შეცდომა დაუშვით, ვერ უპატრონეთ საქართველოს ღვთივკურთხეულ პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას. თქვენმა წარმომადგენლებმა გია გულუამ და კვირაიამ ბატონი ზვიადი შეიპყრეს და პილატე-შევარდნაძეს გადასცეს მოსაკლავად. ამჯერად შეგიძლიათ გამოასწოროთ შეცდომა, სანამ გვიან ამოყოფს თავს. ეს საერთაშორისო სადისტი მკვლელი, სისხლის მსმელი, ამორალური პიროვნება აურაცხელი მიუტევებელი ცოდვების გამო დილეგში დაამთავრებს სიცოცხლეს, რამეთუ წმიდა წერილი გვამცნებს, ღვთის მგმობელს არა მიეტევოს რა.

შევახსენებ ქართველ ერს. ამას თავიდან აღვნიშნავდი და ახლაც გავიმეორებ:

ჩვენი ერის დაუძინებელი მტრები რესპუბლიკელები არიან. მათში იოტისოდენა ღვთიური არაფერია. უნახავმა რა ნახაო, ეს მოეწია მათ, რამეთუ პარლამენტი მათთვის მხოლოდ ლამაზი ოცნება იყო, რომელიც რეალურად ექციათ, რათა თავისი სახე წარმოეჩინათ. მათი მზერა მხოლოდ დასავლეთისა და ამერიკისკენ არის მიპყრობილი, საიდანაც ყოველგვარი სიბილწე მოედინება, რომლის დაკანონებას აქ ცდილობენ შინაური მტრების მეშვეობით. მე ვიცოდი, ისინი ღალატის ისარს იქითკენ მიმართავენ, ვისი მეშვეობითაც ეღირსათ დეპუტატის მანდატი. ახლა ისე გაკადნიერდნენ, კვლავ დამკვიდრებას ცდილობენ — ეს ერის მოღალატენი, სარწმუნოების, ტრადიციის მორალატენი, რესპუბლიკელების, მარგველაშვილის თანამოაზრენი, რომლებიც თურმე კონსპირაციულად ხვდებიან სააკაშვილს და ახალ გეგმებს აწყობენ. ავიწყდებათ, რომ ქვეყანაში ყოველივე ხალხის მიერ წყდება, რომელთა ნდობასა და სიყვარულს ვერასდროს ეღირსებიან.

ღვთის რისხვა არ ასცდებათ სერგო თეთრაძის მწამებლებს. ისინი არათუ პარლამენტზე უნდა ოცნებობდნენ, არამედ ნიურნბერგის პროცესზე უნდა იხსდნენ, სანდრას კი მომაკვდავ პატიმართა მზერა არ მოასვენებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

მიჭირს გაცნობიერება იმისა, რასაც ვისმენ და ვკითხულობ ამ ქალის შესახებ. შვილების დედამ სიბილწეში როგორ უნდა ჩაყოს ხელი? ეს ხომ მიუტევებელი ცოდვაა, რაზეც შვილებმა უნდა აგონ პასუხი.

მე რა უნდა დავამატო იმ ფაქტების კორიანტელს, რომელიც ქვეყნდება და საზოგადოებისთვის ცნობილია, მაგრამ ერთი მინდა აღვნიშნო — რამდენადაც ცნობილია, რულოვსი ცრუ-ს აგენტი ჯერ კიდევ მაშინ იყო, სანამ სააკაშვილის მეუღლედ გახდიდნენ. 1991-92 წლებში გაჩაღებული ომის დროს საქართველოში იყო შემოგზავნილი. შემდგომ, როგორც ჩანს, ორი აგენტისგან შექმნეს ე. წ. ოჯახი. მე გულწრფელად მეცოდებიან მათი შვილები...

თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად მოვაღწიეთ აქამდე. 9-წლიანი გაშისტური რეჟიმის დროს, რომელშიც ჩართული იყო მსოფლიოს ანტიქრისტიანული ბნელი ძალები პირწავარდნილი ჯორჯ სოროსის მიერ, მისი მითითების ჩამოყალიბებული „ნაციონალური მოძრაობა“ ოკეანისგაღმელთა თუ დასავლეთიდან გაცემული დირექტივებით, ანტიეროვნული ქმედებების შემსრულებელნი სისხლისმსმელი სააკაშვილი და მომაკვდავ ადამიანთა ორგანოების შეგროვებით გაუმაძღარი სანდრა რულოვსი ბრწყინვალედ ასრულებენ მათ დავალებას. ესენი არიან დიდი მახრჩობელას ირგვლივ შემოკრებილნი მოსისინე ქვეწარმავლები, რომლებიც ცდილობენ დაგესლონ ყოველივე ეროვნული, ტრადიციული, სარწმუნოებრივი. ის, რაც 9 წლის მანძილზე ვერ მოახერხეს, ახლა ცდილობენ სატყუარა დაპირებებით მიაღწიონ. ყველაზე საშიში პიროვნება ვითომ მეგრულად მოლაპარაკე გადამთიელია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს თავისი აგენტურული პროფესიონალიზმი გამოიყენოს და დააბრკოლოს ერი ჩვენი

**— რომის პაპი ეწვია საქართველოს. მამაო, უნდა გვიხაროდეს?**

— თუ ის ესტუმრებოდა ე. წ. პრეზიდენტს, ეს ჩვენი საქმე არ არის, რამეთუ მათი მრწამსი და იდეოლოგია თანხვედრილია, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს ეკლესია და მისი მესაჭე მას დახვდა და შეეგება ძმური ამბორით, უწმიდესობაც კი უწოდა. ეს ყოველგვარ ზღვარს გადაჭარბებულია. XI საუკუნეში გაიყარა ჩვენი გზები იქიდან გამომდინარე, რომ დოგმატურ საკითხებში უკიდეგანოდ დაშორებულნი ვართ. ყოველი უკეთურება კათოლიციზმიდან მოდის. როგორც აღნიშნავენ, მილიარდობით დოლარი დაუჯდა რომის ეკლესიას პედოფილი პადრეების საქმის მიჩქმალვა. მე შეწვეცდები, მოკლედ, ყველას გასაგებად გაგარკვიოთ მათ ცდომილებაში.

როგორც ვიცით, ჭეშმარიტი ეკლესია დგას ქრისტეს მცნებებზე, შვიდ მსოფლიო კრებათა დადგენილ კანონებზე, რომელიც დოგმა არს და არანაირ სიახლეს არ ექვემდებარება. თვით უფალმა გვამცნო, რომ მის დოგმატებს არარა მიემატოს და არარა გამოაკლდეს.

კათოლიკეთა ცრუ სწავლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი აზრით, რომის პაპი არის ქრისტეს ეკლესიის თავი. საღვთისმეტყველო გადმოცემითY ყოვლად უცდომელია და კრიტიკას არ ექვემდებარება.

ძირითადი უთანხმოება ჩვენს ეკლესიებს შორის დაიწყო „მრწამსის“ — „სწავლება სულიწმიდისა და ძისაგან“ გამომავლობის შესახებ.

მათი აზრით, კათოლიკეთათვის ჭეშმარიტი ეკლესია იგია, რომელიც ყველაფერში პაპს ემორჩილება.

პაპი პეტრე მოციქულის მემკვიდრედ წარმოაჩენს თავს, ისინი რომის ეკლესიის უმაღლეს ავტორიტეტს აღიარებენ და ვინც არ აღიარებს ამას, კერძოდ, აღმოსავლელთ, ანათემითა და განკვეთით ემუქრებიან. კათოლიკეებმა მიიწერეს „ზეცისა და ქვეყნის“ განუსაზღვრელი უფლებები. მაგ.: 1869 წელს პაპმა პიუს მეცხრემ გამოსცა „ე. წ. სილაბუსი — ნუსხა, კათოლიკური თვალსაზრისით, გადმოცემული ახალი დროის ძირითადი ცდომილებებისა ასეთი ფორმით: „ვინც ამბობს ამასა თუ იმას, დაე, მასზე იყოს ანთემა...

რომის პაპი ღმერთის მოადგილედ წარმოადგენს თავს.

მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ აღიარებული სწავლება სულიწმიდის მამისაგან გამომავლობის შესახებ უკავშირდება ჭეშმარიტებას, რომელსაც წმიდა წერილი ამტკიცებს: უფალმა იესო ქრისტემ მოწაფეებთან გამომშვიდობებისას საუბრის დროს დაამოწმა: „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს“... კათოლიკეები კი ამტკიცებენ „და ძისაგან გამოვალს“, რაც დოგმატის უხეში დარღვევაა. მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს სულ ცოტა 38 მუხლი გვაშორებს, ამიტომ მათთან ლოცვა და ევქარისტული კავშირი შეუძლებელია. მისი ვიზიტი საქართველოში ფართო ზღვრებს სცილდება, რამეთუ მსოფლიო მასონიზმის და რომის პაპის მიზანია შექმნა ერთი რელიგიური წარმონაქმნი და დაუმორჩილონ რომის პაპს, რომელსაც ღმერთი არ დაუშვებს. მწვალებლებთან მართლმადიდებლებს არაფერი აქვთ საერთო.

„არც ერთმა ქრისტიანმა არ უნდა მიატოვოს ქრისტეს მოწამე და არ უნდა წავიდეს ცრუ მოწამესთან, რომლებიც ან მწვალებლები იყვნენ, ან მწაველებელთა შორის იყვნენ, რადგანაც ერეტიკოსები უცხონი არიან ღვთისთვის, ამიტომ მათთან მისული შეჩვენებულ უნდა იყოს“ (ლაოდიკიის კრების 34-ე კანონი).

გარწმუნებთ, ჩვენი მართლმადიდებელი საქართველო ქრისტემდე არსებობდა, ქრისტედან მისი მცნებებით მოემართება და ქრისტეს მეორედ მოსვლიდან მისი მითითებით ივლის.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ბურჭულაძე გაიპარა...



ღრმა მწუხარებით გატყობინებთ, რომ დიდი პოლიტიკური არენიდან გაიპარა პაატა ბურჭულაძე... გაიპარა ისე, რომ არც შემოპარულა ჯერ... გაიპარა ცურცლივით, როგორც გურიაში იტყვიან ...

გაპარვაც არის და გაპარვაც... ვინ ციხიდან გაპარულა, ვინ სუფრიდან, ვინ საყვარლიდან და ვინ ცოლიდან, მაგრამ ჯერ - ქველმოქმედებას გაეპარა, მერე საკუთარ პარტიას, მერე ბლოკს და ბოლოს ოფისის მეპატრონეს შეატოვა ორი თვის გადაუხდელი ქირა...

ბაბუაჩემი მასწავლიდა, მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო... ეს, ალბათ, პოლიტიკურ გვამებზეც ვრცელდება, მაგრამ... ვალი გადასახდელია...

მისწვდენია ჩემი ძახილი: ზურაბ, სადამდე-თქო? - ზურაბ ჯაფარიძეს, გამოფხიზლებულა და დაუნახავს ანაზდად, როგორ დგას ამხელა ადამიანი და სამი წლის ბავშვივით იტყუება და იბლანდება საკუთარ ტყუილებში...

მაინც, რამხელა ადამიანი, ბატონო ზურაბ?

აკი, სულ მაგ დიდი და დიადი ადამიანის სიტყვების გასწორება-გამოკეთებაში არ გავიდა თქვენი, კაციტაძის და ვაშაძის წინასაარჩევნო მარათონი? - ვაიმე, ცუდად გამოუვიდაო; უი, იხუმრაო; იცით, ცოტა უხეშად მოუვიდა თქმაო...

როგორ, გაზეთებსაც არ კითხულობთ, ბატონო ზურაბ? ის მაინც არ გაგიგიათ, ოჯახი რომ გადააგდო გურიაში, საკუთარ თავს რომ რუსს უწოდებდა უცხოეთში, თავის პარტიას რომ უღალატა თქვენი მოკავშირეობისათვის?

და რა იმედი გქონდათ მოღალატე და გადამგდები ბანისგან? რას ელოდებოდით?

და მაინც რა იყო პაატას ფასი? რამდენად შეაფასა თავი და რამდენის გადახდას გთხოვდათ?

ქვეყნიდან წავა პაატა ბლოკის ფულითო... და როდის ჩამოვიდა რო ქვეყანაში? როდის იყო პატრიოტი და როდის იყო მართალი სამშობლოს და ქართველი ხალხის წინაშე?

მაშანტყებდაო, თუ ფულს არ იშოვნი და არ მოიტან, შენს ხალხს ამოვიღებ სიიდანო...

ვერ იშოვნეთ, ალბათ, ბატონო ზურაბ, და ამიგიღეს სიიდან, თორემ, ასეთი პაატა არ მოგწონდათ თავიდანვე? როგორ, სხვა პაატა მოგწონდათ და სხვა ბურჭულაძე შემოგაპარეს?

არა, ჯაფარიძემ ის მოიმკო, რაც დასთესა...

ბურჭულაძე, დროა, გვირაბს თხრიდეს, გასაქცევად კი არა, გასაქცევი ფული დააგროვა უკვე პაატამ და უფრო მოხერხებული გზით გაიქცევა... ისე, თავისთვის, დასამალად, სილაში თავის ჩასაყოფად...

პირველად რომ გაექცნენ თანამოაზრეენნი, პაატამ განაცხადა, სუსმა დააშინა ჩემი პარტიული ძმები და დებიო...

ერთი რამ მაინტერესებდა სულ: სუსი რომ გაშინებთ ხოლმე, აი, მოვიდა, მაგალითად და გითხრათ, პარტიიდან გამოდი, თორემ, ასე და ასე გიზამ, იმას არ გეუბნებათ, თქვენი სუსი არ გავიგო ამ თემაზეო?

თუ სუსის ისე გეშინიათ, რომ საკუთარ პარტიებს სტოვებთ, მაშინ არ გეშინიათ სუსის, როცა გამოდიხართ და ხელს ადებთ, აჰა, და დამაშინაო?

ეჰ, სუსი თქვენ და... თქვენი სუსი აღარ გავიგო რა...

სუსისგან დაშინებულმა პაატამ კი აღარ იცის უკვე, ვინ გადააგდოს, ვის წაართვას, ვის გამოგლიჯოს... ცუდი პერიოდია დამდგარი, ახლა ყველა თეთრი სჭირდება...

„რეალ ინვესტის“ დირექტორს ვესაუბრე, ბატონ უშანგი ბუჩუკურს, 54 400 აქვთ ოფისის გადასახდელიო... ორი თვის ქირაა ეგ თანხაო... შაბათს რომ ვესაუბრე, კვირისთვის დამპირდა, კვირას რომ ვესაუბრე, ორშაბათისთვის, მაგრამ არ გამოჩენილაო...

არც გამოჩნდება-თქო, დავამშვიდე...

ერთი თვის ქირა რომ არ გადაიხადა, რატომ გააჩერეთ-თქო?

გაეცინა - ადამიანი ჯერ ქველმოქმედებში იყო, მერე ამხელა მიზნებზე საუბრობდა და პოლიტიკოსია... ბევრ ქვეყანაში იცნობენ როგორც კარგ მომღერალს... არც მიფიქრია, თუ ქირას არ გადაიხდიდაო...

როგორც უბრალო მოქალაქემ, ვთხოვე, თეთრიც არ შეარჩინოთ-თქო, დამპირდა, არ შევარჩენო... (რათქმაუნდა, თანხის კანონიერი გზით დაბრუნება ვიგულისხმეთ)

ალბათ, ბატონი უშანგი იურისტს და ადვოკატს დაიქირავებს და ამ თანხას ამოიღებს, თუ, რათქმაუნდა, გიორგი თურქიას არ გადააწერა დიდმა ბანმა ეს ვალი (საქმე ისაა, რომ ქირავნობის ხელშეკრულებაზე გიორგი თურქიას აქვს ხელი მოწერილი)... მაგრამ, გიორგი ბარაშვილმა და მისმა ოჯახმა რა ჰქნან? იავნანას უსმინონ? და კიდევ რამდენი ასეთი ოჯახის საბუთები გაქრა სოფლიდან „იავნანას“ ოფისამდე მიმავალ გზაზე? რამდენი ასეთი ოჯახის თანხაა მითვისებული, ამას ვინ გაარკვევს?

ფული ყოფილა მოტივაცია, ანუ...

სიმღერის მოტივაცია, შიოდა თავის დროზე ლაზარეს და მღეროდა...

ქველმოქმედების მოტივაციაც ფული ყოფილა... მადა გაეხსნა დანაყრებულ ლაზარეს...

და პოლიტიკის მოტივაციაც კი ფული ყოფილა...

ფული, ფული, ფული...

რა დარჩა პაატას გასაყიდი, ბანის ხმა უკვე გაყიდა, ამომრჩევლების ხმებიც ზედ მიაყოლა, პარტიელები გაყიდა, ოფისი საერთოდ თხასავით გაყიდა, 8 სულიანი ოჯახი გაყიდა, 6 მშიერი ბავშვი დააყენა სხვისი სახლის წინ, გაღიმება აიძულა, ბედნიერი სახეები მიაღებინა დაპირებებით გაბრულებულებს, ფოტოები გადაუღო და გაყიდა... ქართული იავნანა გაყიდა... სინდისი არ აქვს, თორემ, მაგასაც გაყიდდა... ერთი მე დავრჩი, ვინც ჯერ კიდევ ველაპარაკები და მე თუ გამყიდის ეგაა, თორემ...



როცა გავიგე, როგორ გაყიდა 8 სულიანი ოჯახის იმედი, ჩვენმა დიდმა ბანმა და არანაკლებ დიდმა პოლიტიკოსმა, ვთქვი, არჩევნებამდე ან პაატა იქნება, ან მე-თქო... მე ვარ, ეგ აღარ... კმაყოფილებას ვერ ვგრძნობ მაინც, მინდა, ყველა თეთრი და იმედი დააბრუნოს, რაც მოიპარა...

მიშას გამომბანი, ჩამომბანი და გამნმბანი ბრძანდებით-თქო, გავუთამამდი ბატონ პაატას წინა წერილში, მაგრამ, პირიქით ხდება... იქეთ დაგჭირვებიათ გამომბანიცა და ჩამბანიც, ბატონო პაატა, ყელამდე ნეხვში ხართ და იმიტომ...

**თამუნა კეჟელავა**
555 46 08 04

# ღირსებისა და ზნეობის კვალდაკვალ...

## (წერილი ზუგდიდელებს)



მე თვალებში ჩავხედე მიშასო, ბრძანა ანაკლიის ზღვის სანაპიროს ფონზე ექს-პრეზიდენტის თანამეცხედრემ.

ქალი რომ კაცს თვალებში ჩახედავს, დიდებულია! არანაკლებ მშვენიერია და ამაღლებელი, პირიქით თუა! მამრი მაინც მამრია, ზღვა სურვილები ირეკლება კაცის ამ ინტიმურ მზერაში, თუ გენდერული ბალანსის დარღვევაში არ ჩაგვითვლიან არასამთავრობოები!

თუ გულწრფელები ვიქნებით, მარტო თვალებში ჩახედვა არ უშველის ამ საქმეს, კი ბატონო, ჩავხედოთ, მაგრამ სასურველია ფსიქიატრის ჩაქუჩზე (უბრალო ფანქარიც გამოდგება) გავაყოლებინოთ მზერა პაციენტს და შედეგიც აუცილებლად გვექნება სწორი დიაგნოზისათვის.

ჩვენ ეს არ გვაწუხებს.

მართალია, ქალბატონი რულოვსი საქართველოს ექს-პრეზიდენტის სააკაშვილის მეუღლეა, მაგრამ ჩვენ, ზუგდიდელ კალანდიებს — ჩვენი მშობლიური კუთხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის არც თუ ისე ცუდად მცოდნეთ, ისიც ვერ გაგვირკვევია, ვინ არის სანდრა და რატომ არის ჩვენი რძალი, ვთქვათ, ეკატერინე ჭავჭავაძეობას რომ ჩემულობს.

ახლა, არჩევნების წინა კვირისთვის, დიდი ფაციფუცია თურმე. სანდრას უმცროსი ვაჟი ნიკოლოზი მეგრული „ოუ ნანას“ სწავლობს და გადაწყვეტილი აქვთ დედა-შვილმა სოფელ-სოფელ უნდა იარონ მეალილოებივით კორცხელის სანახებში...

ერთ პატარა კორექტივს შევიტანდით. ჯობდა, ფეხზეც გაეხადათ, გენიოსი პოეტისა და იყოს: „თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული“!

მეტი ეფექტის მომტანი იქნებოდა!

რახან ყბადაღებული კორცხელი ვახსენეთ, იმ გახმაურებულ ინციდენტზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ნიჭიერად დადგმული მიზანსცენა იყო.

ტყუილია, ასეთი სპექტაკლები დედაქალაქიდან არ იმართება. იქ, ადგილზე, უფრო ზუსტად, კულისებში უნდა იყო! იყვნენ კიდეც. მართალია, ერთ-ორი მწარე მუშტი მოხვდა ბოკერიას, ცოტა გაუჭირდა, ჩაიმუხლა კიდეც, მაგრამ რომ წამოდგა თუ წამოაყენეს, „რუბიკონის“ გადამლახავი მხედარმთავრის ტკბილმწარე ღიმილი ეფინა მწყაზარ პირ-სახეზე...

მეგრელების მოტყუება გაჭირდება, გამოცდილი ხალხიაო, ირწმუნებიან ერთნი...

ეშმაკზე სამი დღით ადრეა მეგრელი დაბადებული, სანდრას მოსატყუებელი კბილები გამოცვლილი აქვსო, ასეთ შეფასებას „ფეისბუქის“ გვერდზე გადავეყარეთ. არც მასეა საქმე...

ხალხნი ვართ და უნდა ვაღიაროთ, მეგრელებიც ვცდებით, სამწუხაროდ! მეტსაც გეტყვით, არც ისე ვქუხვართ, როგორც გვსახავენ და წარმოუდგენიათ ზოგ-ზოგიერთებს. ჩვენ თუ გვკითხავთ, ზედმეტად მიმდობი, მიამიტი და გულუბრყვილო ხალხი ვართ, ჯიმაგე, მეგრელები, როგორც სხვა და დანარჩენი ქართველები.

მეგრულ სიმღერაში არის დიდი სევდა, მაგრამ არანაკლები ნაღველი და ტკივილია მის ბუნებრივ ქცევასა და ყოფაში თუ ცხოვრების წესში... ამის ანტურაჟად მისი ოდა-სახლის რიკულები და ეზო-კარიც გამოდგება... აი, ამის ანარეკლია ის სიმღერაც, რომელიც ყველას ერთნაირად მოსწონს, ხან ცისკენ რომ მიიწევს უსასრულოდ და ხან დაბლა — ჭაობისფრად ეფინება სივრცესა და გარემოს...

ხაინდრავას ფილმი „ჰეროკრატია“ მხატვრული არ არის, ის სუფთა დოკუმენტურია. მის დოკუმენტურობასა და უტყუარობას ათი ათასობით მოწმე ჰყავს... ამ ფილმში რა საშინელებებიც ხდება და რარიგ უწმინდურებსაც ეძღვნება ეს ფილმი, მათი საშველი არ იქნება... მეტიც, მათ მშვიდი სიკვდილი არ უწერიათ... საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებისგან (თუ ნორმალურ სკოლაში, ოჯახში, ქვეყანაში მოუწიათ ცხოვრებამ) საფლავებიდან ამოთხრა მოუწევთ.

ასეთი სისასტიკისა და სიბინძურის ჩამდენები კიდევ დიდ გულზე არიან და ხელისუფლებაში უკან მობრუნებაზე ფიქრობენ. ლამის ჩვენ მოგვახდევინონ ბოდიში 2012 წელს კიდევ ერთხელ რომ არ ავირჩიეთ.

კი, თვალებში ჩახედა სანდრამ „გამოსწორებულ“ მიშას და საკუთარი ხალხის ზღვა სიყვარული დაინახა...

ამის გახსენებაზე ერთ ლირიულ გადახვევას გავაკეთებთ.

წინა საუკუნის ორმოცდაათიან წლებში იყო ერთი ცნობილი ლიტერატორი ჟ. — ბ. საკმაოდ ნიჭიერი ფილოლოგი და უფრო ნიჭიერი თაღლითიც.

ის დროა, დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე ლიტერატურული მუზეუმის დირექტორია.

ერთხელ კაბინეტში შევიდა ლეონიძესთან და ბენძლი ფეხსაცმელი მაგიდაზე დაუდო — ნიკოლოზ ბარათაშვილის ბათინკებიაო! გაგიჟდა ბატონი გიორგი და უკან არ წაიღოს, არ დამღუპოსო და იქვე ათასი მანეთი გამოუწერა... ჟ. — ბ. ჩავიდა ბუღალტერიაში, აიღო ფული, გამოსამშვიდობებლად შეიხედა დირექტორთან და მიაძახა: — ახლა წავედი ვაჟას კალოშებზეო!...

გიორგი გონს მოვიდა, მაგრამ ჟ. — ბ. არ გაუჩერდა, გაქრა...

მაინც არ უმართლებდა ჟ.ბ-ს. ერთი-ორჯერ მსგავსი თუ უარესი თაღლითობებისთვის ციხეშიც მოხვდა...

ბოლოს, ციხიდან ახალგამოსულმა ნაცნობი მწერლები, ამჯერად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს — ირაკლი აბაშიძეს მიუგზავნა, იქნებ რაიმე სამსახური მომცესო.



ირაკლიმ სამდივნო მოიწვია. ერთ-ერთმა მდივანმა თავი გამოიდო — ნიჭიერი კაცია ჟ. ბ. გამოსწორებულია, გამოსწორებულიო, იძახა...

ბატონი ირაკლი გაბრაზდა: კარგია, ჟ-ი რომ გამოსწორდა, მაგრამ გამოსწორებული ჟ-ი ვის რად უნდაო!!!..

თათბირი დასრულდა.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, გამოსწორებული ჟ-ი... თფუი ეშმაკს, მიუხედავად ქალის დიდი პატივისცემისა, „გამოსწორებული“ მიშა და მისი ნდობა!...

**ძვირფასო ზუგდიდელებო!**

როგორც ზუგდიდელები, როგორც მშობლიური ქალაქის გულშემატკივრები მოკრძალებით მოგმართავთ.

ვინც კარგად გვიცნობთ, იცით ჩვენი ხელობა; ფიქრისა და წიგნის კაცები ვიყავით და ვართ. სიმდიდრე, ჩვენი გულწრფელი მწერლობის გარდა, ასაკი და ბიოგრაფიაა! ვინც არ გვიცნობთ, დარწმუნებულები ვართ, გვარ-სახელი მაინც გაგიგიათ. იმასაც მოგახსენებთ, ათასი რეჟიმისთვის გაგვიძლია და შეურაცხადი სააკაშვილის ფაშიზმიც რომ მობრუნდეს, ჩვენ მაინც ჩვენ ვიქნებით, ისე ვიცხოვრებთ, როგორც გვიცხოვრია; ჩრდილში, პატიოსნად, ღარიბულად და ლიტერატურით... უმთავრესი ის არის, იმ სიმართლით ჩავიდეთ საფლავში, რაცა გვაქვს და რისიც არ გვრცხვენია!...

იმისი თქმა გვინდა, რომ მხოლოდ საქართველოს დღევანდელი დღე კი არა, მისი მომავალი გვაღელვებს და გვტკივა.

ღმერთმა დაგვიფაროს და ვთქვათ, ნაციონალების „ავი ზმანება“ ახდა. სამოქალაქო ომი გარანტირებული გვაქვს. გულში ჩაიხედეთ და დაფიქრდით, საქართველო გაუძლებს მეორე სამოქალაქო ომს?!

ჩვენ გვინდა საქართველო, რომელიც უნდა გაბრწყინდეს და მის ნათელ მომავალში, როგორც დასაბამიდან და ყოველთვის, სამეგრელოს როლი და სიტყვა მისი ღირსებისა და ზნეობის ადექვატური იყოს!

ეს როლი სამეგრელოს მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი ჰქონდა მარადის.

ეს არ არის ლიტონი სიტყვა...

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ასე იცხოვრეს.

ჩვენ ყველა ერთად მათი ნატეხები ვართ.

ჩვენი თხოვნაა, ახალი, მოდელირებული ფარსის მონაწილეები ნუ გავხდებით.

ეს ის სამეგრელო არ იქნება, რომელზეც დიდმა ილიამ ცაიშში, იონა მეუნარგიას ეზოში ბრძანა: „ჩამოვედი სამეგრელოში და საქართველო ვნახე — ნამდვილი საქართველო!“

ამ ქალაქში — დაიბადა იონა მეუნარგია, გვანჯი ჩიქოვანი და ჩვენი დიდი თანამედროვე ნონა გაფრინდაშვილი...

...„ნაციონალები“ ყველაფერზე მიდიან, ლამის სულსა და გულს დებენ იმაში, რომ ისევ ხელოვნურ ჭაობში ჩაგვაბრუნონ.

არ გავბრიყვდეთ და არ დავიჯეროთ.

ეს არის ჩვენი მოკრძალებული და ერთადერთი თხოვნა.

**გენო კალანდია,**
პოეტი, შოთა რუსთაველისა
და საქართველოს
სახელმწიფო პრემიების
ლაურეატი

**ზაურ კალანდია,**
მწერალი, საქართველოს
სახელმწიფო და
ილია ჭავჭავაძის პრემიების
ლაურეატი

# ძლიერი რეგიონები, ძლიერი საქართველოსთვის

### სარეაბილიტაციო სამუშაოები ვანის მუნიციპალიტეტში

ვანის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის ლიკვიდაციისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

ტობანიერში მთლიანად 28 დასახელების სამუშაოს შესრულებაა დაგეგმილი, რაზედაც ბიუჯეტიდან 237 200 ლარი დაიხარჯება. ზედაეწერტობანიერში, ბურკაძეების უბანში ბეტონის საფარის მოსაწყობად 9000 ლარი დაიხარჯა.

სოფელ ყუმურში, ადეიშვილების უბანში ცენტრალური გზიდან მარჯვენა მხარეს საუბნო ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაზეც 194 000 ლარი დაიხარჯება.

ყუმურში ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები თითქმის დასრულებულია, ცენტრალური გზის მოასფალტებაზე ბიუჯეტიდან 90 000 ლარი დაიხარჯა.

მთლიანად სტიქიის პროგრამით ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულში 14 დასახელების სამუშაო შესრულდება, რაზედაც 368 800 ლარი დაიხარჯება.

ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავალიანების უბანში ამ დროისთვის გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს. ავალიანების უბნის მოასფალტებაზე 43 000 ლარი დაიხარჯება. მთლიანად ციხესულორის მასშტაბით სტიქიის სალიკვიდაციო პროგრამის ფარგლებში 43 დასახელების სამუშაოს განხორციელებაა დაგეგმილი. სოფელში მიმდინარე სამუშაოების შესასრულებლად ბიუჯეტიდან 237 400 ლარი დაიხარჯება.

ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში დახრეშილია ზედავანი-ტყელვანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 3-კილომეტრიანი მონაკვეთი. ზედავანში ტყელვანის გზაზე ჭასთან ბეტონის საფარის მოსაწყობად 21 000 ლარი დაიხარჯება. ასევე სოფელ ზედავანში უსახელო ღელიდან ოჩხიკიძის ნაკვეთამდე ბეტონის საფარის მოსაწყობად ბიუჯეტიდან 25 000 ლარია გამოყოფილი. სულ სტიქიის ლიკვიდაციის პრიოგრამით ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში 37 დასახელების სამუშაო შესრულდება. მოწესრიგდება სტიქიით დამეწყრილი შიდა საუბნო გზები, მოეწყობა ბოგირები, ცხაურები და გზის დამცავი ნაგებობები.

მთლიანად ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სრეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 143 600 ლარი დაიხარჯება.

### ბაღდათში ინოვაციების ცენტრი გაიხსნა

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ჯ. ღვინჯილიას სახელობის ბაღდათის ბიბლიოთეკის ბაზაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ ადგილობრივი გამგეობის დახმარებით ინოვაციების ცენტრი გახსნა.

ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ინოვაციის ცენტრის ფორმირება მუნიციპალიტეტებში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ცენტრი მრავალპროფილიან მომსახურებას სთავაზობს ადგილობრივ მოსახლეობას. ახალგახსნილ ცენტრში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველა ის სერვისია ხელმისაწვდომი, რაც თბილისის სააგენტოშია.

ცენტრის პრიორიტეტები:

დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია;

ტექნოპარკის ყველა ღონისძიება პირდაპირი ეთერით ინოვაციის ცენტრებში გადაიცემა და მსურველებს საშუალება ექნებათ, ვირტუალურად დაესწრონ ყველა ღონისძიებას, დასვან კითხვები და ჩაერთონ პროცესში;

თბილისიდან დისტანციურად გაიმართება ტრენინგები, რომლებსაც სპეციალურად მოწვეული პროფესიონალი ტრენერები ჩაატარებენ.

ასევე, ინოვაციურ ცენტრში პროგრამირების, დიზაინის, მეწარმეობისა და სხვადასხვა ბიზნესმიმართულებების ტრენინგები ჩატარდება.

### საქართველოში რიგით მეორე ტექნოლოგიური პარკი ზუგდიდში გაიხსნა

გახსნის ცერემონიას პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დირექტორი ირაკლი ქაშიბაძე დაესწრნენ.



ტექნოპარკი პრეზიდენტის ზუგდიდის ყოფილ რეზიდენციაში განთავსდა.

ზუგდიდში ტექნოპარკის გახსნის იდეის ავტორმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ იდეის განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, პირველ ვიცე-პრემიერსა და ინოვაციების სააგენტოს დირექტორს. ლევან შონიას განმარტებით, ტექნოპარკი რეგიონის ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობაა.

„მიხარია, რომ თბილისის შემდეგ მეორე ქალაქი, სადაც ინოვაციების პარკი გაიხსნა, ზუგდიდია. ჩვენი რეგიონის ახალგაზრდებს ექნებათ იმ სერვისებზე წვდომა, რაც თბილისის ტექნოპარკშია და კიდევ უფრო მეტიც — აქ უფრო ახალი ტექნოლოგიები გვაქვს. რეგიონის ახალგაზრდებს ექნებათ თავისუფალი სივრცე, მათ ეძლევათ ნიჭისა და იდეების რეალიზაციის შესაძლებლობა“, — განაცხადა ლევან შონიამ.

ზუგდიდში ტექნოპარკის გახსნის მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა თუ ადგილობრივ მთავრობას გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა დამწყებმა ბიზნესმენებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა შექმნან სტარტაპები, რა ეტაპები უნდა გაიარონ იმისთვის, რომ კომპანიად ჩამოყალიბდნენ და წარმატებას მიაღწიონ. ტექნოლოგიური პარკი მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის. წვდომა ტექნოლოგიებზე ნიშნავს პროგრესისთვის ფეხის აწყობას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

ტექნოპარკის გახსნას ესწრებოდნენ ახალგაზრდები და ბავშვები რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან.

### მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება მესტიაში

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სააქტო დარბაზში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის ოთხწლიანი გეგმის შემუშავება, ხარვეზების გამოვლენა და მისი ასახვა სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

პროექტს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგჯგუფის (PMCG) გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაკვეთით.

შეხვედრა გამართეს პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგჯგუფის (PMCG) ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მიმართულების კონსულტანტმა, ლელა სერებრიაკოვამ და ამავე ჯგუფის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულების კონსულტანტმა ირინე სახელაშვილმა. მათ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილეს რეგიონში არსებული პრობლემები და დასახეს მისი განხორციელების მექანიზმები.

### ბოდბისხევში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისხევში სკოლასთან და ადმინისტრაციულ ერთეულთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ფარგლებში 805 მეტრზე ბეტონის საფარი მოეწყო.

სარეაბილიტაციო სამუშაო რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით განხორციელდა.

სამუშაოებისთვის, რომელიც შპს „გუმბათმა“ შეასრულა, 199 409 ლარი დაიხარჯა.



### დაბა ხულოში ქუჩების მოასფალტება მიმდინარეობს

აქტიურად მიმდინარეობს დაბა ხულოს ქუჩებისა და ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია სტალინის ქუჩის მოასფალტება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ქუჩის მოასფალტება, ხოლო მემედ აბაშიძის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხისა და საყრდენი კედლის მოწყობა.

# რა სინდისით ითხოვს ხალხის მხარდაჭერას ცეზარ ჩოჩელი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დროს ხალხის საწინააღმდეგო ყველა „ღონისძიებაში“ აქტიურად მონაწილეობდა?



„ნაციონალურმა მოძრაობამ“ რომ გაყალბებისა და ხალხის დაშინების მეშვეობით „გაიმარჯვა“ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს თუნდაც მცხეთაში, ამის უშუალო მოწმე თავად ვარ. ნაციონალები, რომლებსაც 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლებაც კი არ გააჩნიათ, გამარჯვებაზე გამოთქვამენ პრეტენზიას. ამათ ხალხი გულმავიწყი ჰგონიათ, რომელსაც აღარ ახსოვს მათი ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმი“, აცხადებს „ეროვნული ფორუმის“ ყოფილი წევრი, 26 მაისის დარბევის დროს დაზარალებული ნუკრი ქირია. რესპოდენტი იხსენებს, როგორ უვარდებოდნენ ოპოზიციურ პარტიებს საარჩევნო შტაბებში, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს ხვდებოდნენ ქუჩასა თუ სადარბაზოებში და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.



**ნუკრი ქირია:** „სიტყვიერი მუქარა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ოპოზიციის მხარდამჭერების ოჯახის წევრებსა და მეგობრებზეც მიდიოდა ზეწოლა, თუ ვინმე მუშაობდა, სამსახურიდან გაგდებით ემუქრებოდნენ. მცხეთის რაიონში გაერთიანებული ოპოზიციის კოორდინატორი ვიყავი, რომ არ მეაქტიურა, ფული შემომთავაზეს, რაზეც სასტიკი უარი ვუთხარი. ამის შემდეგ პირადად მცხეთის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა დამირეკა და ძალიან უხეში ფორმით მითხრა, რომ ჩემს ნათესავებსა და მეგობრებს გაუსწორდებოდნენ. არჩევნების გაყალბების პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ გუბერნიის, გამგეობის და საკრებულოს წარმომადგენლები. იმ პერიოდში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი დღევანდელი მაჟორიტარობის ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელი გახლდათ. ყალბი ბიულეტენებით ჰქონდათ გამოტენილი ჯიბეები, წინდებშიც კი ეწყოთ, უბნები რომ დაიხურა, ოპოზიციის წარმომადგენლები გამოყარეს და იმდენი ბიულეტენი ჩაყარეს, რომ ნაციონალებმა ზოგან 100%-ზე მეტით გაიმარჯვეს. ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მას ნერვიულობის ნიადაგზე გულის შეტევა ჰქონდა და დღესაც ავადმყოფობს. მერე იყო 2011 წლის 26 მაისი, მე ყველა აქციას ვესწრებოდი, მაგრამ იმიტომ არა, რომ ნინო ბურჯანაძის მომხრე ვიყავი, უბრალოდ, ვიზიარებდი იმ პოზიციას, რომ გორში მიწაზე მფორთხავ კაცს, რომლის უგუნურებამაც ამხელა ტერიტორიები დაგვაკარგვინა, მორალური უფლება არ ჰქონდა 26 მაისს აღლუმი ჩაეტარებინა. აქცია თავისით დაიშლებოდა, მაგრამ ნაციონალებმა გადაწყვიტეს ხალხისთვის სასაკლაო მოეწყოთ. ეს არ იყო მიტინგის დაშლა, მაშინ გასასვლელი უნდა დაეტოვებინათ, ეს იყო ხალხის ალყაში მოქცევა და უსასტიკესი მეთოდებით ანგარიშსწორება. რუსთაველის გამზირზე დარბეულების ნაწილმა თავი კინოთეატრ „რუსთაველს“ შევაფარეთ, იქაც შემოცვივდნენ ზონდერები, არც ქალები დაინდეს. ისეთი საშინელება ტრიალებდა, გახსენება აღარ მინდა. სხვათა შორის მცხეთიდანაც ყავდათ ჩამოყვანილი საჯარო სამსახურების თანამშრომლები, შემოგზავნილები ვართო. მერე ეტყობა ბრძანება მიიღეს და იქაურობას გაერიდნენ, ამის შემდეგ დაიწყო დარბევა. შეიძლება ამ მცხეთელებმაც მიიღეს დარბევაში მონაწილეობა, ყველა „მარბიელს“ ნიღაბი ეკეთა, ამიტომ დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი. მერეEეტყობა თვითონაც დაიღალნენ ხალხის ცემა-ტყეპით და 600-700 ადამიანი, რომლებსაც ისე მჭიდროდ დაგვადეს პლასტმასის ხელბორკილი რომ თითები გაგვიშავდა, თბილისის პოლიციეს სამმართველოში გადგავიყვანეს. მოხუცებიც კი ყავდათ იქ მიყვანილი, მათ შორის ქალები, ზოგმა შვილსა თუ შვილიშვილს მიაკითხა, ზოგი შემთხვევითი გამვლელი იყო. ბოლოს ინამუსეს და ასაკიანი ხალხი გამოუშვეს, მე და ჩემი მეგობარიც იმ ნაკადს გამოვყევით, იმან გადამარჩინა, რომ ჭაღარა თმა მაქვს, წვერგაუპარსავი, გადაღლილი, ნაცემი ეტყობა მოხუცი ვეგონე. ჩემს მეგობარს თავი გაუტეხეს, სულ სისხლიანი იყო და ყურადღება აღარ მოუქცევიათ, თუმცა გვეგონა უკან მიგვაბრუნებდნენ. ნაციონალები ამ ყველაფრის შემდეგ რა სინდისით ითხოვენ მხარდაჭერას, თუნდაც იგივე ცეზარ ჩოჩელი, რომელიც ხალხის საწინააღმდეგო ყველა „ღონისძიებაში“ აქტიურად მონაწილეობდა. ახლა ხალხს დასაქმებას, დიდ ხელფასებს, პენსიის გაზრდას, ერთი სიტყვით, კარგ ცხოვრებას რომ პირდებიან, ვის სჯერა მათი ნათქვამი, გგონიათ, ვინმე მოტყუვდება?

ჩოჩელი სვეტიცხოვლის კიბეებთან რომ ჩამოდგა, 2012 წლის მერე აი, აქ დამთავრდა ბეტონის ჩასხმაო, ახლა გააგრძელოს და დაამთავროს ბოლომდე თუ გასაკეთებელია, ვინ უშლის? თუ სხვა რამის გაკეთებასაც გადაწყვეტს, ჯერ იუნესკოსთან, საპატრიარქოსთან, გამგეობასთან და არქიტექტურის სამსახურთან შეათანხმოს, რომ წმინდა ქალაქის იერსახე არ დამახინჯდეს და მცხეთას ისევ არ დაემუქროს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღება. ბატონო ცეზარ, ხომ ამბობთ, ნიჭიერი ბიზნესმენი ვარო, ჰოდა, აკეთეთ ბიზნესი, რომელიც საარყე ქვაბიდან დაიწყეთ და აქამდე მოხვედით. როგორ გახდით დიდი ბიზნესმენი და ქონების პატრონი, ეგ ჩემი საქმე არ არის, შესაბამისი სამსხურები დაინტერესდებიან. რახან სვეტიცხოველთან დადექით, საქმის გაგრძელება მინდაო, გააგრძელეთ, დიმიტრი ხუნდაძე კეთილ საქმეში ხელს არ შეგიშლით. მცხეთელებს ავის და კარგის გარჩევა არ უჭირს, ის შეცდომაში შეყვანილი ხალხიც მიხვდება არჩევნებამდე, რომ პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ. დიმიტრი ხუნდაძეს დაწყებული აქვს ბევრ საინტერესო პროგრამაზე და პროექტზე მუშაობა, ამიტომ ის აუცილებლად უნდა იყოს პარლამენტში. ჩოჩელს ვეკითხებით, რატომ უნდა პარლამენტარობა, თუ ბევრი გააკეთა და კიდევ უნდა გაკეთება, მთელი მცხეთა გვერდით დაუდგება, მაგრამ პარლამენტში მცხეთის წარმომადგენელი დიმიტრი ხუნდაძე გვინდა იყოს, რადგან ის იქ მარტო სავარძლის შემავსებელი არ იქნება. მისი აქტიურობას მარტო მცხეთელები კი არა მთელი საქართველო ხედავდა და ჯანდაცვის წარმატებული პროგრამის სიკეთეც საკუთარ თავზე გამოსცადეს.“

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77



# რატომ არ ვაძლევ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“?



**ჯამბულ გამცემლიძე:** ძალიან ბევრი შემიძლია ვილაპარაკო, თუ რატომ არ ვაძლევ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ რატომ უნდა მივცე ხმა, არცერთი სიტყვა არ მომეძებნება. ნაც-მოძრაობა არის დანაშაულებრივი გაერთიანება და ამ გაერთიანების სათავეში მყოფი პერსონები არიან სახელმწიფოს მმართველობას ამოფარებული კრიმინალები, რომლებიც ადამიანის წამებით ერთობოდნენ. როგორ უნდა მივცე ხმა ქვეყანაში შიშის და ტერორის დამნერგავებს, სხვისი ქონების მიმთვისებლებს, მეცნიერებისა და განათლების პროცესის შემჩერებლებს, ახალგაზრდების ქუჩაში დახვრეტის ბრძანების გამცემებს, ეკლესიის დამანგრევლებს და ეკლესიის მსახურთა მტრებს? არა თუ არჩევნებზე ხმის მიცემა, ჩემი აზრით, მათ საერთოდ უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა...



**მსახიობი მამუკა ლომაშვილი:** რა თქმა უნდა, მე არ ვაძლევ ხმას „ნაციონალურ მიძრაობას „ და არც ერთი მიზეზი არ არსებობს, რომ ამის გაკეთება მომინდეს. ვფიქრობ, რომ ამ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა არის დანაშაული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. აქედან გამოდინარე, მე არავითარ შემთხვევაში, არ ვაპირებ ამის გაკეთებას და არ მესმის, რატომ უნდა ვიფიქრო ამაზე.

**ლალი ლეკიშვილი:** სულ რომ არაფერი გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, მე მაინც მადლიერი ვიქნები, იმიტომ, რომ ამ პოლიტიკური ძალის მოსვლამ ჩემი ოჯახი და კონკრეტულად ჩემი შვილი გადაარჩინა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სულ რომ ოქროს გუმბათები ამიშენოს, არავითარი სურვილი არ მაქვს ისინი ხელისუფლებაში ვიხილო. ეს არის სამარცხვინო კასტა, რომელსაც თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, უნდა იმალებოდეს და გამუდმებულ სინანულში იყოს. როგორ უყურებს სანდრა თვალებში ადამიანებს? ია მეტრეველთან შეხვედრის დროს, ამ ქალბატონმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უზნეო კაცის ცოლია და თავადაც დიდად არ განსხვავდება მისგან. ესენი არიან სამარცხვინო ადამიანები, რომლებიც სინანულში ყოფნის ნაცვლად, ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობენ.



**ორგანიზაცია „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:**

— ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა კითხვა, რატომ უნდა მივცე ხმა ნაციონალურ მოძრაობას? ამ კითხვას უნდა გასცეს პასუხი ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემას აპირებს. ამ პოლიტიკურ ძალას ხმა არ უნდა მივცეთ ყველაფერი იმის გამო, რაც ქვეყანაში აკეთეს: მათი პოლიტიკის გამო, არაადამიანობის გამო, არასახელმწიფოებრიობის გამო, ადამიანების წამების, ღირსების შემლახველი მოპყრობის, უსამართლობის, უკანონობის, ტერორის, მოსმენების, მიყურადების და საერთოდ, ყველაფრის გამო, რაც მათ აკეთეს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა მისცე ასეთ ძალას ხმა?



**პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ხათუნა ხოფერია:**

რატომ არ ვაძლევ ხმას ნაციონალურ მოძრაობას? ეს არის ერის და სახელმწიფოს წინაშე დამნაშავე პოლიტიკური ძალა, რომელიც აუცილებლად უნდა გასამართლდეს და რომელსაც უნდა აეკრძალოს საქიანობა. ეს არის სააკაშვილის ტირანიის განმახორციელებელი და საყრდენი საქართველოში. ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელიც დღესაც ცდილობს, რომ საქართველოში იყოს არეულობა. ეს არის ძალა, რომლის ზოგიერთი ლიდერი ციხეშია და ზოგი ქვეყნიდან გაქცეულია. დიახ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს პოლიტიკური ძალა არჩევნებში მონაწილეობას იღებს, მაგრამ როგორ შეიძლება ერისა და ქვეყნის წინაშე დამნაშავეებს არჩევნებში მისცე ხმა?

**მსახიობი კახი კავსაძე:** იმიტომ არ ვაძლევ ხმას ნაციონალებს, რომ ხმას ვაძლევ „ქართულ ოცნებას“.

**უფლებადამცველი, მწერალი ალექსანდრე ახალკაცი:**

ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ამ პოლიტიკურ ძალას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კაცობრიობის წინაშე მიუძღვის დანაშაული, რადგან ფაქტობრივად გაიმეორა სისასტიკე, რომლის გამოც, ნაცისტური რეჟიმი გასამართლდა.



ჩემი მყარი პოზიციაა, რომ ყველა ადამიანი, რომელიც ხუთიანს შემოხაზავს, იმ მკვლელობის, წამების, ძარცვის და ზოგადად, დანაშაულის თანამონაწილედ იქცევა, რომელიც ამ პოლიტიკურმა ძალამ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაიდინა. არავის ვუსურვებ ასეთ პასუხისმგებლობას...

**ნელი თორდია**
571 35 36 88

## facebook რას ფიქრობს ხალხი?

„ნაცები“ 5 ოქტომბერს 5 საათზე ვარდების მოედანზე აპირებენ მთელი საქართველოს მასშტაბით 5 000-კაციან (მრავალათეულათასიან) შეკრებას. ვაი, თქვე &-ეებო!“

„მოდით სასამართლოში და ერთად მოვხსნათ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებიდან სამართლებრივად!“

„ნაცები“ და „კაცები“ — როგორი შეუთავსებელი ცნებებია“

„სანდრააა! ყაურმას ამოურიე, არ მიიწვას... ხოდა, ისა, ოდესური ქინძი არ დააკლო...“

„ეს ნაცები თუ ერთი &-ით არ იყვნენ გაკეთებულები, მე ვიყო ამერიკის შპიონი!“

„ხან ერთი ნაბოზარი „ნაცი“ გამოხტება, ვიცოდი რომ აწამებდნენო და ხან მეორე და ვწუხვარო. დანაშაულის დაფარვის მუხლით მაინც გაასამართლეთ ეს ახვრები!“

„მელია, მოამზადე სახაშლამე ქვაბი!“

„მინაშვილი ნახევარქათამას გადატრიალებული საქართველოს ხელისუფლების დედა მო...ნ მე!“

„სანდრა ამერიკის ჯაშუში და საქართველოს დაუძინებელი მტერია. ხელისუფალნო, დააპატიმრეთ ეს თახსირი დედაკაცი, ეჭვი გეპარებათ რომ სულ თირკმელ-თირკმელ გაყიდა ჩვენი მიცვალებულების შინაგანი ორგანოები?“

„ავტომაიდანი, კარვები, გასროლა... მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ მოკვდა!“

„მსოფლიოში ბევრჯერ გვინახავს მაგალითები, როდესაც გვირაბის მეშვეობით საპატიმროდან გარბოდნენ პატიმრები, მაგრამ გვირაბის მეშვეობით რომ საპატიმრო ადგილას აღმოჩნდეს ადამიანი, ასეთი არ გაგვიგია.“

„სააკაშვილის ელიტა ვინ არიან — უწიგნური ბოზები და წიგნიერი პედერასტები!“

„ამ გახსენებაზე — რა უნდა პარლამენტში: სახალადეცე ღორის თავს, წარბებგადაბმულ მატლს, ფრანგულ ბულდოგს, ენაგადმოგდებულ ვარანს, შეტრუსულ გოჭს, ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილ ფრინველს, ახალშობილ ბეჰემოტს, ხალებიან ირემს, შიშველ ვალოდია ჯინჭარაძეს, ოსტაპ ბენდერს, ბეკეკა იაჰუჰუს, ბიბილოიან „პეტუხს“, ანტიბაქტერიული რეკლამის მოხტუნავე ჯოჯოს, რაქიტიან პედოფილს, გაჭყლეტილ გომბეშოს, მოლაპარაკე თავს, მიტოვებული რკინიგზის ტუალეტის ბუზს, გველიჭამია ბუს, დაჩუტულ გომბეშოს, გადაქოქილ პატეფონს, დაჭმუჭვნილ ქაღალდს, ბოსხის ტილოდან გადმოსულ მოჩვენებას, ფანქარზე წამოცმულ საშლელს, ბანაკიდან გამოქცეულ პიონერს, გაკაპასებულ დედაკაცს, მინდვრის ბუს... კიდევ ვინ იყო და ვის უნდა პარლამენტში გამახსენეთ და არ დაგზარდებით...“

„როგორია, გვერდზე გიზის სანდრა პარლამენტის სხდომაზე, მოიხედავ და ცალი თირკმელი აღარ გაქვს...“

„ზუგდიდელებო, თქვენ იყოთ აკიას დაქერილები თუ სანდრას ზუგდიდი მოაგებინოთ!“

„ნიკა რურუას და მისი ძმის მოკლული 17 კაცი მკვდრეთით აღსდგა თუ როგოროაა საქმე, რანაირად იყრის კენჭს! ჟურნალისტურ გამოძიებას ისე მაინც გადაავლეთ თვალი ვინმემ, ბლიად!“

„უკაცრავად პასუხია და, ეს „ნაცები“ ერთმანეთსაც ჟიმავდნენო და მართალია?“

„ორი დღის უკან ძველი ნაცნობი შემხვდა, გულიანად მოვიკითხე. „ნაცი“ ყოფილა მე მაგის დედ-მამის სული მო...ნ, რამ მაკოცნინა!“

„ამ ციხეებს რომ აშენებდა ეს დედამიწერილი მიშა ჩვენთვის, შეყარეთ ეხლა ეგ ბანდა შიგნით, რას უყურებთ, სანამ მართლა სისხლს არ დაღვრიან?“

„ფაშიზმი გაუქმდა, კომუნიზმი ზედ მიჰყვა, ეს „ნაცმოძრაობა“ რა გაგიხდათ, ყველანი გაჟიმულები ჰყავხართ?“

# ლედი „მფატრავი“ ანუ არული, არული კუდიანებს!

გაგონილი გექნებათ, ამერიკაში ელექტროსკამზე დაამთავრა სიცოცხლე „ჯეკი მფატრავმა“.

მგონი, ყველაფერი ცხადზე-ცხადი, დღესავით ნათელია და „ჯეკი მფატრავიც“ ტყუილად არ მიხსენებია: აგერ, ბატონო, მისი მდედრობითი ვარიანტი საქართველოში პირმშვენიერი „ლედი მფატრავის“ სახით!.. თუმცა, ის ვიღაც ჯეკი აქაურთან რას მოვა? ის ურჩხული, რატომღაც, მხოლოდ მეძავებზე ნადირობდა, დაუცველ ფენაზე (ეგეთი დილიხორი ჰქონდა!) და რაც მთავარია, ამით ბიზნესი არ უკეთებია. ამ ქალბატონის სამიზნე საქართველოში პატიმრები და უკრაინაში მეომრები აღმოჩნდნენ, თავისი ვაჟიშვილის ასაკის ჯან-ღონით სავსე, მაგრამ იმ მეძავებზე ბევრად დაუცველი და სრულიად უმწეო დაჭრილი ბიჭები. მთავარი კი ისაა, რომ ცივსისხლიან ქალბატონს ეს საქმიანობა შემოსავლის უზღვავ წყაროდ უქცევია და ამ ძვირფასი, დეფიციტური პროდუქტით ევროპასთან ერთად, ამერიკაც უმარაგებია.

ყოველივე ამის შემდეგ, უკვე აღარ მიკვირს სენატორ მაკ-კეინის მიერ ივანიშვილის მთავრობისადმი მუქარით შემონათვალი: „......როცა საქმე გვაქვს პრეზიდენტთან, (იგულისხმება სააკაშვილი. მ.ხ.) რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის არამარტო საქართველოს, არამედ ამერიკის განვითარებაში... ის რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით პრივილეგირებულია და რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა, მისთვის ბრალის წაყენება ყოვლად დაუშვებელია... მოგიწოდებთ გონიერებისკენ, რადგან თითოეული გადადგმული ნაბიჯი ბუმერანგის პრინციპით მოუბრუნდება თითოეულ ქართველს.“ საოცარია და ამას იმ ქვეყნის მძიმეწონიანი პოლიტიკოსი ამბობს, სადაც პრეზიდენტს იმის მეათასედსაც არ აპატიებდნენ, რაც სოციოპათმა სააკაშვილმა საქართველოში ჩაიდინა, მაგრამ, აი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ხელს ხელი დაუბანია!..

ასე რომ ჩემო კარგებო, ქართველებმა სააკაშვილს არათუ ბუზი არ უნდა ავუფრინოთ, „ამერიკის განმავითარებელ“ დიდ მიშას ფიანდაზები უნდა დავუფინოთ და „შენ ჩამოსვლას თან მზე მოჰყვაც“ ვუმღეროთ. აი, ასეთი მფარველების წაქეზებითაა, რომ სააკაშვილი იონჯას მიტანებული დაბმული ვირივით ჯიქურ იწევს საქართველოსკენ. რაო, ვითომ, — ქართული სისხლი უკრაინულზე გემრიელია?

მე ისიც მახსოვს, ქალბატონმა რულოვსმა დანიურ გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თავისი ქმარი სიძლიერით სტალინ-ბერიას რომ შეადარა, ქართველები გაგვლანძღა და ნიშნისმოგებით თქვა: „დიახ, ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდესო!“ მეუღლით ახლაც „ბუასავით“ გვაშინებს და საპასუხოდ მეც უნებურად ენაზე მადგება უწმინდურის განდევნა-დაშინების ბებიაჩემისეული შელოცვა:

„საშიშო, უწმინდურო, ალქაჯო ფუფალავ, შორს ჩვენგან, ბილწო და მაცდურო! გაქრი, გაუჩინარდი! თუ ტყიური ხარ, ტყეში დაიკარგე; თუ ველისა ხარ, ველში განქარდი! გველის წიწილო, ბინძური ზნისა და საშოს პატრონო, შორს, გაეცალე აქაურობას, ჯანდაბამდეც გზა გქონია!“

როგორც ქალაბიჭა, აკუმი ხვარამზე დაეგლებოდა ნათურქალის უსიერ სანახებში, ეს ქალბატონიც ისე დაძრწის მთელ სამეგრელოში; ტყეთა ღრანჩებში მარადიულ ექოდ დავანებული, გაუპატიურებული ბიჭების განწირული ღრიალი მეგრული „დიდოუ ნანას“ სიტკბოებით ჩაესმის და იმ ჟღალჩოხიანის დამტკბარი ხმითა თუ ღიმილით, ამომრჩევლებს კვლავ ეშმას მაცდურ ბადეში ახვევს... რა მიმნდობი, მიამიტი ხალხი ვართ ქართველები!.. „ქმარი ცუდია და ცოლი კარგიო“ — იქ უკვე ბევრისგან გაიგონებთ და ვაშინერისგან მონუსხულებივით ივიწყებენ, რომ მგელი მგლობას არასდროს მოიშლის და სისასტიკე მომავალშიც ამ ცოლ-ქმრული წყვილის „საფირმო ნიშანი“ იქნება.

გავიხსენოთ სხვაც: „ტაბუში“ ჟღალჩოხიანი სატანის და ჰერმაფროდიტი ხვარამზეს სექსუალური შერწყმის შედეგად იშვა მორიელი, რომელმაც სოფელ ნაჭყვედის მოსახლეობას მუსრი გაავლო. ესეც დიდი მწერლისგან საგანგაშო, სიმბოლური მინიშნებაა თანამედროვეთათვის: აკი ქოც-ნაცების კოჰაბიტაციური შერწყმითაც იშვა გარეწარი ნაბიჭვარი, დაუსჯელობით წახალისებული და თავგასული!..

სასწაულია და „ლედი მფატრავი“ თურმე ხალხის რჩეულად უნდა დაგვისკუპდეს პარლამენტში!.. და რა ვიფიქროთ, მისი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა რა იქნება? — სწორედაც ტრანსპლანტაციის სრული ლეგალიზაცია, რის შემდეგ ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნება, პასუხიც არაფერზე მოეთხოვება და მერე ნახეთ მისეული ბიზნესის ფრთების გაშლა: ტრანსპლანტაციაში გაწაფული მისიონერები, ისედაც დემოგრაფიულად განადგურებულ და მომაკვდავი ერების „შავ სიაში“ შეყვანილ ქართველებს, დიდ-პატარიანად ორგანოებად დანაწევრებულებს ნაწილ-ნაწილ გაგვიტანენ ქვეყნიდან. აი, ამგვარ აპოკალიფსურ მომავალს გვიმზადებენ ნაცისტი სექტანტები, იგივე „ჟღალჩოხიანი ვაშინერის“ ნაშიერები!..

აქ ერთი მეტად მარტივი კითხვა ისმის: ქ-ნი რულოვსი საარჩევნო სიის თავშია მოქცეული, პარლამენტში ისედაც მოხვდება და მაჟორიტარობა რაში სჭირდებოდა? ანდა, რატომ აირჩიეს ნაცებმა პლაცდარმად მაინცდამაინც სამეგრელო, სადაც ამ ქალბატონის მეუღლემ სისხლის გუბეები დააყენა და ენითაუწერელი ბოროტება ჩაიდინა? მკვლელი მკვლელობის ადგილს უბრუნდებაო, — უთქვამთ მაგრამ, ნუთუ მიზეზი მხოლოდ ესაა? პასუხიც ასევე მარტივი, თუმცა, შინაარსით მეტად მძიმეა: ამ ქალის მოქმედებაში ბევრად შორსმიმავალი, მტრის გულის გასახარელი მიზანი იკვეთება, რაც სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივების მცდელობასა და ამ ძირძველი ქართული რეგიონის დედასამშობლოდან გაუცხოების, მოწყვეტის მეტად საშიშ ტენდენციაში გამოიხატება. ნუთუ რულოვსის ადგილობრივი მხარდამჭერები ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებენ? ნუთუ, ვერ გრძნობენ, ამით ისინი არა მხოლოდ საქვეყნო ინტერესებს აყენებენ ზიანს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორიულად სამეგრელოზე მიბმულ და ამჟამად მასთან ადმინისტრაციულ ერთეულად შერწყმულ ზემო სვანეთს, მის მოსახლეობასაც შეურაცხყოფენ და აქედან გამომდინარე, რულოვსისათვის მიძღვნილი ტაში და ოვაციები, ჩვენი კუთხისთვისაც უმწარესი სილის გაწვნის ტოლფასია? სვანები ამ ყოველივეს გამძაფრებული ტკივილით აღიქვამენ; მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის სიმწარე, რაც რულოვსის მანიაკმა ქმარმა ამ ამაყ კუთხეს აგემა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ სვანებმა მის დაკრულზე არ იცეკვეს. დინჯი, აწონდაწონილი გუმანი ამ ხალხს მუდმივად ერთობილი საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე დგმას კარნახობდა და არა რომელიმე თავქარიანი ხელისუფალის ჭკუაზე სიარულს. ამას ნაცფიურერი როგორ მოითმენდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხის მიმართ გამოჩენილი მისი სისასტიკე სწორედ რომ ეგზეკუციის ტოლფასი იყო. რუსის სადამსჯელო „ატრიადმა“ თუ სოფელი ხალდე არტილერიით და ლაღუმებით მიწასთან გაასწორა, თავის მხრივ სააკაშვილის ხელისბიჭმა, — გიორგი ბარამიძემ უკვე შვეულმფრენების „ატრიადით“ დაბომბა სოფელი ეცერი და ცეცხლმოდებულ სახლზე ხელებმიფიცხებულმა, ცინიკურად კუბდარიც კი მოითხოვა, — სადაა სხვაობა? აქვე გავიხსენოთ ნაცბანდისგან ნაწამები დათო ცინდელიანის ტრაგიკული აღსასრულიც, მიშას ჯალათებმა ლოდშებმული რომ ჩაახრჩვეს შავ ზღვაში და კიდევ რამდენ ვინმეს მოუსწრაფეს სიცოცხლე!.. ქალი პატიმარი სვანეთის ისტორიას არ ახსოვს და ეს შეურაცხყოფაც აკადრეს, დიდებული ქალბატონი, — ნანუჩი ნავერიანი განსხვავებული შეხედულებების გამო, საპატიმროში გამოამწყვდიეს. ასევე, პირსისხლიანი შაჰ-აბასის ქართველი მძევლების მსგავსად, ნორა კვიციანიც ფაქტიურად ძმის ნაცვლად, წლობით აყურყუტეს ციხეში.

ჩვენთვის ეს კუთხე – „ზანი“ ოდითგანვე შვების მომგვრელი და შეუცვლელი ნავთსაყუდელი იყო. მიუვალ მთათა გრეხილებით მკაცრად შემოსაზღვრული მოსახლეობისათვის სამეგრელო საოცნებო ოაზისს, ზღაპრულ სამყაროს და ქვეყნიერების ჭიშკარს წარმოადგენდა. გოროზი მთები თუ მგზავრებს თოვლით ჩაჩუმქრულ გზებს გვიხერგავდნენ, მეგრული ოდა-სახლები ჩვენთვის მუდამ ღია იყო; თბილი კერა და ზრდილი მასპინძლის ყურადღება არ გვაკლდებოდა. გაგონილი გექნებათ: „სვანები ვართ ჩამოსული ბარადა, ყა-







მირების სახნავ-საბარავადაო.“ ზამთრის თვეებიდანვე დაიძვრებოდნენ და იქიდან მოყოლებული, სამეგრელოს მიწა სვანი კაცის ოფლით ირწყვებოდა. მათ ფეხქვეშ იზილებოდა კოლხეთის ჭაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები, საგულდაგულოდ გაპირულ ცელებს მწარე ხშრიალი გაუდიოდა ღალიან ველებზე. ჩვენებურები ყველაფერს თავისი ულალატო, ნაჯაფი მარჯვენის კვალს ამჩევდნენ და შრომის საზღაურთან, არც მასპინძლების გულის სითბო აკლდებოდათ. ორ კუთხეს შორის ეს ურთიერთსასარგებლო, კეთილმეზობლური ურთიერთობები ოდითგანვე თანაცხოვრების სიმბიოზურ მოდელს აყალიბებდა. მახსოვს, ოჯახში ბოლო დრომდე რელიქვიასავით გვქონდა შემორჩენილი თორმეტვედროიანი არყის სახდელი სპილენძის ქვაბი, რომელიც მამაჩემმა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე უკვე ხანდაზმულმა კაცმა, შრომის საზღაურად, დაუჯერებელია და ენგურის ხეობის საცალფეხო გზა-წავარნებით ქვალონიდან ზიდა. მამა, თავადაც ცნობილი შემსრულებელი, მეგრული სიმღერების ტრფიალი იყო და საოცარი სითბოთი იხსენებდა ხოლმე იქაურ სტუმართმოყვარეობასაც.

ამ კუთხის შვილებიდან მეც უამრავი სიკეთე მაქვს გულში ჩარჩენილი. უპირველესად კი დიდებული პიროვნება, მეცნიერი და მამულიშვილი, ბატონი ილია ვეკუა მახსენდება, იმჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვინც ჩემი თხოვნა გულთან მიიტანა და მისაღებ გამოცდებზე უპატრონობით დაჩაგრული უმცროსი სახლიკაცი ფაკულტეტზე აღადგინა.

ისტორიულად შედუღაბებულ მეგრულ-სვანურ ტრადიციულ ერთობასაც ერთი ფსიქოპათის და მისი ამფსონების ახირებები, ცხადია, დიდად ვერაფერს დააკლებს, ვერ გააუცხოვებს, მაგრამ გულსატკენ, უსიამოვნო მომენტებს უცილობლად გააჩენს...

... როგორც იქნა, საარჩევნო მარათონი ფინალს მიუახლოვდა. სულ ორიოდე დღე დარჩა გასრულებამდე. ასეთ დროს სულ ერთ პატარა ფრაზას უკეთესობისკენ რადიკალურად შეეძლო სიტუაციის შეცვლა დ, საცა სამართალია, ეს ფრაზა დედაეკლესიის წიაღიდან უნდა წამოვიდეს: „ნაცებისთვის ხმის მიმცემი უკუნითი-უკუნისამდე შეჩვენდესო!“ მაგრამ, — წამოვა? მით უფრო, რომ ეკლესია, ამ დღეებში დიდ სტუმრიანობაშია, პრეზიდენტ მარგველაშვილის მოწვევით, რომის პაპა, — კათოლიკე ქრისტიანთა მიწიერმა ღმერთმა შემოაბიჯა ქართულ მიწაზე და დახვედრაც ღირსეული უნდა...

მე კი კვლავ ბრძენი წინაპრების სამყაროს დავუბრუნდები, დიდი კონსტანტინეს აჩრდილს გამოვიხმობ და წერილს ქადაგად დავარდნილი გახუ ხარბედიასეული, ავსულთა განდევნის მაგიური ფორმულებით დავამთავრებ. საოცარია და ლამის საუკუნის წინ შექმნილი მხატვრული რეალობა, მართლაც როგორ თანხმიერდება თუნდაც ქალბატონი რულოვსის ამჟამინდელ მეგრულ „ოდისეასთან!..“ ვინ იცის, ეს საკრალური შელოცვაც მწერლისგან ზოგადად ქართველი ერისთვის, უფრო ნიშნეულად კი ჩემი სამეზობლოს, თბილი და ლამაზი სამეგრელოს მოსახლეობისთვის სიმბოლო-მინიშნებებით გაცხადებული სამოქმედო გზავნილიც კი იყოს:

„... მოგცემ ცეცხლსა რვალისასა, გაგაქარვებ თვალსა წამისასა...

წყლისა ხარ? ხმელეთისა ხარ? წყლიდან ამონაყოლი ხარ? რა ხარ? რა სულიერი ხარ? ხიდან ჩამოსული ხარ? ხმელეთზე გაჩენილი ხარ? რა სულიერი ხარ?... ხიდან ჩამოვარდნილი ხარ? ფურცლიდან ანაყოლი ხარ? რა ხარ? რა სულიერი ხარ? ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა. გაგაქარვებ თვალსა წამისასა. დაგჭრი ალითა, მალითა, სუჯუნის ხელბოძალითა. ჩაგაგდებ ცეცხლსა რვალისასა. გაგაქარვებ თვალსა წამისასა. გამიშვი და გაგიშვებ. გამიშვი და გაგიშვებ. შენ გეპყრას და შენ გებაროს. შენ გეპყრას და შენ გეკავოს, მრისხანე ბატონო სუჯუნისაო“

ამ შელოცვას ერის ერთობლივი „ა მ ი ნ ი“ დააგვირგვინებდა...

**მირონ ხერგიანი**



# რობერტ სტურუა:
# უარესის ღირსი ყოფილხარ, ქართველო, დატკბი შენი დაცემით!



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ბევრ განსაცდელს გადაურჩა ჩვენი ქვეყანა: სპარსეთი, არაბები, მონღოლი, სელჯუკნი, იმპერია, კომუნიზმი, წამგლეჯი მეზობლები... ზოგს ვაჟკაცობით ვჯობნიდით, ზოგს ჭკუით, ზოგს კუდის ქიცინით (რას იზამ, რომ არ შეწყდეს ერის ცხოვრება დამცირებასაც უნდა გაუძლო!) ზოგს ეშმაკობით ჯაბნი, ზოგს შენი სულიერი ძალა აბნევს და გაოგნებული უკან იხევს — სხვანაირად როგორ უნდა გაუძლო ამ შემოტევას — ყველა შენ გებრძვის! და საოცრება! — გაუძელი, ენაც გახსოვს, სიმღერა, რწმენა, ქრისტეს არ უღალატე, მამა-პაპური ადათებს ერთგულად ემსახურები, საფლავებს იცავ, სუფრას წასულთა აჩრდილი გადმოგვყურებს! იყავ ბედნიერი შენ ულამაზეს ქვეყანაში — რა გინდა მეტი?!

არა, საშინელი ძალა ემუქრება საქართველოს — ქართველები!

წინ შეშლილი ნახევრადქართველი, გახრწნილი ბელადი მოუძღვის ქაჯებს! ჩვენი სისხლი სურს შესვას, ჩაგვიკლას ის წმინდა სული, ის სიმდიდრე, სასოებით რომ გადაარჩინა იბერიელთა მოდგმამ! თუ ამ ვერაგ ძალას ვერ გაუსწორდით, უარესის ღირსი ყოფილხარ ქართველო, მომავალს ვეღარ იხილავ, დანებდი და დატკბი შენი დაცემით!”



38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

**ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:**
თიბისი ბანკი, ანგ # **GE72TB7805445 165 100 009.**
მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

# ბუშების კლანი ბნელი წარსულით

**ამერიკის შეერთებული შთატების რიგით 43-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი „ტეხასელი ბუშების“ უმდიდრეს და უდიდესი გავლენის მქონე კლანს ეკუთვნის. 1920-იანი წლებიდან დაწყებული, ამ კლანის ყველა წარმომადგენელი ერთ სკანდალში მაინც იყო გარეული. მათ ბრალად ედებოდათ გერმანიის ნაციზმის დაფინანსება, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება და ნარკომოვაჭრეებთან თანამშრომლობაც კი...**



(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N36)

დიდი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, 1993 წელს ჯორჯ ბუში-უფროსი ბიზნესში გადავიდა, The Carlyle Group-ში, კომპანიაში, რომელიც სხვა კომპანიებს ყიდულობდა და ყიდდა. კომპანიის ისტორია აერთიანებს ისეთ სახელებს, როგორებიცაა: ჯონ მეიჯორი (დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი), ჯეიმს ბეიკერი (აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ფრანკ კარლუჩი (აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრი) და რიჩარდ დარმანი (აშშ-ის სენატის საბიუჯეტო კომისიის ექს-ხელმძღვანელი). ასეთი კომპანიების ეფექტურობას უზრუნველყოფენ მხოლოდ მაღალ თანამდებობაზე მომუშავე პოლიტიკოსები, თუნდაც ყოფილი მაღალჩინოსნები. ბუში-უფროსი კომპანიაში აზიის სექტორს ხელმძღვანელობდა. 2003 წლამდე იგი იყო უფროსი მრჩეველი, შემდეგ კი კომპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერი გახდა. ბუში-უფროსი არაერთხელ იყო შემჩნეული მიღებებზე, საქმიან სადილებსა და ვახშმებზე, ასევე გასართობ ღონისძიებებზე, სადაც მრავლად იყვნენ ბიზნესმენები საუდის არაბეთიდან.

ჟურნალისტები ხშირად წერდნენ ფრანკ კარლუჩის, დონალდ რამსფელდისა და დიკ ჩეინის შეხვედრებზე. მათი მოლაპარაკებები იმ დროს წარმოებდა, როცა კომპანია Carlyle ახალ სამხედრო პროექტებს ახორციელებდა. როგორც საზოგადოებრივი სოლიდარობის ცენტრის დირექტორმა განაცხადა ჯერ კიდევ ბუში-უმცროსის პრეზიდენტობის დროს: „მაშინ, როცა ბუში-უმცროსი პრეზიდენტად მუშაობს, ბუში-უფროსი ფულს კერძო საქმიანობით შოულობს, თანაც ხელისუფლების სრული მხარდაჭერით“.

### ჯებ ბუში „კონტრასისა“ და ნარკოდილერების პარტნიორი

ბუში-უმცროსის უფროსი ძმის, ფლორიდის შტატის ყოფილი გუბერნატორის ჯონ ელის ბუშის ინტერესები ცენტრალურ ამერიკაშია კონცენტრირებული. 1998 წელს ჯებ ბუში ნახსენები იყო სენატის საერთაშორისო საქმეების ქვეკომიტეტის მოხსენებაში, რომელმაც მოისმინა მოწმეების ჩვენებები იმის შესახებ, რომ აშშ-ში ლათინოამერიკელი ნარკომოვაჭრეების ფულების გათეთრება ხდება. როგორ კონტექსტში და რომელმა მოწმემ ახსენა ჯები, არ გაცხადებულა. თუმცა, როგორც ამერიკელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ჯებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა მიგელ რეკარეისთან, International Mrdical Centers-ის ხელმძღვანელთან, საწარმოსთან, რომელიც რამდენიმე მსხვილ საავადმყოფოს აერთიანებს. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ იმ დროს ჯები ბიზნესს ფლორიდის სამხრეთში აწარმოებდა. რეკარეი კი, როგორც გამოძიებით დადგინდა, საბიუჯეტო ფულის გათეთრებით იყო დაკავებული. 1981-1987 წლებში ამ სამედიცინო კომპანიამ 1 მლრდ დოლარი გაათეთრა. გარდა ამისა, 1986 წელს სამედიცინო კომპანიის შემოწმებამ დაადგინა, რომ ეს უწყება სამედიცინო მომსახურებას უწევდა „კონტრასის“ ლიდერებს, ნიკარაგუას დიქტატორის ანასტასიო სამოსა დებაილეს მხარდამჭერებს, რომელიც აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაციის მომხრე იყო და რომელიც მარქსისტმა მეამბოხეებმა ჩამოაგდეს 1979 წელს. ბევრი ანალიტიკოსი ასევე ამტკიცებს, რომ ჯებ ბუში იყო ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს ყოფილი ოფიცრის, ვინმე ხოსე ბასულტოს საქმიანი პარტნიორი, რომელმაც დააარსა International Medical Centers-ი და ფულის გათეთრებაც მანვე დაიწყო. სხვადასხვა დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯებ ბუში მეგობრობდა ლეონელ მარტინესთან ფლორიდაში კუბის ნარკომაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურასთან, რომელიც მაიამიში ცხოვრობდა. ამერიკის სპეცსამსახურების მონაცემებით, 1985-1986 წლებში მარტინესმა აშშ-ში 1,5 ტონაზე მეტი კოკაინი შეიტანა. 1989 წელს იგი დააპატიმრეს, როცა ამერიკის ტერიტორიაზე 300 კგ კოკაინის შეტანას ცდილობდა.

### ჯორჯ ბუში-უმცროსი: „ბუჩქებიდან“ პრეზიდენტობამდე

ჯორჯ-ბუში უმცროსი ბუშების კლანის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო ჩათრეული სკანდალში და თანაც მხოლოდ მისი ირიბი ფიგურანტი გახლდათ. ბუში-უმცროსი ბიზნესში 70-იანი წლების ბოლოს ჩაერთო, მან დააარსა კომპანია Arbusto Energy (arbusto ესპანურად და bush-ი ინგლისურად „ბუჩქს“ ნიშნავს). 1979 წელს ბუშების ჰიუსტონელმა მეგობარმა ჯეიმს ბატმა, რომელიც უსამა ბენ ლადენის ძმის, სალემის ერთადერთი ბიზნეს-წარმომადგენელი იყო, Arbusto Energy-ში 50 ათასი დოლარის ინვესტიცია ჩადო კომპანიის მოგებაში ხუთპროცენტიანი წილის სანაცვლოდ. როგორც ცნობილია, ძმა ძმის მაგივრად პასუხს არ აგებს, თუმცა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ბუშთან ამგვარი საქმიანი კავშირები აღარ გამომჟღავნებულა.

ბატის კონტაქტები მარტო ბენ ლადენის ოჯახთან ურთიერთობით არ შემოიფარგლებოდა. მან დაამყარა საქმიანი ურთიერთობები სკანდალურად ცნობილი ბანკის BCCI-ის ადმინისტრაციასთან, რომელიც უშუალოდ უსამა ბენ ლადენს აფინანსებდა. ჯერ კიდევ 80-იან წლებში, ბისისიაი, რომელსაც ხალიდ ბენ მაფუზი ხელმძღვანელობდა და რომელიც იმავდროულად იყო საუდის არაბეთის ნაციონალური კომერციული ბანკის გენერალური აღმასრულებელი დირექტორი, თაღლითობაში დაადანაშაულეს: ბანკმა მეანაბრეების 10 მლრდ დოლარი გააქრო. ეს საქმე საბანკო საქმეში ყველაზე მსვილ თაღლითობად აღიარეს. ამასთანავე, 1986 წელს ბუშის კომპანია „აბრუსტო“, რომელსაც უკვე Harken Energy Corporation-ი ერქვა, საუდის შეიხის აბდულა ტახი ბაშის ხელში გადავიდა. მისი პარტნიორი გახდა ხალიდ ბენ მაფუზი, უსამა ბენ ლადენის ცოლის უფროსი ძმა, რომლის ხელშიც გადავიდა სალემ ბენ ლადენის ბიზნესი. იმ დროიდან ბატი უკვე ბენ მაფუზის ინტერესებს წარმოადგენდა. 1991 წელს ამერიკული პრესა ვარაუდობდა, რომ BCCI-ის მენეჯერები ბუშის ოჯახის ბიზნესში იმიტომ ჩაერთნენ, რომ „პრეზიდენტის ვაჟს დაახლოებოდნენ“. თუმცა ყველაფერი უფრო ცუდად იყო. 1992 წელს ბატს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ იგი რიცხავდა საუდის არაბეთის ბიზნესმენების ფულებს ჰიუსტონის გავლით, „რათა გავლენა მოეხდინათ რეიგანისა და ბუში-უფროსის ადმინისტრაციების საგარეო პოლიტიკაზე“. ერთ-ერთი ბეჭდური გამოცემის მონაცემებით, 1999 წელს საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ხელი შეუშალა ბენ მაფუზს ხელიდან ხელში გადაეცა უსამა ბენ ლადენისთვის 3 მლნ დოლარი.



მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com